31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით¹. როგორც ვხედავთ, სრულიად საქართველოს, ე.ი. აფხაზეთის ტერიტორიაზეც სამართლებრივად მოქმედებს საქართველოს ხელისუფლების სუვერენული უფლება, ფაქტიურად კი აფხაზეთში აფხაზეთის ხელისუფლების სუვერენული უფლება ვრცელდება. უკიდურეს შემთხვევაში არსებობს ორი სუვერენული ხელისუფლება, რაც თვით სუვერენული ხელისუფლების უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია. შეუძლებელია ორი ხელისუფლება თანაბარზომიერად მიმართავდეს თავის ძალაუფლებას ერთი და იმავე ხალხისა და ტერიტორიისადმი. ამიტომ მხოლოდ ერთი, საქართველოს ხელისუფლების სიძლიერე და ავტორიტეტი არის იმის გარანტი, რომ შენარჩუნებული და დაცული იქნეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მთელს მის ტერიტორიაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სუვერენული ხელისუფლება აღჭურვილი უნდა იყოს და როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური და საჭიროების შემთხვევაში, იძულების მექანიზმების შეუზღუდავად გამოიყენება შეძლოს, სწორედ მაშინ, როდესაც ასეთი საჭიროებისას ხელისუფლებას შესაბამისი მოქმედების უნარი შესწევს, შესაძლებელია, ვილაპარაკოთ სუვერენულ ხელისუფლებაზე.

სუვერენიტეტისადმი დამოკიდებულება დღევანდელი სახეშეცვლილი მსოფლიოს პირობებში, ჩვენი აზრით, არ მოგვცემს საშუალებას, სახელმწიფოს სუვერენიტეტის საკითხი მხოლოდ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების კონტექსტში განვიხილოთ, ან საგარეო ურთიერთობებში უკვე განხილული სუვერენიტეტის კლასიკურ გაგებაში მოვათავსოთ. დღევანდელი მსოფლიოს შეცვლილი სურათი, რომლის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, გლობალიზაციის პროცესია, რაც ხალხთა და სახელმწიფოთა დაახლოებაში, ეთნიკური და ნაციონალისტური გამოვლინებების გადალახვაში გამოიხატება, სუვერენიტეტისადმი ახალ მიდგომას საჭიროებს. იგი თავისი პრაქტიკულ-პოლიტიკური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლებისა და რეგულირების თვალსაზრისით, მისი შინაარსის ახლებურ ჩამოყალიბებას გვკარნახობს. „ჩვენ მივემართებით ისეთი მსოფლიოსაკენ, რომელშიც სულ უფრო და უფრო მაღლდება ადამიანთა ურთიერთობის როლი, სხვადასხვა კულტურების დაახლოება და საერთო ბაზრის შექმნით, სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდით გლობალური და ერთიანი მსოფლიო ყალიბდება“¹, წერს ჩარლზ ზიქარი. ბუნებრივია, საქართველო მსოფლიო პროცესების და მისი უმთავრესი – გლობალიზაციის პროცესის მიღმა ვერ დარჩება, რასაც ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნათლად აჩვენებს. მხედველობაში გვაქვს ის პროცესი, რაც საქართველოს ევროპასთან გაერთიანებას გულისხმობს. ევროპასთან ინტეგრირების ისტორიული მიზანი რეალური ხდება. იგივე რეალობა უკიდურეს აუცილებლობად გვკარნახობს, გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის როლი, ინტერესები და მიზნები მსოფლიო გლობალიზაციის იმ უმნიშვნელოვანეს რგოლში, რაც ევროპის თანამეგობრობის სახით არსებობს და ვითარდება. დღეისათვის თანამეგობრობაში გაწევრიანებულმა სახელმწიფოებმა თანამეგობრობას სუვერენული უფლებებისა და მოვალეობების მთელი პაკეტი გადასცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად საჭიროა, გავითვალისწინოთ და პასუხი გავცეთ ერთ კითხვას, თუ საით მივყავართ გლობალიზაციისა და ტრანსფორმაციის ამ პროცესებს, ხომ არ მივიღებთ ხვალ ევროკავშირს, როგორც სახელმწიფო წყობილების ფორმას?. ამაზე დღეისათვის დამშვიდებით შეიძლება ვუპასუხოთ: გაერთიანების სადღეისო პრინციპები, შესაბამისი იურიდიული ბაზა გვიჩვენებს, რომ იგი სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანებაა, თითოეული წევრი სახელმწიფოს სუვერენული უფლებების უდიდესი წილით. შესაბამისად, „ევროპულ ორგანოებს მხოლოდ იმის მოგვარების უფლება აქვთ, რაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე უკეთესად ვერ გადაწყდება; სუბსიდიარიტეტის პრინციპის ეს პუნქტიც შესულია მასტრისხტის ხელშეკრულებაში, როგორც სავადებულო“².

¹ The Law school magazine, New York university school of law, special issue, 1995, pg. 5-7.

² იხ. ევროსაბჭოს წესდება, ადამიანის უფლებათა ევროპის აქტები, ბათუმი, 1999, გვ. 11.

აღნიშნულის გათავლისწინებით ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო აქტიურდება, ხშირია ევროპის სტრუქტურების დელეგაციათა და ექსპერტთა სამუშაო ვიზიტები საქართველოში, ყოველივე ეს კი განამტკიცებს იმ თანამშრომლობას, რომელიც ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებს ეფუძნება.

მოვლენათა ლოგიკა გვიჩვენებს, რომ ევროპასთან სრული ინტეგრაციის დღის წესრიგის მორიგი საკითხი, ევროკავშირში გაერთიანებაა. ამ მიზნის განხორციელება, როგორც გლობალიზაციის გამოხატულება, მომავალში გვიკარნახებს ახალ სტანდარტებს, რომლებსაც ხსენებული მიზნის პრაქტიკული განხორციელებისათვის გაწეული, თუ მომავალში ამ მიმართებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის თანაფარდობა წარმოშობს. ყოველივე ეს ადეკვატურ მიმართებაში იქნება სუვერენიტეტისა და მის კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეგულირების საკითხებთან.

უდაოა ის გარემოება, რომ სუვერენიტეტს სწორედ, თავისი კლასიკური გაგებით, დღეს საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თუ, რასაკვირველია, მას განვიხილავთ ზემოთ უკვე აღნიშნული პორბლემების კონტექსტში, ანუ ტერიტორიასთან მიმართებით და სახელმწიფოს მთლიანობისა და ხელისუფლების უმაღლესობის საკითხს ამ კუთხიდან შევხედავთ. საქართველოს ტერიტორიული პრობლემა, რომელიც სახელმწიფოს ერთიანობის, მისი ხელისუფლების მთელს ტერიტორიაზე უმაღლესობის ხელყოფაშია გამოხატული, ბუნებრივია ხელყოფს მის ფაქტობრივ სუვერენიტეტს. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი თანაფარდობა არ მოიცავს მხოლოდ ტერიტორიას, რადგან სუვერენიტეტი ამ შემთხვევაში უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა. იგი მოიცავს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ყველა ძირითად მხარეს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს მთელ სივრცით ფარგალში განფენის იურიდიული უფლების მქონე ხელისუფლებას, წართმეული აქვს უზენაესობა, როგორც სუვერენიტეტის ცნების აუცილებელი ნიშანი. საქართველოსათვის, ისე როგორც ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ტრანსფორმაციის, გლობალიზაციის, ინტეგრაციის თანამედროვე ეპოქაში, არ შეუძლია სხვა სახელმწიფოებისა და ხალხებისაგან დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა პრობლემა, რომელიც სახელმწიფოს მთლიანობასა და სუვერენიტეტთანაა დაკავშირებული. თუ ამ აზრის მართებულობას დავუშვებთ, სრულიად ნათელი გახდება ევროპასთან, და უფრო კონკრეტულად ევროკავშირთან ინტეგრირების მიზნის აუცილებლობა. ამასთან უნდა დავასკვნათ, რომ ხშირად საგარეო სუვერენიტეტის ნებით შეზღუდვა საშინაო სუვერენიტეტის უზრუნველყოფის საშუალებაა.

თუ თვალს გადავავლებთ საზოგადოების ინტერესსა და დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, რომელიც ამავე დროს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, ადვილი დასანახია, რომ ევროპასთან გაერთიანების პროცესი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად ხორციელდება და ადეკვატურ მხარდაჭერასაც განიცდის იმის გაცნობიერების ფონზე, რომ მომავალში გარკვეული სიკეთის, მოგების მიღების წილ, რაღაც დათმობების გაკეთებაც მოგვიხდება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ევროპასთან საბოლოო გაერთიანებასთან ერთად, ევროკავშირის სასარგებლოდ სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეულ უფლებამოსილებათა დელეგირება მოგვიხდება. უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის დელეგირება, განპირობებული იქნება იმ გარემოებით, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან თავიანთი კონსტიტუციები კავშირის წევრის სტატუსთან შესაბამისობაში მოიყვანონ. უფრო მეტიც, წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციები უნდა შეიცავდნენ დებულებებს, რომლებიც ქმნიან ორ აუცილებელ გარანტიას: წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ევროგაერთიანების სამართლის გამოყენების და კავშირის სამართლის პრიორიტეტულობის შესახებ ეროვნულ სამართალთან მიმართებაში. ან სახელმწიფომ, თუ იგი გვერდს აუვლის კონსტიტუციურ ცვლილებებს, ევროკავშირის ხელშეკრულებათა პირდაპირი მოქმედება უნდა უზრუნველყოს და ეროვნული სამართლის დებულებებთან კოლიზიის არსებობისას, უპირატესობა მიანიჭოს ევროკავშირის სამართლის ნორმებს. აღნიშნული გარემოებანი,

ევროპასთან ინტეგრაციის მიზნის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ბუნებრივია დასვამს საკითხს სახელმწიფო სუვერენიტეტის, მისი შესაძლო შეზღუდვის ფარგლების შესახებ.

ევროპის წევრ სახელმწიფოებში, მათი სუვერენიტეტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირებისას, სუვერენიტეტის შეზღუდვის ან, შესაძლო შეზღუდვის შესახებ სხვადასხვა ფორმულირების დებულებებს ვხვდებით. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 24-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „(1) ფედერაციას, კანონის შესაბამისად, შეუძლია სუვერენული უფლებები სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციებს გადასცეს. (1ა) რამდენადაც ლანდები კომპენტენტური არიან განახორციელონ სახელმწიფოებრივი დავალებები, მათ შეუძლიათ ფედერალური მთავრობის თანხმობით სუვერენული უფლებები მეზობელ მოსაზღვრე ორგანიზაციებს გადასცენ“.¹

იტალიის კონსტიტუციის მე-11 მუხლში მითითებულია, რომ იტალია „... სხვა ქვეყნებთან ნაცვალგების პირობით, ხალხების მშვიდობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად თანხმობა სუვერენიტეტის შეზღუდვაზე“.²

საქართველოს დღევანდელი ტერიტორიული პრობლემები დარეგულირდება, როცა მისი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი გადაწყდება. ამასთან, დღის წესრიგში დადგება, როგორც უკვე აღვნიშნეთ სუვერენიტეტის გარკვეული ზომით შეზღუდვის საკითხი. ამდენად, ნორმალური, უმტკინვეულო ინტეგრაციისათვის თავიდანვე უნდა განვსაზღვროთ სუვერენიტეტის, მისი შინაარსისადმი დამოკიდებულება. ვფიქრობ, ამისთვის აუცილებელია სუვერენიტეტი განვიხილოთ ზემოთ უკვე ხსენებულ კონტექსტში, როგორც მუდმივად განვითარებადი, დინამიკური პროცესი. თუ ერთმანეთს შევადარებთ ევროპული ინტეგრაციის სახელმწიფოებრივ მიზანს, შესაბამის სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას და სუვერენიტეტს, მაშინ დავდგებით იმის აუცილებლობის წინაშე, რომ თვალი გადავაავლოთ სუვერენიტეტის წარმოშობის ისტორიას, რასაც მოკლედ ჩვენ უკვე შევხვებთ, და ვაღიაროთ, რომ სუვერენიტეტი, როგორც თანმიმდევრულად განვითარებადი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენა, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში შესატყვისი შინაარსით ივსებოდა, რაც თვით ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების შინაარსითაა განპირობებული.

საქართველოს სახელმწიფოს ევროპის კავშირში გაერთიანება, სუვერენიტეტთან დაკავშირებით მრავალ შეკითხვას წარმოშობს. მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები გამოიწვევს თუ არა სუვერენიტეტის ახალი შინაარსის ჩამოყალიბებას? გულისხმობს თუ არა ეს ახალი შინაარსი საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვას? რამდენად შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნებოდა იგი ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში? ილახება თუ არა ამ შემთხვევაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები?

ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნებისა და წევრი სახელმწიფოების მიერ ამ მოთხოვნების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების მოყვანილი მაგალითები, ვფიქრობ, ნათლად მიუთითებს სუვერენიტეტის შინაარსის ახლებური, გლობალიზაციის პროცესებისადმი შესაყვების გაგების აუცილებლობაზე. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, პარალელის გავლება მოგვიწვევს ზემოთ უკვე აღვნიშნულთან, ანუ ეს გაერთიანება, სახელმწიფო სუვერენიტეტის ფარგლების განსაზღვრული ზომით შეზღუდვას გამოიწვევს, ე.ი. ჩვენს მიერ დასმულ პირველ ორ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ.

რაც შეეხება ამგვარი შეზღუდვის შესაძლებლობას, ამის საილუსტრაციოდ კარგი იქნებოდა თვით სუვერენიტეტის კლასიკურ, ოფიციალურ განმარტებას მივმართოთ, რომლის მიხედვითაც ფრანგული წარმოშობის “*soverenetete*” ხელისუფლების უზენაესობას და დამოუკიდებლობას

¹ См. Основной закон федеративной республики Германии, Конституции государств Европейского союза, ИНФРА, М., 1997, стр. 189.

² იხ. იტალიის კონსტიტუცია, ა. დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, “იურიდიული ლიტერატურა”, თბ., 1992, გვ. 176.

ნიშნავს. კონსტიტუციურ-სამართლებრივი მეცნიერების მიხედვით სახელმწიფო სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს უმაღლესობას ქვეყნის შიგნით და მის დამუკიდებლობას საგარეო სფეროში, ე.ი. სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სისრულეს, რაც გამორიცხავს სხვა ნებისმიერ ხელისუფლებას, ასევე სახელმწიფოს დაუმორჩილებლობას სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, გარდა სახელმწიფოს მიერ თავისი სუვერენიტეტის აშკარად გამოხატული და ნებაყოფლობითი შეზღუდვის შეთხვევებისა.¹ როგორც ამ განსაზღვრების ბოლო წინადადების ლოგიკიდან ჩანს, კონკრეტულ შემთხვევაში სუვერენიტეტის ფარგლების შეზღუდვის შესაძლებლობას თვით სუვერენიტეტის ცნება იძლევა. სუვერენიტეტის შეზღუდვის შესაძლებლობაზე პასუხი, ჩვენი აზრით, უნდა ვეძებოთ ასევე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და ხელისუფლების ლეგიტიმურობაში, სახელმწიფო და სახალხო სუვერენიტეტების თანაფარდობაში, მათ მაქსიმალურ ერთიანობაში. ხოლო მიზანშეწონილობისა და ინტერესის მომენტებზე დადებითი პასუხი, ჩვენი აზრით, უნდა ვიპოვოთ ერთის მხრივ, ევროპის გაერთიანების მიზნებსა და მიღწევებში, ხოლო მეორეს მხრივ, მასში გაერთიანებისადმი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებასა და მისგან მიღებულ სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიურ გარანტიებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე დავასკვნათ, რომ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტიები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებთან და ხალხებთან ახალ ღირებულებათა საფუძველზე დამყარებულ თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე. შესაბამისად, სუვერენიტეტი არ შეიძლება განვიხილოთ ყოვლად შეუვალ ციხესიმაგრედ. იგი თანდათანობით განვითარებადი პროცესია.

აღნიშნული მსჯელობის ლოგიკას, გლობალიზაციასა და ინტეგრაციაზე, მის სამართლებრივ შედეგებზე, გარდაუვლად მივყავართ გარკვეული გარდაქმნების, ცვლილებების აუცილებლობისაკენ, ანუ ბუნებრივია, დგება საკითხი ტრანსფორმაციის, როგორც თანამედროვე მსოფლიოს გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობისა.

როცა ევროპულ ინტეგრაციაზე და ამ პროცესში სამართლის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, გავითვალისწინოთ და გავანალიზოთ ეროვნული სამართლებრივი სისტემის პოზიცია ტრანსფორმაციის პროცესში, რადგანაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული, ამ მოვლენების განვითარების პროცესში წარმოშობილი სპეციფიკური პრობლემებისა და მათი მოწესრიგების მექანიზმის არსებობაც. ევროგაერთიანებასთან ინტეგრირება, ევროპული სამართლისადმი, ეროვნული სამართლებრივი სისტემის შესაბამისობის, ევროპის სამართლის პრიორიტეტულობის აღიარების მიუხედავად, როგორც თვით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკა გვიჩვენებს, სრულებითაც არ არის გამორიცხული სპეციფიკური, კონკრეტული პრობლემების არსებობა ამ ორ სისტემას შორის და სხვათაშორის, კონსტიტუციურ დონეზეც.

საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის დებულება, საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან შესაბამისობის და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისათვის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, უპირატესი იურიდიული ძალის მინიჭების შესახებ, ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის უმტკივნეულო სამართლებრივ ბაზას ქმნის. მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი სამართლებრივი გარანტია იმის, რომ მომავალში ჩვენს ეროვნულ-სამართლებრივ სისტემასა და ევროპის სამართალს შორის სპეციფიკური წინააღმდეგობები არ წარმოიშობა. მაგალითად, გერმანიის, როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სინამდვილეში, ორ სამართლებრივ სისტემას შორის თანაფარდობისას პრობლემა გაჩნდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. დაისვა საკითხი, შეიძლება თუ არა გერმანიაში ევროგაერთიანების სამართალი მოქმედებდეს, როგორც პრიორიტეტული, შიდასახელმწიფოებრივ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით

¹ Большой юридический словарь, ИНФРА-М, М., 1997, стр. 663-664.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებათა კონსტიტუციით აღიარებული კონცეფციასთან. თავდაპირველად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო თანამეგობრობის სისტემებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არასაკმარისად მიიჩნევდა, მხოლოდ 1986 წელს განხილულ საქმეზე **Wunsche handelsgezeltschaft** გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღიარა, რომ თანამეგობრობის სამართალში ეს სტანდარტები ამალღდა და ამიერიდან გერმანიის კონსტიტუციის მოთხოვნებს შეესაბამება,¹ რასაც გარკვეული ბიძგი მისცა, ისევე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ **internationale handelsgezeltschaft**. ცოტა უფრო მოგვიანებით (1990 წელი) მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ თქვა, რომ ღირექტივები, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებს ევროპის თანამეგობრობის სამართალთან მიმართებით, შეიძლება ევროპის სასამართლოში გასაჩივრდეს, მაგრამ თუ გერმანიის კონსტიტუციით დაწესებული სტანდარტებისათვის იგი არასაკმარისად იქნება მიჩნეული, რაც გერმანიის კონსტიტუციით კვალიფიცირებულია, როგორც უპირობო, მაშინ ეს შეიძლება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისა საფუძველი იყოს. და რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით თანამეგობრობის ღირექტივების ინპლემენტაციის მიზნით მიღებული გერმანიის კანონმდებლობა, კონსტიტუციური კონტროლის ობიექტად გამოაცხადა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებათა სფერო არ არის ერთადერთი პრობლემური სფერო. არც გერმანიაა ერთადერთი მსგავსი პრობლემებით. მაგალითად, იგივე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ ოდესმე თანამეგობრობის ხელშეკრულება ისე იქნება განმარტებული, რომ იგი დაუშვებს ევროპის სასამართლოში ისეთი სარჩელის მიღებას, რომელიც დაარღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ადამიანის უფლებებთან თვით ხელშეკრულების შესაბამისობის საკითხს. ხარტლის აზრით, ამან შესაძლოა გამოიწვიოს იტალიის თანამეგობრობაში ყოფნის საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაც კი.⁴³

გლობალიზაციისა და ტრანსფორმაციის დღევანდელი დინამიკის მიხედვით, შესაძინევა ევროგაერთიანების სამართლის ტრიუმფალური სვლა თანამეგობრობის ქვეყნებში. ამასთან, მაგალითად ბრიტანეთის (და არა მარტო ბრიტანეთის) შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ ეს ტრიუმფი პარლამენტის, ზოგადად ეროვნული ხელისუფლების სუვერენულ ნებაზეა დამოკიდებული, რამდენადაც ხელისუფლებას შეუძლია მიიღოს აქტი, რომლის საფუძველზე შეზღუდავს ან სულაც შეწყვეტს ევროგაერთიანების სამართლის მოქმედებას თავის ტერიტორიაზე. (46) მაგრამ აქ დგას მიზანშეწონილობის საკითხი, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფოებს სურთ, ევროგაერთიანების სამართალი თავიანთ ტერიტორიაზე მოქმედებდეს, როგორც პრიორიტეტული.

ხელისუფლების სრული სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის უარესად დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ დაარეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა ქვეყნის ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხს. როგორი ხასიათი ექნება ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობას, ანუ ზოგადად როგორი იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება დღეს, როცა ხელისუფლებისა და სუვერენიტეტის ზემოაღნიშნული ურთიერთობა გვიჩვენებს, რომ საქართველოში, მოცემული მომენტისათვის ხელისუფლების სხვადასხვა დონეების სუვერენიტეტი შეუთავსებადია. ეს საბოლოოდ ზიანს აყენებს, ზღუდავს სახელმწიფოს ერთიანი ხელისუფლების სუვერენიტეტს. საითკენ მიგვანიშნებს ეს გარემოება? რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? რა გავითვალისწინოთ? ჩვენი აზრით, დღევანდელი პოზიციიდან, საქართველოს ხვალისდელი ფედერალიზმი მოგვევლინება, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის და არა როგორც კონსტიტუციური პრინციპის შედეგი. რა ვითარებაში ხდება ამ პოზიციის ჩამოყალიბება? ვფიქრობთ, რომ იგი მკვეთრად გამოხატული ცენტრიდანული მოძრაობის ფონზე მიმდინარეობს. და კიდევ ერთი საკითხი, ყოველივე აღნიშნულის ფონზე, საკმარისია თუ არა კონსტიტუციურად იმ უფლებამოსილებათა

¹ Хартли.Т.К., Основы права Европейского сообщества, Юнити, Закон и право, Москва, COLPI, Будапешт, 1998, стр. 252.

განსაზღვრა, რაც მინიჭებული აქვს ცენტრალურ ხელისუფლებას, როგორც მის განსაკუთრებულ განმგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ან მოხსნის თუ არა პრობლემას სახელმწიფოს შემადგენელი სუბიექტების უფლებამოსილებათა საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ვფიქრობთ, რომ ეს არ იქნება საკმარისი, რადგან ჯერ კიდევ არ არის ერთიანი, მყარი კონცეფცია ქართული ფედერალიზმის შესახებ. პირველ რიგში გასარკვევია სუვერენიტეტის თეორიული დასაბუთების საკითხი. სუვერენიტეტის სახელმწიფოს არსებით ნიშნად დატოვების შემთხვევაში, უნიტარიზმი სრული სახით გვექნება, მაგრამ ფედერალიზმის პრინციპის გატარება ობიექტურედ გამოიწვევს სუვერენიტეტის არა სახელმწიფოს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნად დაკვალიფიცირება, რაც, თავის მხრივ, მათი გახლეჩის საშუალებას მოგვცემს თუ კი მას სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალში განლაგებულ ორგანოთა ექსკლუზიურ კომპენტენციას დავუკავშირებთ. მაშინ სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრში იქნება სუვერენული განსაკუთრებული განმგებლობის სფეროში შემავალი უფლებამოსილებების გადაწყვეტაში, ხოლო ფედერაციის სუბიექტების სახელისუფლო ორგანოები – მათსავე კომპენტენციაში განსაზღვრული კომპენტენციის ფარგლებში.

GEORGIA'S STATE SOVEREIGNTY AND ITS FUTURE CONTENTS AGAINST THE BACKGROUND OF WORLDWIDE DYNAMICS OF GLOBALISATION AND TRANSFORMATION

Human society organized in the form of state, due to its extreme complexity, diversity and thus conflicting nature, inevitably needs certain force in order to exercise control over the behaviour of various social groups as well as a human being itself. We should deem the government as such force, which with its coordinating and regulatory role within the society somehow benefits to this very society.

In the process of state building, the nation's primary concern is legalization of the government, which will guarantee the reality of sovereignty of state, the nation. For fulfilling this task the form and character of state order should be first of all determined constitutionally on the legislative level. Whereas for the implementation of all the above mentioned the government should be organized in a way which will lead to the establishment of political freedom in the state.

It is universally recognized that sovereignty is the independence of the state outside the country, or its ability to determine its goals and tasks by itself without other states' interference, and is the supremacy within the country or its ability to run its activity independent from other social-political forces existing in the state. Moreover, today, in the situation of transformation from commanding-administrative system for governing the country to the civil system, it is impossible not to mention that this majesty can not be absolute by its quality. We have more than once mentioned that the society is extremely complicated in terms of its structure, which is explained by existence of various social-political forces in it. Each of them certainly have its own structure, relevant government, next to which coexists the state government, which also by the relevant normative framework and basis retains the supremacy over other authorities. This is conditioned by the conception on political government itself, according to which it is the human government over the entire society united on the basis of the rules previously regulated by the legal norms, which, if the latter disobeys it, is entitled to use compelling measures. In other words this union of people, or the government is supreme over other social-political structures existing in the society.

When referring to the government as a legitimate force regulating the human behaviour as well as behaviour of various groups, we should also mention that it has its own scope limited to the territory where the state jurisdiction of this state applies. Moreover it should be emphasized that generally this is the territory of the titled nation, which gives the name to this country, the state. Proceeding from the above said we should believe that the idea that protection of territorial integrity of the nations is one of the important functions of the state is rightful. In my opinion, this is undoubtedly proved by Georgia's present and historical experience.

Indivisibility of the Georgian territory was once more proved by the Constitution of Georgia based on the people's will expressed through the referendum – fundamental form of democracy. With this regard first Article of the Constitution says: "Georgia is an independent, unified and integral state, which is confirmed by the Referendum conducted on 31 March 1991 throughout the whole territory of the country, including Abkhazian Autonomous Republic and former South Osetian Autonomous District as well as by the Act on Restoration of State Independence of 9 April 1991. It is apparent that throughout the whole Georgia, i.e. on Abkhazian territory too, the sovereign right of the Georgian government applies legally, and in Abkhazia in fact applies the sovereign right of the Abkhazian government. In extreme cases there are two sovereign authorities and this is inadmissible under the principle of supremacy of the very sovereign government, it is impossible to have two governments equally applying their power to one and the same people and territory. So, the strength and prestige of only the one, Georgian government is the guarantor of maintaining and protecting the absolute state sovereignty of Georgia on its entire territory. To this end the sov-

foreign government should have and be able to unlimitedly use legal and political and if necessary compelling mechanisms. We could talk about the sovereign government when the government is capable of exercising appropriate action in the event of such necessity.

The issue of sovereignty in the situation of today's transformed world, in our point of view, would not allow us to discuss the issue of state sovereignty only within the context of the events occurring inside the country or limit it only to the concept of classical understanding of sovereignty already discussed in foreign affairs. The changing situation of the world, one of the most important conditions for the establishment of which is the globalisation process, which is reflected in the drawing nearer the people and states, in overcoming the ethnical and nationalistic signs, speaks about the new approach of sovereignty, in terms of its practical-political, constitutional-legal framework and regulation, the new formulation of its essence. "We are heading to the world, where the role of human relations is more and more increasing, the global and unified world is established by approximation of different cultures and establishment of common market, by intensifying the political and economic relations of various countries"¹ says Charles Zeechar. It is natural that Georgia can not be left beyond the worldwide processes and indeed beyond its primary process called globalisation, which are evidently reflected in current events. Here we mean the process of integration of Georgia with Europe. Historical goal of integration with Europe becomes real. This very reality calls us to necessarily take account of our country's role, interests and goals in the most important bond of world globalisation, which exists and evolves in the form of European commonwealth. At present, the member states of the commonwealth have provided the latter with the complete portfolio of sovereign rights and duties.

In combination with all the above mentioned it is necessary to take into account and answer one question on where these globalisation and transformation processes are leading, are we going to adopt the European Union as a form of state order? Today we don't have to worry because the present principles of integration, the relevant legal framework show that it is the union of sovereign states where the biggest share is held by sovereign rights of each member state. Respectively, "European bodies are entitled to resolve only what can not be better determined on national-domestic level; this clause of subsidiarity principle is also contained in the Maastricht Treaty as compulsory".²

Thus, relationship between the European Union and Georgia is even more intensifying, working visits of delegations and experts from the European bodies are frequent and all this fortifies the cooperation which bases upon the fundamental values of the European Union.

The logics of these events show that the next issue in the agenda of full integration with Europe will be the accession to the EU. Achievement of this objective, as a sign of globalisation will call for new standards in the future. These standards are originated by the balance between the measures taken for the practical implementation of this objective or the ones to be taken in the future in this direction. All this will have adequate impact on sovereignty and its constitutional-legal regulation.

There is no doubt that sovereignty, by its classical understanding, bears particular significance for today's Georgia, if we examine it within the context of above mentioned problems, i.e. territory and if we study the integrity of state and supremacy of government from this point of view. Territorial problem of Georgia, which lies in the violation of state integrity and supremacy of its government throughout the whole territory, naturally violates its de facto sovereignty. Therefore it should also be noted that constitutional-legal balance of the state and its sovereignty does not comprise just territory because sovereignty in this case is a broader concept than territorial integrity and includes all principal aspects of political life of society, within the scope of which in our particular case Government of Georgia which has legal right to expand itself within the whole space, is deprived of supremacy as a necessary sign of the notion of sovereignty. Georgia, as well

¹ The Law School Magazine, New York university school of law, special issue, 1995, pp. 5-7.

² see the Charter of the Council of Europe, European Human Rights acts, Batumi, 1999, p. 11.

as any other state, in the era of transformation, globalisation and integration like today, can not solve all problems related with the integrity and sovereignty of the state without other states and people. Admitting the rightfulness of this idea, it will become obvious that the goal of integration with Europe and namely the European Union is necessary. We should therefore conclude that often wilful limitation of foreign sovereignty allows for providing the domestic sovereignty.

If we look through the society's interest and attitude towards this question, which is also one of the strategic trends in the state's foreign affairs, it is easy to observe that the process of integration with Europe is implemented in compliance with the state and social interests and receives adequate support by acknowledging that in the future in exchange for certain goods and profits we will have to compromise on some issues. In other words, together with ultimate integration with Europe we will have to delegate certain powers of state government in favour of the European Union. Delegation of specific part of the powers will be conditioned by the circumstance that EU member states are obliged to bring their constitutions in line with the status of the member of the Union. Indeed, constitutions of the member states should contain provisions, which provide for two necessary guarantees: application of the EU law on the territory of member state and primacy of the EU law over the national law. In other words the State, if it evades constitutional modifications, should provide for the direct application of the EU treaties and in case of conflict of the provisions of national law should give advantage to the norms of the EU law. These circumstances, if the goal of integration with Europe is successfully implemented, will naturally raise the question of the state sovereignty and the scope of its possible limitation.

In the member states of Europe when regulating the constitutional-legal of their sovereignty we can observe the provisions of various wordings on the limitation or possible limitation of sovereignty. For instance, in Article 24 of the main law of the German Federation Republic says that "(1) The Federation may by legislation transfer sovereign powers to intergovernmental institutions. 1a) insofar as the state (Lander) are responsible for the exercise of state rights and the discharge of state duties, they can with consent of the Government, delegate sovereign powers to institutions for neighborhood at state borders".¹

Article 11 of the Italian Constitution indicates that Italy "...on conditions of equality with other states, to such limitations of sovereignty as may be necessary to allow for a legal system that will ensure peace and justice between nations."²

Territorial problems that Georgia faces today will be regulated when the issue of its territorial-state arrangement is solved. As already mentioned, the issue of limitation of sovereignty to some extent will therefore raise. Thus for the normal, peaceful integration we should from the beginning determine the attitude towards the sovereignty, its essence. I think that it is necessary to examine sovereignty within already mentioned context, as permanently evolving, dynamic process. If we compare the state goal of European integration, relevant state ideology and sovereignty with each other, we will need to look through the history of origination of sovereignty, which was already briefly referred and we should acknowledge that sovereignty as a progressively evolving political-legal event had been gaining the relevant essence in different historical eras which is conditioned by the essence of political life of the era itself.

Integration of Georgia with the European Union will raise many questions with regard to sovereignty. Would the ongoing integration processes cause the formulation of new essence of sovereignty? Does this new essence mean the limitation of the Georgia's sovereignty? How far possible and reasonable would it be in our case? Are the national-state interests encroached in this case?

The examples given with regard to the requirements for integration with Europe and to constitutional-legal regulation of these requirements, in my opinion, clearly show that it is necessary to

¹ См. Основной закон федеративной республики Германии, Конституции государств Европейского союза, ИНФРА, М., 1997, стр. 189.

² see Constitution of Italy, A. Demtrashvili, Constitutions of the World, "Iuridili literature", Tb., 1992, p. 176.

approach the essence of sovereignty in a new way, which is relevant to the globalisation processes. If Georgia integrates with Europe we will have to make parallels with what we have already mentioned above, or this integration will cause limitation of state sovereignty to some extent i.e. the questions put by us should receive positive answers.

As for the possibility of such limitation, it would be reasonable to refer to classical, official definition of the sovereignty itself, according to which "sovereignty" of French origin means supremacy and independence of the government. According to the constitutional-legal science, state sovereignty means supremacy of the state within the country and its independence in the foreign affairs i.e. completeness of legislative, executive and judicial authority by the state on its territory, which excludes any other authority as well as disobedience of the state to other state's government in the field of international relations except the cases of clearly expressed and voluntary limitation of sovereignty by the state.¹ As it seems from the logic of the last sentence of this definition, the very notion of sovereignty itself allows for the limitation of the scope of sovereignty in this specific case. The answer on the possibility of limitation of sovereignty, in our opinion, should be found in the universally recognized norms of international law and legitimacy of the government, balance of state and public sovereignties, their maximum unity. As for the positive answer on the aspect of reasonability and interest, we think that should be found on the one hand in goals and achievements in the integration of Europe and on the other in our society's attitude towards integration therein and social, economic and political guarantees gained from it.

Thus we should conclude that guarantees of our country's sovereignty will considerably depend upon the equal cooperation founded on the new values with other states and peoples. Accordingly, sovereignty can not be examined as an absolutely implacable castle. It is gradually evolving process.

The logic of this discussion on globalisation and integration, its legal consequences necessarily leads us to the necessity of certain transitions, changes in other words there naturally raises the issue of transformation, as one of the most important conditions for transition of the modern world.

When talking about European integration and significance of the law in this process, it is necessary to take into account and analyse the place of national legal system in the transformation process, because upon this depends the existence of mechanisms of specific problems and their regulation raising in the process of development of these events. Integration with the European Union, despite acknowledging the European law, harmonisation of national legal system, pre-eminence of the European Union, as shown from the practice of the EU member states, existence of specific, certain problems between these two systems is not at all excluded and in fact on constitutional level too.

The provision of Article 6 of the Georgian Constitution on compliance of the Georgian legislation with the universally recognized international law principles and norms and on prior legal force of the international treaties and agreements of Georgia over internal normative acts, creates favourable legal framework for integration and transformation. However, this still can not sufficiently legally guarantee that specific conflicts in the future will not occur between our national-legal system and European law. For instance, in the reality of Germany, which is the member state of the European Union, there raised the problem in the field of human rights though having the balance between two legal systems. Question concerned if the EC law should be applied in Germany as primary one over domestic constitutional provisions even if it contradicts to the constitutionally recognized concept of human rights.

The Federation may by legislation transfer sovereign powers to intergovernmental institutions. 1a) insofar as the state (Lander) are responsible for the exercise of state rights and the discharge of state duties, they can with consent of the Government, delegate sovereign powers to institutions for neighborhood at state borders.

¹ Большой юридический словарь, ИНФРА-М, М., 1997, стр. 663-664.

[Italy] it shall agree, on conditions of equality with other states, to such limitations of sovereignty as may be necessary to allow for a legal system that will ensure peace and justice between nations.

In the beginning the Constitutional Court of Germany considered Community systems in the field of human rights as insufficient. Only in the decision made in 1986 on the case *Wunsche handelsgezelschaft* it acknowledged that in the Community law these standards were raised and from now on comply with the requirements of the German Constitution,¹ which was to a certain extent stimulated by again the German Constitutional Court Decision on the case *internationale handelsgezelschaft*. In the decision made a bit later (1990) the court stated that directives which violate human rights with regard to the EC law, may be contested at the European Court, but if it is deemed as insufficient for the standards set by the German Constitution, which German Constitution qualifies as unconditional, it may become grounds for applying to the Constitutional Court of Germany. And what should be stressed is that, the Constitutional Court, by its Decision, declared the German legislation adopted for the purpose of implementation of Community directives as a subject of constitutional control. Therefore, the human rights field is not the only problematic field. Nor is Germany the only country having similar problems. For instance, again with regard to human rights, the Constitutional Court of Italy stated that if ever the Community treaty is interpreted so that it would let admission at the European Court of the claim which violates fundamental human rights, then the Constitutional Court will consider the issue of compatibility of this treaty with human rights. In the opinion of Hartley, it is presumable that this might result in casting doubt on Italy's membership in the Community. According to present dynamics of globalization and transformation, triumphal development of the EC law in the Community countries is apparent. Moreover, on the example of Great Britain (and not only Great Britain) it is obvious that this triumph depends on the sovereign will of the parliament, in general of the national government, on the basis of which it will restrict or at least terminate the application of the EC law on its territory. However, the point here is the reasonability, according to which the states wish to have the EC law applied as a prioritive on their territory. For securing full sovereignty of the government, outmost important will become the question on how the Georgian legislation will regulate the issue of territorial arrangement of the country. What kind of relations will be between central and local bodies, or generally what will be the form of state order of Georgia. This significance is especially pressing today, when the above noted relationship of the government and sovereignty shows that at this stage in Georgia sovereignty of various levels of government is incompatible. Ultimately this damages, limits the sovereignty of whole government of the state. Where is this situation leading? what should the focused on? What should we take into account? In our point of view, from present standpoint, Georgia's future federalism will appear as the result of practical policy and not of constitutional principle. In what situation is such position formulated? We think that it proceeds against the background of clearly expressed centrifugal movement. And one more question, against the background of the above mentioned, is it sufficient to constitutionally define the authorities which are granted to the central authority as issues belonging to its particular governance, or would the legislative regulation of the authorities of constituent entities of the state solve the problem. We believe, that it will not be sufficient, because common, stable conception on Georgian federalism is not yet available. First of all the issue of theoretical substantiation of sovereignty should be clarified. If sovereignty is left as an essential feature of the state then unitarism will be fully presented, but implementation of the principle of federalism will objectively result in qualifying the sovereignty not as the feature of state but of state government, which per se will allow their splitting if it is linked with the exclusive competence of the bodies placed in the vertical structure of the state government. Thus the state government will be in the center in solving the authorities that fall within the field of sovereign, special governance, whereas the governmental bodies of the entities of federalism in the competence determined within their own competence.

¹ Хартли Т. К., Основы права Европейского сообщества, закон и право, Москва, COLPI, Будапешт, 1998, стр. 252.

საყოველთაო სამართლისო სამართლის პრიმატის ზენაცონალობის პრობლემები და საქართველო

საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფო სამართლის ურთიერთზემოქმედების პრობლემა უფრო ფართო პრობლემის, სახელმწიფოს საზოგადოებრივი-პოლიტიკური სისტემისა და საერთაშორისო სისტემის ურთიერთზემოქმედების შემაღგენელი ნაწილია.

როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო სამართალი სწორედ ის ძირითადი მექანიზმებია, რომელიც ამ ურთიერთზემოქმედებას არეგულირებს.

სამართლის გაბატონება ყოველთვის გვევლინებოდა ნებისმიერი საზოგადოების განვითარების დამადასტურებელ ფაქტორად. ყოველ სახელმწიფოს განვითარების საკუთარი მოდელი გააჩნია, თუმცა ამასთან ერთად არსებობს საერთო ელემენტებიც, როგორც ეკონომიკაში, პოლიტიკაში, იდეოლოგიაში (მართლშეგნების ჩათვლით) და სამართალშიც, რომლებიც კაცობრიობის საერთო გამოცდილებას ეყრდნობა. სწორედ ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ სოციალური პროგრესისათვის ოპტიმალური პირობების არსებობა ხელს უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თავის მხრივ, მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობას, როდესაც არც სახელმწიფოს მთლიანად ან მის რომელიმე ორგანოს, თუ თანამდებობის პირს არ აქვს უფლება გადაუხვიოს დადგენილ ნორმებს. ნორმის დარღვევისათვის დეგრა შესაბამისი პირების პასუხისმგებლობა მიუხედავად იმისა, თუ რომელი თანამდებობრივი თუ სოციალური მდგომარეობა უკავია ამ პირს. ასეთ სახელმწიფოში უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სამართლებრივი სისტემა იცვლება ცხოვრების მოთხოვნებთან ერთად. მხოლოდ ამგვარი სისტემა შეესაბამება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს საერთაშორისო სტანდარტებს.

ჩვენს დროში სახელმწიფო სისტემების თვისობრივ მახასიათებლებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის განსაზღვრისათვის – ეს ეხება, როგორც ძლიერ ასევე სუსტ სახელმწიფოებს – „ოპტიმალური შემთხვევაა, როდესაც არა მარტო სახელმწიფოს კანონმდებლობა შეეფარდება საერთაშორისო სამართალს, არამედ მისი საგარეო პოლიტიკაც ეყრდნობა საერთაშორისო სამართალს“.¹ სამართლებრივი სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების აუცილებელი შემაღგენელი ნაწილია. ამიტომ, საერთაშორისო სამართლის გაბატონების კონცეფცია ასეოდენ აქტუალურია. თუმცა თვით საერთაშორისო სამართლისადმი არაერდგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა არამარტო ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, არამედ დღესაც – დაწყებული სრული უგულვებლყოფიდან, დამთავრებული მისი შესაძლებლობების გაუმართლებელი გადაჭარბებით. ჰუგო გროციუსი წერდა, რომ „ხალხი, რომელიც ბუნებით სამართალს არღვევს, საკუთარ სიმშვიდესა და კეთილდღეობას საძირკველის ძირს უთხრის“.

წარსულის პოლიტიკოსები თვლიდნენ რომ „არა უმრავლესობის დადგენილებებით, არამედ სისხლით ხდება სადავო საკითხების გადაწყვეტა და იქცეოდნენ კიდევ შესაბამისად“.²

ამასთან დაკავშირებით ლისტი წერდა, რომ „საერთაშორისო სამართლის დებულებები ხშირად ითვლება, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოები საჯაროდ აღიარებენ საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ძალას ნებისმიერი დავის დროს, ომის ჩათვლით“.³

დღესდღეობით სულ უფრო მეტ მეცნიერს, პოლიტიკოსს თუ იურისტს გათვინობიერებული აქვს შემდეგი დებულება: იმისათვის რომ გადაჭრილ იქნეს გლობალური პრობლემა – სამყაროს გადარჩენა – სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში უნდა ბატონებდეს ცივილიზებული

¹ Лившиц Р.З., О легитимности закона //теория права-новые идеи, М., 1995, стр. 18.

² Гуго Гроций О праве войны мира. М., 1956, стр. 48,49.

³ Лист Ф. Международное право в систематическом изложении. Юрьев. 1909, стр. 9.

ურთიერთობები, დაფუძნებული საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ზოგადსაკაცობრიო მორალზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ახალ პოლიტიკურ აზროვნებაში ისეთ ცნებებთან ერთად, როგორცაა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ინტერესების პრიორიტეტი, მსოფლიოს ერთიანობა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება, განვითარების გზების არჩევანის თავისუფლება; საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო მყარად მკვიდრდება საერთაშორისო სამართლის პრიმატის კონცეფცია. ამავე დროს, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ სამართლის როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში არ წარმოადგენს მთავარ თემს.⁴ თუმცა საერთაშორისო სამართალი არსებობს უძველესი დროიდან, საერთაშორისო საზოგადოებაში და თვით საერთაშორისო სამართლის ხასიათში მეოცე საუკუნეში მომხდარმა ცვლილებებმა მიაჩნა მას ახალი ჟღერადობა.

ის, რაც წარსულში განიხილებოდა როგორც საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ატრიბუტად, საკუთარი მოქმედების გამართლების ან პირიქით, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების დადანაშაულების საშუალებად, გადაიქცა თანამედროვეობის გლობალური პრობლემის გადაჭრის უმთავრეს ხერხად.

რატომ თამაშობს საერთაშორისო სამართალი ასეთ დიდ როლს ?

თუ მოკლედ შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, უწინარესად უნდა აღვნიშნოდ, რომ მსოფლიო სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული და ინტეგრირებული ხდება. სახელმწიფოთა ცალმხრივი მოქმედება, რომელშიც არ არის გათვალისწინებული სხვა სახელმწიფოთა და ერთა ინტერესები, არა მხოლოდ არ იძლევა გრძელვადიან უპირატესობას, არამედ საფრთხის წინაშე აყენებს თვით კაცობრიობის არსებობას.

ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, როგორც დამარცხება, ისევე გამარჯვება შეიძლება იყოს საერთო, ხოლო სახელმწიფოთა მოქმედებები ურთიერთმეთანხმებული უნდა იყოს. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო სამართლის, როგორც ქცევის წესების ერთობლიობის მეშვეობით, რაც სახელმწიფოთა ნების, პოზიციებისა და ინტერესების, შედეგს წარმოადგენს.⁵ ეს წესები განმტკიცებულია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებში და ჩვეულებებში, ასევე სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების იურიდიულად სავალდებულო რეზოლუციებში.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღარ წარმოადგენს ბურჟუაზიულ თუ საციალისტურ სამართალს. ეს არის ზაგადსაკაცობრიო, ზოგადდემოკრატიული ხასიათის ნორმატიული სისტემა. მისი ნორმები, რომელსაც საფუძვლად გაეროს წესდების პრინციპები უდევს, გამოხატავს ცალკეული სახელმწიფოების და მთლიანად სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესთა ბალანსს. მასში ნორმატიულად განმტკიცდა მრავალი ზოგადსაკაცობრიო ღირებულება: ძალის გამოყენების აკრძალვა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და სხვა. იურიდიულად სავალდებულო ფორმით განმტკიცდა ღებულებები, რომლებიც კაცობრიობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ამიტომ ერთიანი მართლწესრიგის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის პრიმატს, საერთაშორისო ურთიერთობებში საციცოხლო აუცილებლობას წარმოადგენს. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრიმატი საერთაშორისო ურთიერთობებში უზრუნველყოფს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების და ინტერესების ნორმატიულ ასახვას. საწყის დოკუმენტს, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალი დაეყრდნო, გაეროს წესდება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის უნიკალურება არ წარმოადგენს

⁴ ნორმან ჰაეხი. მოხსენება ბერლინის 1999წ 17/I კონფერენციაზე. სამართლის პრიმატის შინაარსი საერთაშორისო პოლიტიკაში. http://home.t-online.de.g.woop/gw_07324.htm.

⁵ Алексидзе Л. Некоторые вопросы теории международного права. Иперативные нормы. Тбилиси 1982г. стр. 136-141.

დავის საგანს. თუმცა წესდების პრინციპები და ნორმები, ასევე მთლიანად გაეროს მექანიზმი ბუქსირებას იწვევს, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები ვერ აღწევენ ერთიანობას. მსგავს შემთხვევაში, არა სამართლის უზენაესობა, არამედ ძალთა თანაფარდობა იქცევა თამაშის ძირითად წესად. ამის ნათელი მაგალითია ყოფილი იუგოსლავიის მიმართ განხორციელებული ზომები (კოსოვოში ე.წ. ჰუმანიტარული ინტერვენცია). ასეთი შემთხვევების დაშვება საშიშ პრეცედენტებს ჰქმნის, სწორედ ამგვარი პრეცედენტებისაგან მკაცრად უნდა იყოს დაცული საერთაშორისო სამართლის ნორმები. ყოვლად დაუშვებელია ორმაგი სტანდარტების არსებობა – ერთის მხრივ საერთაშორისო სამართლის პრიმატის აღიარება და მეორეს მხრივ ძალის პოლიტიკის გამოყენება საერთაშორისო ნორმების გვერდის ავლით. ორმაგი დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისადმი – მსოფლიო მართლწესრიგის პროგრესულ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა და ამავე დროს – საკუთარი ეგოისტური პოზიციების რეალიზების მცდელობა, საზოგადოების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათზე მეტყველებს. როგორც კი ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც ვერ გვარდება სამართლებრივი ნორმებით, თავს იჩენს ე.წ. ძალმომრეობის პრინციპი. ეს მიანიშნებს არა იმაზე, რომ არ არსებობს ნორმა, რომელიც მოაგვარებს სადავო საკითხს, არამედ იმაზე, რომ არ არსებობს ამ ნორმათა აღსრულების სრულყოფილი მექანიზმი.⁶ ამგვარად კნინდება საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო სამართლის პრიმატის კონცეფცია. საერთაშორისო სამართლის პრიმატის კონცეფცია არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფოთა ნებასურვილზე გამოიყენოს თუ არა არსებულ ვითარებაში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა. დღეს, როდესაც საერთაშორისო სამართლის პრიმატი უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით, კანონიერების, დემოკრატიის, და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციების გაფართოვებას, სწორედ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო სამართლის პრიმატის დაცვა საერთაშორისო ურთიერთობებში. კონკრეტულად რა იგულისხმება სამართლის გაბატონებაში საერთაშორისო ურთიერთობებში?

- I. საერთაშორისო სამართლის გაბატონება მიიღწევა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების მკაცრი დაცვით სახელმწიფოთა მხრიდან.
- II. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საერთაშორისო ურთიერთობებში ნიშნავს ასევე სამართლის გაბატონებას ძალაზე, რადგანაც სწორედ ძალისადმი ან ძალის დამუქრებისათვის მიმართვა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მართლწესრიგს. საერთაშორისო სამართლის უზენაესობას მხოლოდ ისეთ პირობებში შეიძლება ჰქონდეს ეფექტურობა, როდესაც სახელმწიფოებს გათვინობიერებული აქვთ საკუთარი ინტერესი ურთიერთშეთანხმებული პრიორიტეტების უზრუნველყოფაში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს გათვინობიერებული უნდა ჰქონდეს მრავალმხრივი ზომების პრიორიტეტი ცალმხრივ ქმედებაზე.
- III. საერთაშორისო სამართლის პრიმატის განხორციელება საერთაშორისო ურთიერთობებში მოითხოვს ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ურთიერთშეთანხმების უზრუნველყოფას შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან. თითოეული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

საერთაშორისო არენაზე სამართლის უზრუნველყოფა, ეს არის მცდელობა შეიქმნას ისეთი სრულყოფილი მართლწესრიგი, რომელიც შეძლებს საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო სამართლის პრიმატის იდეის რეალიზებას. აღნიშნულის განხორციელების საშუალებას თანამედროვე ტენდენციები იძლევა.

საერთაშორისო სამართლის პრიმატის უზრუნველყოფა საერთაშორისო ურთიერთობებში საჭიროებს ცალკეულ სახელმწიფოთა გათვინობიერებას სამართლის უზენაესობის აუცილებ-

⁶ Ушаков Н.А. Правовое регулирование использования силы в международных отношениях. М., 1997, стр. 17-20.

ლობაში.⁷ ეს არის მნიშვნელოვანი, როგორც დიდ, ასევე პატარა სახელმწიფოებისათვის. ბუნებრივია, რომ მხოლოდ თვითშეგნებაზე დაყრდნობა არ მოიტანს ქმედით შედეგებს. საერთაშორისო სამართლის პრიმატის უზრუნველყოფის მიზნის მისახსენებლად აღსანიშნავია ორი ძირითადი პირობა;

1. სახელმწიფო იძულებული უნდა იყოს უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლის პრიმატი.

მაგ. ახლად შექმნილი სახელმწიფოები აღიერებენ საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატს, თუნდაც იმიტომ, რომ სათანადო რენომე (ავტორიტეტი) მოიხვეჭონ და მოაგვარონ შიდასახელმწიფოებრივი პრობლემები საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით.

2. საერთაშორისო თანამეგობრებას უნდა გააჩნდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც აიძულებენ ურჩ სახელმწიფოებს აღიარონ საერთაშორისო სამართლის ნორმები.

მართალია, არც ერთი სახელმწიფო ნებაყოფლობით და ღიად თითქმის არასოდეს აღიარებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას. ყველა სამართალდამრღვევი სახელმწიფო ცდილობს მეტ-ნაკლები იურიდიული დასაბუთება მისცეს თავის ქმედებას.

სამწუხაროდ, ამის საშუალებას, რიგ შემთხვევებში, თვით საერთაშორისო სამართლის ნორმა, უფრო სწორედ მისი განმარტება (ინტერპრეტაცია) იძლევა.

ეს განპირობებულია იმით, რომ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოთა პოლიტიკური ნება აგებულია პრინციპზე „სხვა სახელმწიფოს ქმედების შეზღუდვით იზღუდება თვით მოცემული სახელმწიფოს ქმედება“.

საერთაშორისო სამართლის პრიმატის საკითხი საგარეო ურთიერთობებში მჭიდრო კავშირშია ზენაციონალურობის საკითხთან. ამ ცნების გამოყენება ევროპულ ინტეგრაციას უკავშირდება. მიიჩნევენ, რომ ზენაციონალურობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც რომელიმე გაერთიანება უფლებამოსილია დაავალდებულოს წევრ-სახელმწიფოები და მოსთხოვოს კონკრეტული მოქმედების გატარება ისე, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მისგან უფლებამოსილების დასტური არ მიიღოს. გაერთიანებას გააჩნია უფლებამოსილება, გარკვეული მოცულობით გასცეს დამოუკიდებელი განკარგულება. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო, თავისი ნების გამოძღვანების საფუძველზე, ახდენს თავისი სუვერენული უფლებამოსილების დელიგირებას ამგვარი გაერთიანებებისადმი. სუვერენული უფლების დელიგირება არ იწვევს ნეგატიურ შედეგებს სუვერენიტეტისადმი.⁸ ანუ ეს ნიშნავს, რომ ზენაციონალურობა შესაძლებელია არსებობდეს ისეთი გაერთიანებების ჩარჩოში, რომლის წევრები სუვერენული ერთეულები არიან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ ფუნქციონალურ ზენაციონალურობაზე, რომელიც არის სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების ერთ-ერთი საშუალება, და რომლის არსებობას სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულება უდევს საფუძვლად. ზენაციონალურობის არსი მდგომარეობს შემდეგში: ზენაციონალური გაერთიანების შიდა სამართალი ავტომატურად იქცევა მისი წევრ-სახელმწიფოების შიდა სამართლად; გაერთიანების შიდა სამართალი იქმნება ისეთი ორგანოს მიერ, რომელსაც წევრ-სახელმწიფო იურიდიულად ვერ აკონტროლებს, მისი გადაწყვეტილებანი სავალდებულო ხასიათს ატარებს წევრ-სახელმწიფოსათვის, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან თუნდაც ნეგატიური დამოკიდებულებისა ამგვარი გადაწყვეტილებისადმი; ამავე დროს, შესაბამისი საკითხის განხილვა შესაძლებელია ამოღებული იყოს მისი გამგებლობისაგან (მაკონკურირებელი კომპეტენცია). ზენაციონალური ორგანო იქმნება საერთაშორისო-სამართლებრივი შეთანხმებით, რომლის რეალიზება ხორციელდება ნაგულისხმევი კომპეტენციით; წყაროებს, როგორც წესი, წარმოადგენს არა საერთაშორისო სამართალი,

⁷ Верещетин В.С Мюллерсон Р.А.Новое мышление международного права. "Советское государство и право". 1988, № 3.

⁸ Королев М.А. Наднациональность с точки зрения международного права. Московский журнал международного права. 1997, №2.

არამედ გაერთიანების შიდასამართალი. ამგვარად, საერთაშორისო სამართალში წარმოიშვა ვითარება, როდესაც სავსებით რეალური ურთიერთობები, რომელიც სახელმწიფოთაშორისო სფეროში არსებობს და მოითხოვს სამართლებრივ რეგლამენტირებას, ატარებს არა ტრადიციულ, სუბიექტურ თუ ობიექტურ ხასიათს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელყოფილია კლასიკურ საერთაშორისო სამართალში მოქმედი პრინციპი: *par in parem non habet imperium*. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თავისებურებანი შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ ზენაციონალურობის არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ასპექტებზე. ამის მაგალითს გვაძლევს, როგორც გაეროს სისტემა, ასევე ევროკავშირის სამართლებრივი სისტემა.

გაეროს წესდების პირველსავე მუხლში აისახა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ცნება, რითიც ნორმატიულად დაფიქსირდა ის ძირითადი დებულება, რომელზეც აგებულ უნდა იქნეს სახელმწიფოთა თანამშრომლობა: უშიშროების საბჭოს დაეკისრა ფუნქცია განახორციელოს იძულებითი ხასიათის უფლებამოსილება დაფიქსირდა. რიგ შემთხვევებში, გაეროს შეუძლია მიიღოს ზომები მესამე სახელმწიფოების მიმართ. საერთაშორისო სასამართლომ საკონსულტაციო დასკვნაში 1949 წ. განაცხადა, რომ გაეროს გააჩნია საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტურობა არა მხოლოდ გაეროს წევრ-სახელმწიფოების, არამედ სხვა სახელმწიფოების მიმართაც. ამგვარად გაეროს სისტემის დაარსებამ საფუძველი ჩაუყარა სამართლებრივი ინტეგრაციის ინსტიტუტს, რომელიც გაჯერდა და დაიხვეწა ევროკავშირის ფარგლებში, რაც დღეს უდავო საკითხს წარმოადგენს.

საქართველოს წინაშე დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად დადგა საკითხი, თუ რა ადგილს დაიკავებს იგი საერთაშორისო ასპარეზზე. უდავოა რომ ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ავტორიტეტის მოხვეჭვა და განმტკიცება საერთაშორისო ურთიერთობებში. საქართველო თავისი არსებობის რთულ პერიოდს განიცდის. მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და შესაბამისი მართლწესრიგის ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი. ეს პროცესი გართულებულია სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა პრობლემებით, რაც განაპირობებს შიდა და საგარეო პოლიტიკის შეფარდების სპეციფიკას. აქედან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ არსებულ ვითარებაში ქვეყანას გააჩნდეს სტრატეგიული კონცეფცია საგარეო პოლიტიკისადმი. ამგვარი კონცეფციის არსებობა ნაციონალური ინტერესების დაცვის მყარი გარანტიაა, ვინაიდან ამ ინტერესების დაცვა შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათი სამართლიანი ინტერესების პატივისცემისა და გათვალისწინებით, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნათა დაკმაყოფილებით. საგარეო ურთიერთობების წარმართვა უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ იდეებს, ასახავდეს იდეალებს, რათა სახელმწიფოს პოლიტიკურმა სტრატეგიამ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა მოიპოვოს. საგარეო პოლიტიკური სტრატეგია წარმოუდგენელია საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფციის გარეშე. შეუძლებელია დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა არ ემყარებოდეს საერთაშორისო სამართალს. სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკა დაუშვებელია იყოს არასამართლებრივი, მით უმეტეს, რომ თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო სამართლის, როგორც გლობალური სისტემის მართვის ინსტრუმენტის, ალტერნატივა არ არსებობს.

საქართველო, სუვერენული არსებობის პირველივე დღიდან, ცდილობდა გამხდარიყო საერთაშორისო თანამეგობრობის თანასწორუფლებიანი წევრი, და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნებას, მის მიერ შექმნილ საერთაშორისო მართლწესრიგს დამორჩილებოდა. ჯერ კიდევ 1991 წ. 9 აპრილს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში“ დაფიქსირდა, რომ „საერთაშორისო სამართლის პრინციპი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად“. ეს დებულება განვრცობილ იქნა

საქართველოს 1995 წ. კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლებში. ამ ასპექტში, ყურადღებას გავამახვილებთ ერთ დოკუმენტზე. ეს გახლავთ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი „საქართველო და მსოფლიო – მომავლის ხედვა და სტრატეგია“, რომლის პრეზენტაცია 2000 წლის მიწურულს მოხდა. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას და გადაჯაჭვულია საგარეო პოლიტიკურ, საგარეო ეკონომიკურ და თავდაცვით სტრატეგიულ მიმართულებებთან.⁹

დოკუმენტში მოკლედ აისახა ის, თუ რა სამუშაო გასწია საქართველომ განვლილი წლების მანძილზე ამ მიმართულებით, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მომავლის სრატეგიული ხედვა. დოკუმენტში აისახა ძირითადი პრინციპები რომელზეც აგებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები:

- ზოგადსაკაცობრიო, დემოკრატიული ცივილიზაციის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობათა უზენაესობა. სწორედ საერთაშორისო სამართალი გვევლინება იმ სისტემად, რომელშიც დაფიქსირდა ყველა ის პროგრესული, დემოკრატიული იდეალები, რომელთაც ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობები ეწოდება. ამით საქართველომ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისადმი, ამჯერად საერთაშორისო ურთიერთობებში.
- გლობალიზებად სამყაროში საქართველოს ისეთი ადგილისა და ფუნქციების განსაზღვრა, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემდა, როგორც გლობალიზაციის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების, ისე უნარს სათანადო პასუხი გაეცა ამ საყოველთაო პროცესით წარმოშობილ გამოწვევებზე. საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრია, რაც საშუალებას აძლევს ქვეყანას გამოიყენოს ის საერთაშორისო მექანიზმები, რომელნიც საერთაშორისო თანამეგობრობაში მის ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.
- გლობალიზაციის პროცესში ეროვნული თვითყოფადობის, ათასწლეულთა მანძილზე შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველყოფა. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ყოველთვის ექცეოდა სხვა და სხვა სახელმწიფოების ინტერესების სფეროში. თანამედროვე ეტაპზე ისეთი პატარა სახელმწიფოს არსებობა, როგორცაა საქართველო, საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად სწორედ საერთაშორისო სამართლით აღიერებული პრინციპები და ნორმები უზრუნველყოფს. საერთაშორისო სამართალი გვევლინება იმ ინსტრუმენტად, რომლისადმი აპელირება სახელმწიფოს უფლება-მოვალეობების დაცვის გარანტირების საშუალებაა.

ამ პრინციპების გარდა, დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვრა ის მიმართულებები საგარეო ურთიერთობებში, რომლითაც საქართველოს პოლიტიკური კურსი განვითარდება. პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება. საქართველო სწორედ ევროპის საბჭოში თანამშრომლობას განიხილავს, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ამიტომ არის, რომ საქართველო ყველა ღონეს ხმარობს, რათა ამ ორგანოში გაწევრიანებისას წამოყენებული პირობები შეასრულოს.

საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას, კერძოდ ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რეალიზებას. ევროპის სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპის სამართლის პრიმატის აღიარებაზე, რაც უფრო შორს მიდის ვიდრე საერთაშორისო სამართლის

⁹ ირაკლი მენაღარიშვილი. „საქართველო და მსოფლიო – მომავლის ხედვა და სტრატეგია“. მოხსენება კონფერენციაზე, 2000 წლის ოქტომბერი.

პრიმატი ნაკარნახევი ვალდებულები. ამ საკითხის შესწავლა სათანადო მეცნიერულ ყურადღებას მოითხოვს.

მაგრამ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება საქართველო – გაეროს თანამშრომლობა, რაც დოკუმენტის ცალკე თავში აისახა. ამით ქვეყანამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, თუ რა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ისეთი უნივერსალური ორგანიზაცია, როგორცაა გაერო, მშვიდობის დამკვიდრებასა და შენარჩუნების, მსოფლიოში ახალი მართლწესრიგის განმტკიცებისა და განვითარების პროცესში. სწორედ ამ მართლწესრიგის პრიმატი დღეს ცალკეულ ქვეყნებში დემოკრატიული, სამათლებრივი მართლწესრიგის არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

უდავოა, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს საერთაშორისო არენაზე. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო აღმშენებლობა წარმოუდგენელია საერთაშორისო თანამეგობრობის გარეშე, ხოლო ინტეგრირების პროცესის წარმართვა შეუძლებელია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინების გარეშე, რაც აისახება სახელმწიფოს, როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო ფუნქციების განხორციელებაში. საქართველომ პირველი ნაბიჯები გადადგა საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების ასპარეზზე, რის დასტურსაც ზემოდანახსენები დოკუმენტი წარმოადგენს. ეს დოკუმენტი პირველი მცდელობაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის თეორიული ასპექტების შეჯამებისა და პერსპექტივაში სტრატეგიულ მიმართულებათა კონცეფციის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი გამჭვალულია საერთაშორისო სამართლის პრიმატის სულისკვეთებით, თვით ეს დებულება სათანადოდ ფორმულირებული არ არის, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლები ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო სამართლის ქართული მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად გვევლინება უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო მართლწესრიგის თანაფარდობის შესწავლა, ცალკეული სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ამ პრიმატის კონკრეტული გამოკვლევა და ამ პროცესის დაჩქარების მიზნით ახალი, კონკრეტული ღონისძიებების დასახვა.

PROBLEMS OF PRIMACY OF UNIVERSAL INTERNATIONAL LAW AND SUPRANATIONALITY AND GEORGIA

The question of mutual influence of international law and domestic law is the integral part of a more extensive question of mutual influence of states' social-political systems and the international system.

Both a state and international law are the key mechanisms regulating the abovementioned mutual influence.

The fact of domination of the law always has been proving the development of that society. Every state has its own model of development, however there are also common elements in economy, politics, ideology (including sense of justice) and law as well basing upon the common experience of mankind. This very experience shows that only the existence of optimal conditions for social progress encourages the establishment of a lawful state. In its turn, only the existence of a lawful state ensures the supremacy of the law when neither the state as a whole nor its bodies or officials have the right to derogate from the established norms. In case of violation of the norm the respective person's liability arises whatever his position or social status is. In such a state protection of human rights and freedoms is ensured. The legal system changes along with the demands of life. Only such a system complies with the democratic lawful state's international standards.

These days the characteristics of the state system is important for determining the state's international authority – this concerns both strong and weak states – “is an optimal case when not only the state legislation complies with the international law but also its foreign policy bases upon international law”.¹⁰ Lawful states are the indispensable integral part of the international community. Hence the conception of domination of international law is so pressing. However, diversified attitude towards the international law itself has been existing not only in various periods of history but today as well – starting from absolute ignorance ending with unjustified exaggeration of its capacities. Hugo Grotius wrote: “people who violate natural law, ruins its own peace and welfare”. In the past the politicians believed that “the disputable questions are solved not by the majority is decisions but with blood and thus they indeed acted so”.¹¹

With this regard F. List wrote as follows: “the provisions of international law are often disregarded but at the same time the states openly recognize the compulsory nature of international law in any dispute, including war”.¹²

At present greater number of scholars, politicians and lawyers acknowledge the following provision: in order to solve a global problem – to save the world – civilized relations shall dominate in the relationship between states, based upon international law norms and universal moral. That's why not accidentally in the new political thinking together with notions such as priority of universal values and interests, integrity of the world and interrelation of countries, freedom of choice of the ways of development; the concept of primacy of international law are being more stably establishing. Furthermore, one part of scientists considers that the role of the law in a state's foreign policy is not the key topic.¹³ However, the international law has been existing since ancient times, changes occurring in international society and in the nature of international law itself during 20th-21th centuries has awarded it a new meaning.

¹⁰ Лившиц Р.З. О легитимности закона//теория права-новые идеи. 1995, стр.18.

¹¹ Гуго Гроций О праве войны и мира. 1956, стр. 48,49г.

¹² Лист Т. Международное право в систематическом изложении. 1909, стр. 9.

¹³ Norman Paech. Report at the 17/1 1999 Conference in Berlin. Essence of Primacy of Law in International Policy. <http://home.t-online.de/g/woop/gw07324.htm>.

What was considered in the past as one of the attributes of foreign policy, a means for justifying own action or, vice versa, blaming political and ideological opponents, has become a key technique for solving the global problem of present-day.

Why does the international law play such an immense role?

If we try to give short answer to this question, first of all it should be mentioned that the world is becoming more and more interdependent and integrated. Unilateral action of a state, which does not share other countries' and nations interests, not only fails to give long-term advantage but also endangers the existence of the mankind itself.

Both, loss and victory can be common in interdependent world and the action of states should be agreed. It can be reached only through international law, which is a set of rules of conduction resulting from the will, positions and interests of states.¹⁴ These rules are reinforced in international treaties and customs, as well as legally binding resolutions of governmental international organizations, it is provided by Statutes of those of.

Modern international law is no more "bourgeois" or "Socialist" law. It is a universal, commonly democratic normative system. Its norms, whose basis is the principles of the UN Charter, reflect the balance of interests of the international communises of states and a state concerned. Numberless universal values were reinforced in it: prohibition of use of force, prohibition of interference in internal affairs of other states, right of self-determination of people etc. Provisions stipulating the ecological safety of mankind were fortified in a legally binding form.

Thus the existence of common legal order, which provides for the primacy of international law is of vital importance in international relations. Primacy of modern international law in international relations ensures normative reflection of universal values and interests. The initial document upon which the modern international law is based is the UN Charter. Uniqueness of this document is not the subject of dispute. However, the principles and norms of the Charter as well as the UN mechanism fails when the members of the UN Security Council fails to reach unity. In this case not the supremacy of law but balance of forces will become the basic rules of the game. Clear example of it is the measures (so-called humanitarian intervention) taken towards kosovo (Yugoslavia).

Admission of such cases leads to dangerous precedents and the international law norms should strongly be protected against such precedents. Double standards should definitely be avoided – recognition of primacy of international law on the one hand and use of policy of force by avoiding international law norms on the other. Double attitude towards international law – active participation in the progressive development of world legal order and at the same time – attempt to realize own egoistic positions, speaks about the opposite nature of the society. As soon as the conflict of interests occurs, which cannot be solved by legal norms, so-called principle of violence raises. This does not mean that there is no norm, which would solve the disputable matter, but that there is no perfect mechanism for enforcement of these norms.¹⁵ This is how the international law diminishes in international relations. Conception of primacy of international law should not depend on states' wish to use or not the international law norm in the given situation. Today, when primacy of international law ensures expansion of the concepts of rule of law, democracy and lawful state within the country, the very states should ensure the protection of primacy of international law in international relations. What namely is meant under the domination of law in international relations?

I. Dominance of international law is reached though strict protection of international law principles and norms by the states.

¹⁴ Алексидзе Л. Некоторые вопросы теории международного права. Иперативные нормы. 1982, стр 136-141.

¹⁵ Ушаков Н.А Правовое регулирование использования силы в международных отношениях. 1997, стр 17-20.

II. Primacy of international law in international relations means also dominance of law over the force because the use of force or threatening with force endangers the international law order. Supremacy of international law may find efficiency only in a situation when the states are well aware of their own interest in ensuring the agreed priorities. This means that the state should acknowledge the priority of multilateral measures over an unilateral action.

III. Implementation of primacy of international law in international relations calls also for compliance of the principles and norms of international law with domestic law. Legal system of each state should comply with the international commitments assumed by the state.

Maintenance of the law on international arena is an attempt to establish perfect legal order, which will be able to bring into reality the idea of primacy of international law in international relations.

In order to secure primacy of international law in international relations each state should recognize the necessity of the law's supremacy.¹⁶ It is important both for big as well as small states. It is natural that hoping only on the self-consciousness will not bring effective result. In order to achieve the goal of ensuring the primacy of international law two main conditions deserve to be mentioned:

1. State should be compelled to ensure primacy of international law.

For instance, the newly established states recognize the primacy of international law norms even for reason to gain relevant reputation (authority), to settle domestic problems through international mechanisms.

2. International community of States should have mechanisms that force disobedient states to recognize the international law norms.

Though none of the states voluntarily and openly recognizes violation of international law norms. Every state violating the law tries to give more or less reasonable justification for its action. Unfortunately, some international law norms themselves, namely their interpretation, in certain cases, allows it.

It is preconditioned by the fact that in certain cases the political will of the states bases upon the principle "by restricting other state's action the action of a given state is restricted".

The question of primacy of international law in foreign relations is closely linked with the issue of supranationality. Use of this term is related with the European integration. It is believed that supranationality originates when certain communities association are entitled to bind member states by their decisions and demand to take specific measure so that not to receive confirmation of authorization of it in each particular case. The community is entitled to issue independent order to a certain extent. However it is possible only in cases when a state, on the basis of demonstration of its will, delegates a part of its sovereign authority to such associations. Delegation of sovereign right does not cause negative results for sovereignty as a whole.¹⁷ In other words supranationality may exist within the framework of associations whose members are sovereign units. Consequently, we may discuss functional supranationality, which is not one of the means of regulating the relations arising between the states and the treaty concluded between the states serves as basis of its existence. The philosophy of supranationality is that internal law of supranational community automatically becomes the domestic law of its member states; the internal law of association is created by the body that can not be legally controlled by a member state, its decisions are binding for member states despite negative attitude of the state concerned towards such decisions; furthermore, discussion of the respective issue may be withdrawn from its governance (competing competence). Supranational body is established under the international law agreement, which is implemented through the implied

¹⁶ Верещетин В.С Мюллерсон Р.А Новое мышление международного права .Сов. Гос-во и право. 1988, №3.

¹⁷ Королев М.А. Наднациональность с точки зрения международного права. МЖМП (Moscow Journal of International Law). 1997, №2.

competence; the source, as a rule, is not the international law but the internal law community. So, international law is in a situation when fairly realistic relations existing in the interstate field and requires legal regulation, bears not traditional subjective or objective nature. This does not mean that the principle applied in classical international law is breached: *par in parem non habet imperium*. Peculiarities of modern international law allows us to discuss not only theoretical but also practical aspects of supranationality. Both the UN system and the EU legal system give good examples of above mentioned.

The notion of international peace and security was reflected already in the first Article of the UN Charter. It has normatively stipulated the main provision upon which the states' cooperation should base: the Security Council was assigned to carry out compelling authority. In some cases the UN may take measures towards third states. The International Court of Justice in the 1949 Advisory Opinion stated that the UN stands as a subject of international law not only with regard to the UN member states but with other states as well. Thus, establishment of the UN system has made bases for the institute of legal integration which has been saturated and sophisticated within the framework of the EU, being without doubt today.

Together with restoration of its independence Georgia has been facing the question on its place in international arena. It is doubtless that for countries like Georgia, gaining of authority and reinforcing it in international relations was very important. Georgia is facing hard times. The most difficult process of establishment of civilian society, democratic statehood and relevant order. This process is even more complicated with significant economic, political and other problems which causes specificity of balance of domestic and foreign policy. Thus it is of utmost importance that the country has its strategic concept of foreign policy in such situation. Availability of such concept is a firm guarantee of protection of national interests, since protection of these interests can be reached through close cooperation with other states and international organizations with due consideration of their legitimate interests, by meeting the requirements of international organizations.

Implementation of foreign relations shall base on certain ideas, reflect ideals in order to have the state's political strategy gain the support of international community. Foreign political strategy can not be imagined without concept of international law. Foreign policy of democratic lawful state should definitely base on international law. The policy of lawful state should not be illegal, more so that in the present-day world there is no alternative for international law being the instrument of management of global system.

From the very beginning of restoration of its sovereignty, Georgia has been attempting to become full member of the international community of states, to follow the common will of it, recognizing the international order established by them. Already on 9 April 1999 the "Act on Restoration of State Independence of Georgia" stipulated that "primacy of international law over the laws of the Republic of Georgia and direct application of its norms on the Georgian territory shall be declared as one of the key constitutional principles of the Republic of Georgia". This provision was made extensive in Articles 6 and 7 of the 1995 Constitution of Georgia. With this regard we would like to stress one document, prepared by the Ministry of Foreign Affairs "Georgia and the world – vision of future and strategy", which was presented at the end of 2000. This document bases upon the concept of national security of Georgia and is linked with the foreign political, foreign economic and defence strategic trends.¹⁸

The document shortly overviews what work have been done by Georgia during the last years in this direction and, especially, strategic vision of country's future. The document reflects the basic principles upon which the priorities of country's foreign policy is build:

¹⁸ Menagarishvili Irakli. Georgia and the World – Vision of Future and Strategy. Speech at 2000 Conference.

- *Supremacy of common, universally recognized values of democratic civilization.* The very international law is the system, which gives all the progressive, democratic ideals called universally recognized values of common civilization. Once again Georgia expressed its attitude towards international law, this time in international relations.
- *Determination of the place and functions of Georgia in a globalising world, which would allow the country to use the globalisation possibilities as much as possible and properly answer the challenges caused by this universal process.* Georgia is a full member of international organizations and this allows the country to use international mechanisms which would encourage its integration into the international commonwealth.
- *Ensure in the globalisation process the maintenance and development of national originality, cultural heritage created during millenniums.* Due to its geopolitical location Georgia has always been falling within the scope of interests of various states. At the present stage exactly the principles and norms recognized in international law would ensure the Existence of a small country like Georgia its full membership in international community of states. International law is the instrument the appellation to which is the means of guaranteeing the protection of the state's rights and duties.

Besides these principles the Document clearly provides for the tendencies in foreign relations, which the political course of Georgia will follow. The top priority direction is integration in the European and Euro-Atlantic structures. Georgia considers cooperation in the Council of Europe as the most important instruments for ensuring the irreversibility of country's democratic development. That's why Georgia tries its best to fulfil the requirements put forward for accessing this body.

Georgia focuses on intensifying the cooperation with the European Union, namely the implementation of Partnership and Cooperation Agreement with the EU. Integration process with the European structures is closely linked with recognition of primacy of European law, which goes farther than the obligations dictated by the primacy of international law. Study of this issue requires appropriate scientific attention.

However, one of the main priorities still remains to be the Georgia-UN cooperation, to which separate chapter is dedicated in the Document. The country has once again emphasized what an important role the universal organization, such as the UN, plays in establishing and keeping peace in the world in the process of reinforcement and development of new order. Primacy of this order is the guarantee for existence and development of democratic, legal order in certain countries, today.

There is no doubt that Georgia should take honourable place on international arena. At this stage state building can't be imagined without international community whereas implementation of integration process is impossible without envisaging the modern international law norms, which are reflected in the implementation of both domestic as well as foreign policy of the state. Georgia has already made first steps towards elaboration of foreign policy conception and the abovementioned document is the prove of it. This document is the first attempt in the area of conception of strategic trends in the assessment and perspective of theoretical aspects of Georgia's foreign policy. Even though this document is inspired with primacy of international law this provision does not have proper wording although Articles 6 and 7 of the Georgian Constitution allowed to do so.

At this stage the study of correlations of universal and international Law and Iupranafinlity????, particularly analysis of its primacy in the domestic laws of certain states and foreseeing new concrete actions for the purpose of acceleration of this process appear to be one of the most important trends of the Georgian science of international law.

კასპიის ზღვის საერთაშორისო სამართლებრივი დემილიტაცია

შესავალი

კასპიის ზღვა უნიკალურ წყალსატევს წარმოადგენს, ხოლო მის ნახშირწყალბადოვან და ბიოლოგიურ სიმდიდრეებს ბადალი არა აქვს. სწორედ ამიტომაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიო საზოგადოების და პოსტ-საბჭოური სახელმწიფოების ხალხთა ყურადღება კასპიის ზღვის პრობლემებისადმი მიპყრობილი. ეს პრობლემები, ერთად აღებული, იმ რთული წინააღმდეგობების ასახვაა, რომელიც რეგიონში მომხდარმა გლობალურმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა გამოიწვია: საბჭოთა კავშირის დაშლა და ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა.¹ შედეგად, გაუქმდა კასპიისპირა სახელმწიფოების თანამშრომლობის ნორმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა საერთაშორისო სისტემას.

რეალურად, კასპიის ზღვის პრობლემები გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტებისაგან შედგება. ამ მიმართებით, როგორც აღნიშნავს ს.კუშკუმბაევი (ყაზახეთი), წარმოიქმნა კასპიის რეგიონთან, ისევე როგორც მათი გადაჭრის გზებს, დაკავშირებული მთელი წყება პრობლემებისა, რომელთაც ისევე როგორც მათი გადაჭრის გზებსაც, ორმხრივი, მრავალმხრივი, რეგიონალური და გლობალური ასპექტები ახასიათებს.²

კასპიის ზღვის ნაპირებზე საერთაშორისო სამართლის სამი ახალი სუბიექტის შექმნამ დღის წესრიგში დააყენა დელიმიტაციის საკითხი, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება.

ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის (რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი) ურთიერთდარღვეული საზღვაო საზღვრების არარსებობის პრობლემამ, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იჩინა თავი. კასპიის ზღვის სტატუსის საკითხმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის, მისი შეღწევის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია გახდა აუცილებელი. აღნიშნულ პრობლემასთან, გარკვეულ წილად ირანიც არის დაკავშირებული.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ირანის, რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და აზერბაიჯანისათვის კასპიის ზღვის აკვატორიის საზღვრების თაობაზე გადაწყვეტილება დღემდე ვერ იქნა მიღებული.

ამკარაა, რომ სანაპირო სახელმწიფოების ხანგრძლივი მსჯელობა კასპიის ზღვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის და ზღვის დელიმიტაციის თაობაზე თეორიულიდან პრაქტიკულ საკითხად იქცა.³ მდგომარეობა ჯერ კიდევ გაურკვეველია. ვ. შემიბატენკოვის აზრით ეს საკითხი უკვე დიღემად იქცა: დაიფოს თუ არა კასპიის ზღვის ფსკერი?⁴

კასპიის ზღვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის საკითხი აქტიურად განიხილება კასპიისპირა სახელმწიფოების მრავალმხრივი და ორმხრივი შეხვედრების დროს, რომელთაც საფუძველი 1992 წლის ოქტომბერში ჩაეყარა. ამ დროის განმავლობაში ვერ იქნა განსაზღვრული კასპიის ზღვის ადექვატური საერთაშორისო სტატუსი, ისევე როგორც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რა ეწოდოს მას – ტბა თუ ზღვა? სულ უფრო

¹ Magerramov Ch. The Caspian – competition or cooperation? Will the status of the Caspian be finalized? // Daily news. 03/09/99. p.10

² Kuskumbayev S. The Caspian on the intersection of geopolitical interests: oil, politics, security // Caspian. Kazakhstan. Official publication of KIOGE. 1999. p. 18.

³ Kuandikov B. M. Legal status of the Caspian sea – the basis of planned development of mineral resources of the region // Protocols of the Caspian states conference 15-16 May 1995 in Alma-ati./ Alma-ati. 1995. p. 30-31

⁴ Mikhaylov v., Smolnikov G. Ashgabad and Baku divide the Caspian. The experts of Turkmenistan and Azerbaijan identify the coordinates of the middle line // Nezavisimaya gazeta 07/02/98

მწვავედება დებატები ამ წმინდა გეოგრაფიული საკითხის თაობაზე: ტბად ჩაითვალოს ესოდენ დიდი, ჩაკეტილი წყალსატევი თუ ზღვად. რუსეთის მიდგომა ამ საკითხისადმი გარკვევით დააფიქსირა მისმა პრემიერ-მინისტრმა ვჩერნომირდინმა 1993 წლის 14 ოქტომბერს: „რა მნიშვნელობა აქვს კასპიის ზღვა იქნება, თუ ტბა, მოდით ვითანამშრომლოთ“.⁵

2000 წლის ბოლოსათვის რუსეთის პოზიცია სრულიად არ შეცვლილა. „კასპიის ნავთობის გამოყენების მართვის“ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას (2000 წლის 9 ნოემბერს) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალურმა რწმუნებულმა კასპიის ზღვის საკითხებში, ვ.კალუჟინმა თითქმის გაიმეორა რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიტყვები „კასპია არც ზღვაა და არც ტბა, იგი კონდომინიონი (ერთობლივი დომინიონია)“.⁶

პოლიტოლოგი ვ. კულაგინი რუსეთის პოზიციის თაობაზე შენიშნავს: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვის ოფიციალური აზრი იყო, რომ კასპია არც ზღვაა და არც ტბა, არამედ საერთაშორისო სამართლისათვის უცნობი „განსაკუთრებული წყალსატევი“, აქედან გამომდინარე, კასპიისპირა ყველა სახელმწიფო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა კასპიის ნებისმიერი რესურსი, როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი. ახალი, დემოკრატიული რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის ასეთი რაციონალური განმარტება და დაყოფა პრინციპით – „რაც ჩემია, ჩემი იქნება და რაც შენია – საერთო“ ნამდვილად მიუღებელია კასპიისპირა სხვა სახელმწიფოებისათვის“.⁷

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მოაწერა ხელი ყაზახეთთან შეთანხმებას კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერის დელიმიტაციის თაობაზე (1998 წლის 6 ივლისი), ანუ აღიარა სექტორული დაყოფის პრინციპი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო პრაქტიკით, იგი მაინც არ ეთანხმება კასპიის რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს, ე.ი. თავს არიდებს მისთვის ზღვად ან ტბად მიჩნევას.

ყაზახეთის პოზიცია უფრო გარკვეულია: იგი აღიარებს, რომ კასპია ჩაკეტილი ზღვაა და რომ მასზე ვრცელდება გაეროს 1982 წლის კონვენციის ნორმები და პრინციპები საზღვაო სამართლის შესახებ (122-ე და 123-ე მუხლები), რაც სახელშეკრულებო პრაქტიკაში არ კრძალავს კასპიისპირა სხვა სახელმწიფოების მიერ საერთო სამართლისა და პრეცედენტების გამოყენებას.⁸

სრული გაურკვევლობაა თურქმენეთის პოზიციასთან დაკავშირებითაც: იგი მხარს უჭერს კასპიის დაყოფას ეროვნულ სექტორებად იმის ზუსტი განსაზღვრის გარეშე ზღვა არის კასპია, ტბა ან თუ საჭიროა, „კონდომინიონი“.

ირანის ისლამურ რესპუბლიკას თავისი აზრი ამ საკითხის თაობაზე არ გამოუთქვამს. ამ წყალსატევის თაობაზე მას აბსტრაქტული შეხედულება აქვს და ეს აზრი არ შეუცვლია მრავალწლიანი კამათის განმავლობაში. ირანისთვის სულერთია ზღვა არის კასპია, თუ ტბა, იგი მართლდენ მისი უსაფრთხოებითა და იმ საშიშროებათა აღკვეთით არის დაინტერესებული, რომელიც, ირანის აზრით, კასპიის ზღვაზე დასავლური კომპანიების არსებობით არის განპირობებული. სწორედ ამიტომაც ირანის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვს ერთობლივი დომინიონის რეჟიმის აღიარებას, რომელიც გამომდინარეობს საბჭოთა კავშირისა და ირანს შორის 1921 და 1940-იან წლებში დადებული შეთანხმებების შინაარსიდან.

აზერბაიჯანი თავიდანვე მიუკერძოებელ და პრინციპულ პოზიციაზე დგას, რომ კასპიის ზღვა ჩვეულებრივი და უდიდესი ტბაა მსოფლიოში. აქედან გამომდინარე სამართლიანი იქნებოდა, რომ კასპიის ზღვის სტატუსი განსაზღვრულიყო, როგორც სასაზღვრო (საერთაშორისო) ტბა, წყალსატევის ტრადიციული ეტიმოლოგიის შეუცვლელად. ამ პოზიციის არსი აზერბაიჯანელი

⁵ Shematinkov V. To divide or not? Integration of the Caspian states – the way to military and political stability in the region // Nezavisimaya gazeta 21/02/96.

⁶ The meeting of primers in Astrakhan // Rossiyskaya gazeta. 15/10/93

⁷ Kaluzhniy V. I. The speech at “The management of Caspian Oil Development” conference (Baku, 09/11/00.) // SOCAR archive

⁸ Kulagin V. Caspian grief. Will Russia stay with a broken pan // Novaya gazeta. 17-23 August, 1998. p. 5.

აკადემიკოსის კგულის მიერ XX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბებული გეოგრაფიული დახასიათებიდან გამომდინარეობს: „კასპიის ზღვა მსოფლიოს უდიდესი ტბაა. მისი სიდიდისა და წყლად წოდების გამო იგი ოდითგანვე ზღვად მოიხსენიება“.⁹

კასპიისპირა ქვეყნების ზემოთ განხილული მიდგომები ზოგჯერ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება კასპიის ზღვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისადმი მიძღვნილ მრავალმხრივ კონფერენციებზე, რომლებიც გაიმართა აშხაბადში (1995 წლის 30 იანვარი – 2 თებერვალი), თეირანში (1995 წლის 28-29 ივნისი), აღმაათაში (1995 წლის 26-27 სექტემბერი), თეირანში (1996 წლის 20-22 მაისი), აშხაბადში (1996 წლის 11-12 ნოემბერი), აღმაათაში (1997 წლის 22-23 მაისი), მოსკოვში (1998 წლის 17 დეკემბერი) და სხვა.¹⁰

ამრიგად, რა სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ კასპიის ზღვა სასაზღვრო ტბაა?

უპირველეს ყოვლისა, როგორც აღნიშნავს ი.ნ. ტარასოვა, სასაზღვროა (საერთაშორისო) „ტბა, რომელიც გარშემორტყმულია მრავალი სახელმწიფოთი. სასაზღვრო (საერთაშორისო) ტბის წყლების გამოყენება მოწესრიგებულია მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო საზღვრების მოხაზულობას, ნაოსნობის უფლებას და წყლების არასანავიგაციო მიზნებისთვის გამოყენების პირობებს“.¹¹

ჩვენ კვლავაც ვადასტურებთ, რომ მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომ „სასაზღვრო ტბა წარმოადგენს წყლის სივრცეს, რომელიც ესაზღვრება ორი ან მეტი სახელმწიფოს სანაპიროს, რომელიც ბუნებრივად არ უკავშირდება მსოფლიო ოკეანეს და რომელსაც დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი და ტბისპირა ქვეყნებს შორის დადებული კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული რეჟიმი გააჩნია“.¹²

ზემოთ მითითებული კრიტერიუმები სრულად მიესადაგება კასპიის ზღვას და აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, იგი ხელშეკრულებით/სამართლებრივ საფუძველზე უნდა იქნეს აღიარებული, როგორც სასაზღვრო (საერთაშორისო) ტბა.

კასპიის ზღვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, ტბის რესურსებსა და სივრცეებზე შესაბამისი სახელმწიფოების უფლება წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კასპიის ზღვის თაობაზე თითქმის მთელი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე კამათი შემდეგ საკითხამდე დავიდა: ვინ მიიღებს ფსკერისა და მის ზემოთ განლაგებული წყლის მასივების უდიდეს ნაწილს, ანუ წყალსატევის ტერიტორიას და რესურსებს (ცოცხალ ორგანიზმებს და მინერალებს), რაც კასპიის ზღვის უდიდეს ქონებას ნიშნავს?

ასეთ მდგომარეობას გარდაუვალად მივყავართ ტბის დელიმიტაციის საკითხამდე. ხანგრძლივი დებატები აშკარა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხასიათს ატარებდნენ, ვინაიდან განიხილებოდა ძირითადი საკითხი: „ვის და რა დონეზე აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს კასპიის ზღვის სიმდიდრეებზე?“¹³

⁹ Gul. K. K. Caspian sea. Baku. 1956. p. 12

¹⁰ Mamedov R. F. Current legal status of the Caspian. Politics, diplomacy, law //News of central Asia and Caucasus. The center of Middle East of oriental institute named after A. Krimsky of academy of science of Ukraine. No. 17, 15 October-1 November 2000 p. 7-27.

¹¹ Tarasova I. N. Some international problems of creation of a single water system in Europe // Law of the sea and international navigation in the present time. 1986. p. 20.

¹² Rustam Mamedov. La determination juridique internationale des lacs frontiers // Acts du Colloque Bakou – 2000, mars: “Euro[pe – mer Caspienne. Edite dans le cadre du Programme T-JEP 10229-96, TEMPUS – TASIC”. Nice, 2000. p. 202-203; Mamedov R. International status of the Caspian sea: yesterday, today, tomorrow (issues of theory and practice) // Central Asia and Caucasus. Analytical journal. No. 2 (8). 2000 p. 243

¹³ Kasumova T. How to divide the Caspian: in two halves or like brothers? // Trud. 07/07/98

ფრანგი მეცნიერის ფ.პონდავენის აზრით, კასპიის ზღვა წარმოადგენს სასაზღვრო ტბას „*sui generis*“, ე.ი. ტბას განსაკუთრებული საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსით და რეჟიმით და მას შეიძლება ეწოდოს სასაზღვრო ტბა, რომელიც სხვა წყალსატევებს (ზღვას ან ოკეანეს) არ უკავშირდება.¹⁴

თავისი მასშტაბების, რესურსებისა და ხანგრძლივი გამოყენების მიუხედავად, კასპიის ზღვა საერთაშორისო სამართლის კუთხით ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად რეგულირებულ წყალსატევად რჩება. სწორედ ამიტომ მისი დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი.¹⁵ წყალსატევის ტერიტორიაზე ქონების საკითხთან მიმართებაში კასპიის ზღვის დელიმიტაციის საკითხის დღის წესრიგში დაყენება ფ.პონდავენმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში იწინასწარმეტყველა. მისი აზრით „ეს უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს, რათა დარეგულირდეს იქ არსებულ ნავთობის რესურსებზე უფლების საკითხი“.¹⁶

დროული დელიმიტაცია ყველაზე საიმედო საშუალება იქნება მომავალში შესაძლო დავების და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად შეღწევის ზონის წიაღის თაობაზე. ამ მიმართებით რუსი მეცნიერები ბ. კლიმენკო და ა. პორკი სამართლიანად შენიშნავენ, რომ „მხოლოდ სახელმწიფოების კუთვნილი რესურსების და მათი უზენაესი ძალაუფლების ფარგლების ცალსახა დელიმიტაციას აქვს მნიშვნელობა მათ შორის კონფლიქტების თავიდან აცილების და საზღვარზე მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის“.¹⁷

კასპიის ზღვის დელიმიტაციის სასარგებლოდ მეტყველებს სახელმწიფო ტერიტორიებისა და მათი სუვერენიტეტის ფარგლების გამიჯვნის საჭიროება, ნაოსნობის რეგულირება, თევზის რეწვა, ზღვის თავზე საჰაერო მიმოსვლა და სხვა. კასპიის ზღვაში სახელმწიფო საზღვრების გამიჯვნის სასიცოცხლო აუცილებლობა განპირობებულია, აგრეთვე, მესამე სახელმწიფოების საქმიანობით, რომელიც დაკავშირებულია ტბის ფსკერსა და შრეების მინერალური რესურსების ექსპლუატაციასთან, სადაც კონცენტრირებულია ნავთობისა და გაზის დიდი საბადოები, რომელთა სამრეწველო ექსპლუატაცია აზერბაიჯანის მენავთობეებისა და სპეციალისტების დახმარებით საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში დაიწყო.¹⁸

მიზანშეწონილი იქნებოდა კასპიის ზღვის, როგორც სასაზღვრო ტბის სტატუსის დაფიქსირება ხელშეკრულებებში და მათზე დაყრდნობით მისი დელიმიტაციის საფუძვლების განსაზღვრა – კასპიის ზღვის ოფიციალური დანაწილება შესაბამის სანაპირო სექტორებად და ნაწილებად, წყალზე, ტბის ფსკერსა და მის ზემოთ განლაგებულ წყლებზე და ტბის თავზე საჰაერო სივრცეში შესაბამისი სახელმწიფო საზღვრის გავლება. „სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია უაღრესად მნიშვნელოვანია კასპიისპირა სახელმწიფოებისათვის, ვინაიდან ეს პროცესი მონიშნავს კუთვნილი ტერიტორიის ფარგლებს მისი ყველა რესურსითურთ“.¹⁹

1998 წლამდე კასპიის ზღვის ოფიციალური დელიმიტაცია არც ერთ სახელმწიფოს არ განუხორციელებია, ვინაიდან არ არსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი. 1998 წლის 6 ივლისს, კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერისა და მფარავი წყლების დელიმიტაციის პრინციპმა გაიჟღერა ყაზახეთსა და რუსეთს შორის კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ფსკერისა და მფარავი წყლების დელიმიტაციის თაობაზე დადებულ შეთანხმებაში, თუმცა სახმელეთო საზღვარი კასპიისპირა რეგიონში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში განისაზღვრა. ამრიგად, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის დელიმიტაციის შესახებ 1881 წლის 9 დეკემბრის კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად „რუსეთის იმპერიის

¹⁴ Pondaven Ph. Les lacs frontiere. These... P. Pedone, 1972. p. 6, 12

¹⁵ Ibid. P. 12, 59, 63

¹⁶ Ibid. P. 97.

¹⁷ Klimentko B. M., Pork A. A. The territory and the borders of USSR. 1985. p. 61.

¹⁸ Askerov E. I., Lazarev M. I. Oily Rocks of Azerbaijan: legal aspect // Soviet state and law 1975. No. 12. p. 41-45.

¹⁹ Klimentko B. M., Pork A. A. mentioned book p. 61

სამფლობელოსა და სპარსეთს შორის საზღვარს კასპიის ზღვის აღმოსავლეთით წარმოადგენს მდინარე ატრეკის ღინება დაწყებული ჰასანყულის ყურიდან, დამთავრებული ჩატათი“.²⁰

In their original form, the Regulations apply to all vessels in transit through the Straits, whether civilian or military. A vessel intending to travel through the Straits must make assurances to the Turkish government that it does not intend to stop at a port or any other location in the waterway. Article 4 establishes a traffic separation scheme in the Straits and Marmara region designed to reduce the number of collisions between transiting ships. Article 5 states that vessels transiting the Straits must comply with the navigation rules laid down by the Turkish Undersecretariat for Maritime Affairs as well as any warnings it issues. Vessels must proceed within the designated traffic lanes and those that do not may be fined. Article 6 presents a long list of technical requirements that a merchant ship's captain must prove he has satisfied before he sails into the Straits. Several articles concern the method by which vessels carrying hazardous cargo must cross the Straits. Article 7 requires masters, owners, or agents of a vessel weighing over 500 gross tons and carrying dangerous cargo to provide Turkish officials with what is called "Sailing Plan I" twenty-four hours before entry. Dangerous cargo includes civilian nuclear-powered engines, petroleum products, and substances declared dangerous by international conventions and domestic legislation. Under Sailing Plan I, a ship's captain must provide the following information: the name of the vessel, the flag of the vessel, the call sign, tonnage, port of departure, port of arrival, cargo, whether a pilot is requested, deficiencies of the vessel which adversely affect navigation, and any other information determined necessary by authorities. Two hours before reaching the Straits, a captain must provide "Sailing Plan II", which states the name of the vessel, the flag of the vessel, the call sign, the position of the vessel, the estimated time of arrival at the entrance of the Straits, whether a pilot is requested, any deficiencies in the vessel's sailing ability, and other information requested by Turkish authorities. During passage through the Straits, no ship may discharge refuse, landfill, bilge water, domestic or industrial waste, unsanitary matter, oil, or other pollutants. Article 9 requires all vessels longer than twenty meters to give the Traffic Control Centre a position report containing identification information and other data requested by Turkish authorities when the vessel is five nautical miles from the entrance to the Straits. These same vessels must provide a call point report on VHF radio, the contents of which are to be determined by administering authorities. Article 15 sets out procedures for passage and states that captains may not use automatic pilot systems. Speed is limited to 10 NM/ph relative to land except when the rate of the current dictates that a greater speed be used to allow the crew to maintain steering control over the vessel. Overtaking another vessel in the Straits is prohibited except when necessity demands it. Vessels must maintain a distance of at least eight cables between each other; any ship, which changes its speed during transit, must first inform the vessel behind it. Overtaking a vessel is completely forbidden between certain points both in Bosphorus and in Dardanelle. A ship whose transit has been interrupted due to accidents, breakdowns, or compulsory anchoring must immediately inform the traffic control station and take on a pilot before completing passage. Local traffic in the Straits must take care not to force transiting vessels to make evasive manoeuvres in the traffic separation scheme.

Article 24 states that Turkey has the right to close the Straits for activities such as construction work, scientific and sports activities, salvage and rescue operations, prevention and eradication of maritime pollution, pursuit of criminals, and oversight of maritime accidents. A series of provisions purport to limit the access of certain types of vessels to the Straits. Article 29 is a vaguely written provision, which states that owners or managers of vessels over 150 meters in length (referred as "large vessels") must provide Turkey with information at the planning stage of their journey to allow authorities to decide whether the physical characteristics of the ship make it eligible for transit. The obvious implication: Turkey claims the power to prohibit the passage of large vessels at its discretion. In addition, all civilian nuclear-powered vessels, vessels carrying nuclear cargo or waste, and vessels carrying dangerous or noxious waste must obtain this pre-passage permission from designated Turkish agencies. All large Turkish vessels are required to use a pilot during transit through the Straits. Foreign vessels, however, are only "advised" to take a pilot. Article 38 states that vessels measuring fifty-eight meters or greater in height cannot pass through the Bosphorus Strait and that vessels between fifty-four and fifty-eight meters must be escorted by tugboats to ensure that they remain on course. This provision is designed to ensure that ships making the passage can go under the two bridges crossing the strait.

Articles 40 and 50 state that Turkey has the right to place various limitations, including temporary stoppage, on the passage of large vessels carrying hazardous cargo or having a draught greater than ten meters when currents exceed 4 NM/ph. Articles 41 and 51 state that Turkey may limit the passage of all transiting vessels when visibility is significantly reduced. Article 42 announces that during the transit of a large vessel with hazardous cargo, a vessel of a similar nature may not enter the waterway from either direction.

All vessels are required to comply with the rules set out in the Regulations. Violators are subject to penalties provided in Port Law No. 618 or Turkish law whichever is harsher. Vessels, which fail to proceed within the traffic lanes established by the International Maritime Organization (IMO) may be fined according to Article 11 of Port Law No. 618 and brought to the attention of the IMO and the flag state. Enforcement of the Regulations is overseen by the Undersecretariat for Maritime Affairs.

International regime for International Straits

We looked at two sets of regimes for Turkish Straits, which is either specific international agreements or domestic regulations. There is universal, international regime of navigation in International Straits, which is set by United Nations Convention on the Law of the Sea 1982 (UNCLOS). Presently, UNCLOS does not apply to the Turkish Straits because of its Article 35, which states that "the legal regime in straits in which passage is regulated in whole or in part by long-standing international conventions in force specifically relating to such straits" is not affected by the provisions contained in UNCLOS. The Montreux Convention fits precisely into this category, as it is a long-standing agreement, which applies specific rules to transit passage in the Turkish Straits.

If Montreux ceased to apply, however, the Turkish Straits could be governed by Part III of UNCLOS, which sets up rules of transit passage in straits used for international navigation. UNCLOS provides that "all ships and aircraft (in an international strait) enjoy the right of transit passage, which shall not be impeded." States bordering straits may designate sea-lanes and traffic separation schemes where necessary to promote safe passage. These states may also adopt laws and regulations relating to transit passage through the straits with respect to the safety of navigation and the regulation of maritime traffic; the prevention, reduction, and control of pollution; fishing vessels; and, the enforcement of fiscal, customs, immigration, or sanitary laws of the state. Vessels making passage are required to comply with these rules.

Under UNCLOS, Turkey would be authorized to set up traffic separation schemes and other rules in the interest of safe navigation and environmental protection. UNCLOS appears to sanction most of the Regulations, which have been contested by Russia and others. The only exception may be Article 24 of the Regulations, which gives Turkey the right to temporarily close the Straits for maintenance purposes - UNCLOS provides that "there shall be no suspension of transit passage." It is interesting to note that Turkey is not a party to UNCLOS. It would, of course, be duplicitous for Turkey to discard the Montreux Convention and then embrace UNCLOS, a treaty it has not signed, as a replacement for the governance of the Straits. Given this situation, it is unlikely that Turkey would choose UNCLOS as a replacement scheme on its own accord. In all likelihood, if UNCLOS were to take the place of the Montreux Convention, it would do so in its capacity as customary international law. Even then, UNCLOS would be assuming a questionable role since custom normally gains the status of controlling law only when all interested states accept the custom. If UNCLOS, playing the role of custom, were to govern the Straits over Turkey's objections, then the rules pertaining to the legitimacy of customary international law would be stretched to the limit.

IMO's participation

In May 1994 the Maritime Safety Committee of the IMO, met to discuss the Turkish Regulations. Every Black Sea State in the organization, as well as Greece and Cyprus, charged Turkey with affronting the Montreux Convention. The IMO issued a retort to the Regulations - Rules and Recommendations on Navigation Through the Strait of Istanbul, Marmara Sea and the Strait of Canakkale, which calls for less restrictive measures than those instituted by Turkey. In addition, the IMO stated that Ankara must be in total conformity with its advice. The IMO's plan was issued in a document entitled Rules and Recommendations on Navigation Through the Strait of Istanbul, Marmara Sea and the Strait of Canakkale.

The IMO Rules are silent on many of the issues raised in the Regulations. This prompts the question whether the IMO's non-responsiveness to a provision amounts to an acceptance thereof. If silence does constitute acquiescence in this case, then it appears that the IMO accepts the fact that the Regulations fail to make a distinction between military and merchant vessels, that Turkey has the right to close the Straits for maintenance purposes, that Turkey may prohibit passage when it deems currents or visibility conditions dangerous, and that overtaking is not permitted in most situations. This list is not exhaustive.

The IMO's silence may not be consequential. Regardless of the IMO's position, individual nations remain free to voice their own objections to the Regulations - Russia has done just that. The IMO's issuance of an opinion on a maritime matter does not prevent states from asserting their own views. Moreover, the disposition of the IMO Rules indicates that the organization attempted to address safety concerns in a manner consistent with the Montreux Convention such that all courses of action left instated are deemed inappropriate for proper administration of the Straits.

Conflict

The introduction of the above-mentioned Regulations by Turkey gave rise to a new dispute between Turkey on one side and the main users of Straits on the other. The argumentations from both sides are grouped around the same interest – oil, even though Turkey gives it safety and environmental connotation while its opponents – political. The economical potential of the states emerged in the beginning of the 90's as a result of the collapse of the Soviet Union have found their way to West through the Turkish Straits, which once again acquired the important role of bridge between East and West. The oil flow from ex-Soviet Central Asian States and Azerbaijan delivered to the Black Sea ports of Russia (Novorossyisk) and Georgia (Supsa) and then transported by ships to the

West has significantly increased, which subsequently means the increase in ships passing through the Straits. Statistics provide clear evidence for this: in 1938, there were about 15 passages daily, in 1995, about 125, and in 1996, about 137. Some 50 000 ships pass through the Straits annually, along with 2000 ferries and smaller passenger boats. They, along with countless fishing, cruise and leisure craft make the Straits one of the most crowded waterways in the world – four times busier than the Panama Canal. (Time, 1997). The Turkish Government insists that the grave dangers, such as accidents and environmental degradation were the only reason for introduction of the Regulations. The statistical data shows that number of accidents in Straits before and after the Regulations differs significantly.

YEAR	CASUALTIES	NUMBER
1990		43
1991		49
1992		39
1993		25
1994		12
	(10 before Regulations introduced on July, 1;	2 after)
1995		4
1996		7
1997		11
1998		11
1999		16

Source: Seatrade Review, 2001

Turkey is launching number of projects at the Maritime Faculty of Istanbul Technical University to promote safety of navigation and protection of environment in the Straits. One of the recent programs is being developed with financial support from Japanese International Co-operation Agency as part of a 10 m. USD funding package. In addition, the IMO is providing technical assistance. After the completion of the new VTS system, which is still under construction, the Turkish Coastal Safety and Salvage Administration will operate and manage 13 radar towers and two traffic control centres. (Lloyd's List 2001).

As we see there is significant decrease of accidents in the Straits, which can be considered as success of the Turkish action with regard to the safety and environmental protection, but not all the States agree with this statement.

Greece, Russia and some of former Soviet Republics question, whether Turkey's motives are about safety of navigation and environmental protection, or are underpinned by desire to gain both regional control and money from oil by tightening shipping regulations. One of the opponent state officials declared, that: "Turkey's environmental argument is a bluff, an excuse for other political and economic aspirations". (Time, 1997). The whole thing behind alleged interest of Turkey in the money from oil is that, one of the initial agreements between Azerbaijan and Turkey dealt with the transportation of oil through Georgia and then Turkey by pipeline to the Turkish Mediterranean port Ceyhan, which would have brought huge inflow into the Turkish economy. However, agreement never worked out – Caspian oil is still transported through Georgia, but from the Georgian Black Sea port Supsa it continues through the Straits to Mediterranean. Apart from this opponents of new regulations claim that these rules are in violation of the principal of the freedom of naviga-

tion stipulated in the Montreaux Convention. The stress is made on the “non compulsory” character of the pilot, which is really questionable in the light of behaviour of Turkish Authorities, which delay vessels not taking pilot on board. Another contested question is the right of Turkish Authorities to close Straits for navigation for certain time period and under certain circumstances. Exercising of this right might lead to the accumulation of big number of vessels on both ends of the Straits, which might result in collisions between drifting/anchored and passing by vessels and cause real threat to the safety and the environment. Non-regulation of the cross-strait ferries constitutes another concern of the users of Straits.

Whatever the allegations from both oppositional camps are, it is clear that international regime set in the Montreaux Convention is outdated and inadequate to cope with the present situation – during the last six decades shipping changed in priorities, size and type of ships, volume of traffic, type and volume of cargo, etc. and appropriate regime is required in order to handle new challenges. Obviously Turkish Regulations constitute the attempt, to set comprehensive set of rules and regulations for the sake of safety of navigation and protection of the marine environment. In my opinion, the way this new regime was developed – unilaterally, on the national level, was one of the most sensitive triggering factors for developing the ongoing conflict. Where is the way out? Probably the best and most feasible option is to renegotiate the Montreaux Convention at an international conference. Such a conference should include not only the original parties but also all third states with an interest in the Turkish Straits. It may be desirable to include these new states as full parties so as to increase the validity and international acceptance of any actions taken by the conferees. Most probably, a new conference will be the best way to decrease the international tension and confusion resulting from the out-dated Montreaux Convention and unilateral, deficient Turkish Regulations.

REFERENCES

- S.A. Scharfenberg, *“Regulating traffic flow in the Turkish straits: a test for modern international law”*, from: <http://law.emory.edu/EILR/volumes/spring96/scharfen.html>
- G. Plant, *“Navigation regime in the Turkish straits for merchant ships in peace time: Safety, environmental protection and high politics”*. Marine Policy, Vol. 20, No. 1
- M. Dyoulgerov, *“Navigating the Bosphorus and the Dardanelles: A test for the International Community”*, The International Journal of Marine and Coastal Law, Vol. 14, No. 1, March 1999
- “The Dire Straits: Is Turkey making one of the world’s busiest seaways safer, or just reaching for oil profits?”* By M. Bird, Time, March 24, 1997
- “Oil treat to waterway”*,_Seatrade Review, April 2001
- Encyclopaedia Britannica, *Bosporus&Dardanelles*, www.britannica.com/search
- Map of Turkey*, <http://geography.about.com/library/maps/blturkey.htm>
- IMO and Japanese agency lend their support to Bosphorus safety training*,_Lloyd’s List, June 6, 2001
- United Nations Convention on the Law of the Sea 1982
- Rules and Recommendations on Navigation Through the Strait of Istanbul, Marmara Sea and the Strait of Canakkale, MSC63, IMO, June 1994
- Montreaux Convention on the Regime of the Straits 1936
- Maritime Traffic Regulations for the Turkish Straits and Marmara Region 1994

შავი ზღვის სრუტეები: ნაოსნობის თავისუფლება VS. სუფთა გარემო

ყველა სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასება ხდება მისი სატრანსპორტო კომუნიკაციებთან მდებარეობის მიხედვით. სატრანსპორტო კომუნიკაციებს შორის, უდიდესი მნიშვნელობა საზღვაო ტრანსპორტს ენიჭება. ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწყალოსნო კომუნიკაციებთან ახლო მდებარეობას. მაშინ, როდესაც საქართველოს არ გააჩნია სხვა გასასვლელი მსოფლიო ოკეანეში, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შავი ზღვის მნიშვნელობა მისთვის ძალიან დიდია. სწორედ შავი ზღვის ნაპირზე მდებარეობის წყალობით საქართველო შეიძლება საზღვაო ქვეყანად ჩაითვალოს; მაგრამ შავი ზღვა ევრაზიის სიღრმეში მდებარეობს (იგი მსოფლიოში ყველაზე ჩიხურ ზღვად ითვლება) და აქედან გამომდინარე მსოფლიო მნიშვნელობის საზღვაო კომუნიკაციებზე გასასვლელად სხვა ქვეყნის კონტროლის ქვეშ მყოფი რამდენიმე სრუტისა (თურქეთის) და ზღვის (მარმარილოს) გავლაა საჭირო. საქართველოსათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს თურქეთის სრუტეებში ნაოსნობის თავისუფლების აღიარებას. მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ მსოფლიოში თავისი ადგილის დამკვიდრება მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების მიერ მისთვის სატრანზიტო ფუნქციის მინიჭებით შესძლო.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, შავი ზღვა ნახევრად ჩაკეტილი ზღვაა. გარე სამყაროს იგი დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებით უკავშირდება. ამ სრუტეებს ხშირად თურქეთის სრუტეებსაც უწოდებენ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სანაპირო სახელმწიფოებისათვის უდიდესი სტრატეგიული, ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა აქვს შავ ზღვასა და მის სრუტეებს და მათ უშუალო ინტერესებში შედის, რომ შავი ზღვის აუზი საერთაშორისო საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების, საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნებს ემსახურებოდეს. შავი ზღვისპირა სახელმწიფოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სრუტეებში ნაოსნობის თავისუფლების განმტკიცება და შენარჩუნება.

გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის თანახმად შავი ზღვის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება, როგორც „ჩაკეტილი ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვა“ (მ 122). ამის შედეგად სანაპირო და არა სანაპირო სახელმწიფოებს ღია ზღვით სარგებლობის არათანაბარი უფლებები გააჩნიათ. შავი ზღვის სამართლებრივი რეჟიმი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სრუტეების სამართლებრივ რეჟიმზე, რადგან იქ ნაოსნობის თავისუფლების არ არსებობის შემთხვევაში იგი ჩაკეტილ ზღვად გადაიქცევა და მოსწყდება მსოფლიო ოკეანეს.

შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივი რეჟიმის რეგულირება ძირითადად ხდება მონტრეს 1936 წლის კონვენციით (თურქეთის) სრუტეების რეჟიმის შესახებ. მართალია 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენცია საერთაშორისო სრუტეებს ეხება, მაგრამ 35 მუხლში აღნიშნულია, რომ „ამ ნაწილით არაფერი აყენებს ზიანს: გ) იმ სრუტეების სამართლებრივ რეჟიმს, რომლებში გავლაც მთლიანად ან ნაწილობრივ რეგულირდება ხანგრძლივად არსებული და კვლავ ძალის მქონე სპეციალური კონვენციებით“. შესაბამისად, თურქეთის სრუტეების სამართლებრივ რეჟიმზე მას გავლენა არ მოუხდენია. გარდა ამისა, თურქეთი არ არის არც 1982 წლის, არც 1958 წლის საზღვაო სამართლის კონვენციების წევრი.

მონტრეს კონვენცია ძალაში შევიდა 1936 წლის 9 ნოემბერს.

მონტრეს კონვენციის წევრი სახელმწიფოები დღემდე არიან ავსტრალია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, იტალია (მიუერთდა 1938 წ.), კვიპროსი (სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე 1969 წლიდან), რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი, საფრანგეთი და იუგოსლავია. რაც შეეხება იაპონიას, მას 1945 წლის ბერლინის კონფერენციაზე ჩამოერთვა კონვენციიდან გამომდინარე უფლებები და პრივილეგიები. ეს სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებაშიც დაფიქსირდა.

შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივი რეჟიმი

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები თურქეთის ტერიტორიულ ზღვას წარმოადგენს. სრუტეებში გავლისას გემებმა უნდა გასცურონ 325 კმ თურქეთის სუვერენიტეტის ქვეშ. გავლის საერთო დრო დაახლოებით 16 საათია.

“სრუტე“ გეოგრაფიული ტერმინია, რომელიც აღნიშნავს წყლის ორი დიდი მასის დამაკავშირებელ ბუნებრივ ვიწრო გასასვლელს. სრუტის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენადაა დაცული მასში ნაოსნობისა და ტრანზიტის თავისუფლების პრინციპი უცხო სახელმწიფოების სავაჭრო და სამხედრო გემებთან მიმართებაში, სანაპირო სახელმწიფოს (ე.ი. სახელმწიფო, რომლის ტერიტორიულ ზღვაში ან ეკონომიკურ ზონაშიც იმყოფება გემი), დროშის სახელმწიფოს (ე.ი. სახელმწიფო, რომლის დროშითაც დაცურავს გემი) და პორტის სახელმწიფოს (ე.ი. სახელმწიფო, რომლის პორტშიც იმყოფება გემი) უფლებები და მოვალეობები.

შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივი რეჟიმის განხილვისას უპირველეს საკითხად უნდა განვიხილოთ, არის თუ არა ბოსფორი და დარდანელი საერთაშორისო სრუტეები. საერთაშორისო სრუტეებად აღიარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სრუტის გეოგრაფიულ მდებარეობას, ისტორიულად უნდა ასრულებდეს ასეთ ფუნქციას და აკავშირებდეს ჩაკეტილ ზღვას და ღია ზღვას, ან ღია ზღვას და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას, ან ტერიტორიულ ზღვას და ღია ზღვას.

მონტრეს კონვენციის ამოსავალი დებულებაა სრუტეებში ნაოსნობის და გავლის თავისუფლების პრინციპი(მ.1). სავაჭრო და სამხედრო გემების მიერ ამ თავისუფლებით სარგებლობა მოწესრიგებულია შესაბამისი თავებით. იმისთვის, რომ არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებმა ბოროტად არ ისარგებლონ აღნიშნული თავისუფლებით, მათთვის და შავიზღვისპირა სახელმწიფოებისათვის, კონვენცია განსხვავებულ რეჟიმს ითვალისწინებს.

სავაჭრო გემები

მშვიდობიან დროს, სავაჭრო გემები „ტრანზიტისა და ნაოსნობის თავისუფლებით“ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე სარგებლობენ. ამ უფლებით ყველა სახელმწიფოს გემები სარგებლობენ. თუმცა არის ერთი გამონაკლისი – თურქეთი ახორციელებს ეგოსისა და შავი ზღვიდან სრუტეებში შემავალი გემების სანიტარულ კონტროლს (მ. 3). კონვენციის თანახმად, თურქეთს შეუძლია გემების გაჩერება მხოლოდ სანიტარული შემოწმების მიზნით.

ომის დროს სავაჭრო გემებისათვის ორი სახის რეჟიმი მოქმედებს: თუ თურქეთი არ არის მეომარი მხარე, სავაჭრო გემები ტრანზიტისა და ნაოსნობის თავისუფლებით შეზღუდვების გარეშე სარგებლობენ; თუ თურქეთი მეომარი მხარეა, ტრანზიტისა და ნაოსნობის თავისუფლება მიენიჭება მტრისათვის დახმარების არ გაწევის პირობით იმ სახელმწიფოების სავაჭრო გემებს, რომლებიც არ იმყოფებიან თურქეთთან საომარ მდგომარეობაში. ამასთან, გავლა უნდა განხორციელდეს დღისით და თურქეთის მთავრობის მიერ განსაზღვრული მარშრუტით (მმ. 5 და 6). აღსანიშნავია, რომ თურქეთს აქვს სავაჭრო გემებისათვის ნაოსნობისა და ტრანზიტის თავისუფლების შეზღუდვის უფლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი თვლის, რომ „მოახლოებული საფრთხის წინაშე“ დგას (მ. 6).

სამხედრო გემები. ნაოსნობისა და ტრანზიტის თავისუფლება არ ვრცელდება სამხედრო გემებზე. კონვენცია სამხედრო გემების რამდენიმე სახეობას გამოყოფს. ნაკლები შეზღუდვებია დაწესებული მყარი ან თხევადი საწვავის გადამზიდავ სამხედრო დამხმარე გემებისათვის, თუ ისინი განცალკევებით გაივლიან სრუტეს(მ. 9). რაც შეეხება მსუბუქ გემებს, მცირე სამხედრო გემებსა და დამხმარე გემებს, მშვიდობის დროს მათ ტრანზიტისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლება, იმ შემთხვევაში ენიჭებათ თუ გავლა ხორციელდება დღისით, ამასთან არ შეიძლება ამ გემების მიმართ დროშის მიხედვით რაიმე დისკრიმინაციული რეჟიმის დაწესება (მ. 10).

როგორც არა შავიზღვისპირა, ისე შავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების სრუტეებში გავლის ნებართვის მიღებისათვის გარკვეული ფორმალობისა და მოთხოვნების შესრულებაა საჭირო: კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, ყველა სახელმწიფო ვალდებულია თურქეთის მთავრობას გაუგზავნოს წინასწარი შეტყობინება (შავი ზღვის სახელმწიფოებმა – 8 დღით ადრე, არა შავი ზღვის სახელმწიფოებმა – 15 დღით ადრე), რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დანიშნულების ადგილის, გემის სახელის, ტიპის და როგორც გასვლის, ისე შემოსვლის თარიღის შესახებ.

რაც შეეხება წყალქვეშა ხომალდებს, მათი სრუტეებში გატარება მხოლოდ ორი პირობით შეეძლება: 1) თუ ასეთი ხომალდები შავი ზღვის გარეთაა აწყობილი და უნდა შეუერთდეს შავ ზღვაში განლაგებულ ბაზას და 2) თუ წყალქვეშა ნავი შესაკეთებლად მიდის შავი ზღვის გარეთ განლაგებულ გემთსაშენში (მ. 12). ორივე შემთხვევაში დროშის სახელმწიფომ შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს თურქეთის მთავრობას.

არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების გემების საერთო ტონაჟი შავ ზღვაში მკაცრ შეზღუდვებს ექვემდებარება: მაქსიმალური რიცხვია 30 000 ტონა, გამონაკლის შემთხვევაში კი – 45000 ტონა, ხოლო მათი შავ ზღვაში ყოფნის ვადა 21 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. აღსანიშნავია, რომ კონვენციის თანახმად შეზღუდვები არსებობს თვით ჰუმანიტარული მიზნების მქონე გემებისთვისაც – მათი საერთო ტონაჟი 8000 ტონაზე მეტი არ უნდა იყოს. თავაზიანობის ვიზიტით სრუტეში მყოფი უცხო სახელმწიფოს სამხედრო გემები ტონაჟის შეზღუდვას არ ექვემდებარება.

ომის დროს სამხედრო გემებისათვის განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს. თუ თურქეთი მეომარი მხარეა, უცხო სახელმწიფოების სამხედრო გემების მიერ ტრანზიტის უფლების განხორციელება თურქეთის მთავრობის ნებანა და მოკიდებული. თუ თურქეთი არ არის მეომარი მხარე, სამხედრო გემებისათვის კონვენციის 10-18 მუხლები მოქმედებენ. აღსანიშნავია, რომ სრუტეებში ტრანზიტის უფლების შეჩერება თურქეთს შეუძლია მაშინაც კი, როდესაც თვლის, რომ „ომის აშკარა საფრთხის წინაშე“ (მ. 21) დგას. რა თქმა უნდა შემკავებელი მექანიზმის გარეშე, თურქეთისათვის ასეთი ფართო უფლების მინიჭება მისი მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენებას გამოიწვევდა. ამის თავიდან ასაცილებლად, თურქეთი, 21 მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისას ვალდებულია შეტყობინება გაუგზავნოს ერთა ლიგის გენერალურ მდივანს (დღეს ამ ფუნქციას გაეროს გენერალური მდივანი ახორციელებს) და მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს. კონვენცია განხორციელებული ზომების შეჩერებას ითვალისწინებს, თუ ერთა ლიგის საბჭო და მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უმეტესობა ჩათვლის, რომ ისინი არ არის სამართლიანი.

მონტრეს კონვენციის მთავარ მონაპოვარად შეიძლება მივიჩნიოთ სრუტეებში ნაოსნობის თავისუფლების პრინციპის აღიარება, რომელიც იმოქმედებს იმის მიუხედავად, იქნება თუ არა კონვენცია ძალაში.

დებულებებს ეკოლოგიასთან დაკავშირებით მონტრეს კონვენცია არ შეიცავს. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში საერთაშორისო თანამეგობრობისათვის გარემოს დაცვა აქტუალური პრობლემა არ იყო. XX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული ეკოლოგიური საფრთხის შედეგი იყო ამ სფეროში აქტიური საკოდიფიკაციო მუშაობა. თურქეთი ზოგიერთი ამ ხასიათის კონვენციის წევრია, რაც ასახვას ჰპოვებს შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივ რეჟიმზე. ამიტომაც მართებული იქნება განვიხილოთ ის ძირითადი კონვენციები, რომელთა მოქმედებაც თურქეთის სრუტეებზე ვრცელდება. ამ კონვენციების განხილვა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ზოგიერთი მათგანის წევრია და იმ დროს, როდესაც საქართველო არ არის მონტრეს კონვენციის წევრი, ეს კონვენციები ორმხრივ ხელშეკრულებებთან ერთად ორი ქვეყნისათვის საზღვაო სფეროში თანამშრომლობის საერთაშორისო სამართლებრივ ბაზას ქმნიან.

SOLAS (International Convention for the Safety of Life at Sea) საერთაშორისო კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ 1974 წელს იქნა მიღებული, 1978 და 1988 წლებში კი მნიშვნელოვანი შესწორებები დაემატა. პირველი კონვენციის მიღება ტიტანიკის ჩაძირვამ განაპირობა 1914 წელს და მისი ძირითადი მიზანი იყო გემების საზღვაო ვარგისიანობის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება. კონვენცია შეიცავს დებულებებს გემების კონსტრუქციის, ხანძარ-საწინააღმდეგო ღონისძიებების, სიცოცხლის გადასარჩენი საშუალებების, საქონლის გადაზიდვის, ატომური გემებისათვის სპეციალური წესების, გემების გადამრჩენი ოპერაციების ჩატარების და უსაფრთხო ნაოსნობის გაძლიერების სხვა ღონისძიებების შესახებ. კონვენცია მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი არა მარტო დროშის სახელმწიფოს ანიჭებს გემების კონტროლის უფლებას, არამედ პორტის ქვეყანასაც მოქმედების ფართო არეალს უტოვებს: ისინი უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ, აქვთ თუ არა მათ წყლებში მყოფ SOLAS-ის წევრი სახელმწიფოს დროშით მცურავ გემს კონვენციით გათვალისწინებული სერთიფიკატი. სადაც „არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ გემის და მისი აღჭურვილობის მდგომარეობა არ შეესაბამება სერტიფიკატის მოთხოვნებს“, ან სადაც „სერთიფიკატს ვადა გაუვიდა, ან სადაც გემი და მისი აღჭურვილობა არ შეესაბამება კონვენციის I თავის 11 წესების დებულებებს, პორტის უფლებამოსილ პირებს „შეუძლიათ მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ გემებმა ცურვა არ განაგრძონ, სანამ არ შევლენ ზღვაში ან დატოვებენ პორტს სარემონტო სადგურებზე გასამგზავრებლად გემსა და გემბანზე მყოფი პირებისათვის ზიანის მიუყენებლად“. 1994 წელს კონვენციაში შესწორება შეიტანეს, რათა პორტის ქვეყნის კონტროლი ოპერაციული მოთხოვნების შესამოწმებლად გაზრდილიყო, თუ გაჩნდებოდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ გემის მეპატრონემ და ეკიპაჟმა გემების უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პროცედურები არ იცის. 1995 წლის შესწორების თანახმად, SOLAS-ის კონვენციის წევრი სახელმწიფოებისათვის მისი მოთხოვნები სავალდებულოა.

გემების საზღვაოსნო ვარგისიანობის შესახებ არსებობს IMO-ს კონვენციები. ესენია: 1966 წლის საერთაშორისო კონვენცია დატვირთვის ხაზების შესახებ; 1971 წლის შეთანხმება სპეციალურ სავაჭრო გემებზე 1973 წლის ოქმით და 1977 წლის საერთაშორისო კონვენცია თევზსაჭერი გემების უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ძალაში არ შესულა. 1993 წლის ოქმით ეს კონვენცია გაუქმდა ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ. მათგან თურქეთი ორი კონვენციის წევრია; ესენია: საერთაშორისო კონვენცია დატვირთვის ხაზების შესახებ და საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის შესახებ (STCW 78/95), რომელსაც მიერთებულია საქართველოც.

გემებიდან დაბინძურება. გემებიდან ზღვის დაბინძურების შემცირება თურქეთის მიერ სრუტეებზე კონტროლის გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველია. ამ პრობლემით შემოთვალისწინებულია გამოხატავს მსოფლიო თანამეგობრობა, რისი დასტურიც ამ სფეროში უამრავი კონვენციაა. გემებისაგან ზღვის დაბინძურება რამდენიმე საკითხს მოიცავს: დაბინძურების აღმოფხვრის ან შემცირების ნორმები, ასეთი ნორმების მიღება და აღსრულება, უბედური შემთხვევის შედეგად დაბინძურების თავიდან აცილება, სანაპირო სახელმწიფოს მიერ დაბინძურების შედეგების თავიდან ასაცილებლად მიღებული ზომები, უბედური შემთხვევების დროს თანამშრომლობა, დაბინძურების შედეგად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა.

MARPOL 73/78 (Marine Pollution) გემებისაგან ზღვის დაბინძურების კონვენცია მიღებულ იქნა 1973 წელს IMO-ის ეგიდით და გემებიდან ზღვის განზრახ დაბინძურების ყველა ფორმას არეგულირებდა, გარდა ზღვაში ნარჩენების ჩამარხვისა. დაბინძურების დეტალური ნორმები ექვს დანართშია მოთავსებული. მხოლოდ პირველი (ნავთობის შესახებ) და მეორე (მავნე თხევადი ნივთიერებების შესახებ) დანართის რატიფიცირებაა სავალდებულო. მათ გარდა თურქეთი მიერთებულია (ნარჩენების შესახებ) დანართსაც. 1978 წელს IMO-ს კონფერენციაზე მიღებულ იქნა ოქმი ტანკერების უსაფრთხოებისა და დაბინძურების აღკვეთის შესახებ.

კონვენციის პირველი დანართის თანახმად არ შეიძლება შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვაში ბალასტი წყლის გადმოტვირთვა

ზღვაზე უსაფრთხოებისა და გემებისაგან დაბინძურების შესახებ საერთაშორისო ნორმების შესრულებისას დგება საკითხი სახელმწიფოების კომპეტენციის შესახებ. განსხვავდება დროშის, სანაპირო და პორტის ქვეყნების კომპეტენციები, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება საკანონმდებლო და აღმასრულებელ იურისდიქციას შეიცავდნენ. ეს უკანასკნელი სასამართლო და დაპატიმრების იურისდიქციებს მოიცავს. ამ საკითხს ეხება 1958 წლის და 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციები და მასვე არეგულირებს ჩვეულებითი სამართალიც. მაგრამ თურქეთის სრუტეებზე მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის და MARPOL 73/78 ნორმები მოქმედებს.

საკანონმდებლო იურისდიქცია. ჩვეულებითი სამართლის თანახმად, სანაპირო სახელმწიფოს უფლება აქვს დააწესოს წესები უცხო სახელმწიფოს ხომალდებისათვის ტერიტორიული ზღვის დაბინძურებასთან დაკავშირებით მშვიდობიანი გავლისათვის ზიანის მიუყენებლად. MARPOL 73/78 კონვენციის წევრი სახელმწიფოები მოვალენი არიან თავიანთ ტერიტორიულ ზღვაში კონვენციის დებულებები ყველა გემის მიმართ გამოიყენონ.

ჩვეულებითი სამართლის ნორმა პორტის სახელმწიფოს უფლებას ანიჭებს, რომ მიიღოს გემებიდან ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა თავის პორტებში მყოფი უცხო სახელმწიფოების გემებისათვის და მოითხოვოს ამ კანონებისა და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების დაცვა პორტის წყლებში. ამასთან ჩვეულებითი ნორმა მოითხოვს, რომ ეს ნორმები არ იყოს დისკრიმინაციული ხასიათის.

აღმასრულებელი იურისდიქცია. ჩვეულებითი ნორმების თანახმად, სანაპირო სახელმწიფოს უფლება აქვს დააპატიმროს უცხო სახელმწიფოს გემი და საქმე აღძრას მის წინააღმდეგ სასამართლოში, თუ იგი ტერიტორიული ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ კანონებს არღვევს. MARPOL 73/78 წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ სანაპირო სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიულ ზღვაში უცხო ქვეყნის გემი დაარღვევს კონვენციის დებულებებს, აღძრას საქმე დამნაშავე გემის მიმართ ან დროშის სახელმწიფოს შეატყობინოს მომხდარის შესახებ; ეს უკანასკნელი თავის მხრივ ვალდებულია საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას დაუყოვნებლივ აღძრას საქმე.

პორტის სახელმწიფოს უფლება აქვს განახორციელოს აღმასრულებელი იურისდიქცია (მისი ორივე ფორმით) იმ გემების მიმართ, რომელთაც დაარღვიეს სახელმწიფოს კანონები ან საერთაშორისო კონვენციები ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ ტერიტორიულ ზღვაში ან მის რომელიმე პორტში. MARPOL 73/78 ითვალისწინებს პორტის სახელმწიფოს უფლებებს: პორტის უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ ინსპექტირება გაუკეთონ უცხო სახელმწიფოს გემს და სადაც გემის მდგომარეობა არ იქნება დამაკმაყოფილებელი, დააკავონ იგი მანამ, სანამ იგი არ შესძლებს ზღვის გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე ცურვის გაგრძელებას. პორტის სახელმწიფომ დაკავების შესახებ უნდა აცნობოს დროშის სახელმწიფოს. კონვენციის თანახმად, პორტის სახელმწიფოს უფლება აქვს კონვენციის მოთხოვნების შესრულება დააკისროს იმ სახელმწიფოების გემებსაც, რომლებიც არ არიან კონვენციის წევრები, მაგრამ იმყოფებიან წევრ სახელმწიფოს პორტში.

თურქეთის პოზიცია

თურქეთი ცდილობს ისარგებლოს მსოფლიოში არსებული გამწვავებული ეკოლოგიური მგომარეობით და მთელი რიგი შეზღუდვების დაწესებით გემებისათვის სრუტეებზე კონტროლი გააძლიეროს. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შავი ზღვის სრუტეებთან დაკავშირებით, გაგრძელებული ნებისმიერი ინფორმაცია იწყება იქ არსებული „სავალალო“ მდგომარეობის აღწერით, რაც გამოწვეულია სავაჭრო, სათევზაო და ადგილობრივი ტრანსპორტის

დიდი მასის არსებობით, განსაკუთრებით კი მომწამლავი და საშიში ნივთიერებებისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვით;

არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად 1994 წელს თურქეთის მთავრობამ მიიღო თურქეთის სრუტეებისათვის წესების კრებული, რომლის მიზანია „შესაძლებლობის ფარგლებში სრუტეებში სიცოცხლის, საკუთრების, გარემოსა და ნაოსნობის დაცვა არსებული სატრანსპორტო ნაკადის პირობებში“. წესებთან ერთად ძალაში შევიდა მოძრაობის განმაცალკეველი სქემები (მგს), რომლებიც 1995 წლის ნოემბერში IMO-ს გენერალურმა ასამბლეამ ბოსფორის სრუტეში, დარდანელის სრუტესა და მარმარილოს ზღვაში ნაოსნობის წესებსა და რეკომენდაციებთან ერთად დაამტკიცა.

1998 წლის 6 ნოემბერს ძალაში შევიდა ახალი წესები. უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის მიზნით გაძლიერდა რადიო-კომუნიკაციური ქსელი, საბუქსირო, სალოცმანო და გადამრჩენი სამსახური, გაიწმინდა შექურები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამონტაჟდა ახალი ტივტივები.

განსაკუთრებით საყურადღებოა წესების 24-ე მუხლი, რომლის თანახმად თურქეთის მთავრობას შეუძლია დროებით შეაჩეროს სრუტეებში ნაოსნობა აღდგენითი სამუშაოების, ხანძრის, სამეცნიერო და სპორტული საქმიანობის, გადამრჩენი ოპერაციების, ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების ან აღმოფხვრის, დამნაშავეების დევნის, ავარიებისა და მსგავს შემთხვევებში. როგორც ვხედავთ, ნაოსნობის თავისუფლების შეზღუდვის საკმაოდ ფართო ჩამონათვალს შეიცავს თურქეთის წესები, თანაც ეს ჩამონათვალი არასრულია. ამან შეიძლება თურქეთის მიერ ნაოსნობის თავისუფლების უფლების ბოროტად გამოყენება გამოიწვიოს, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა იქნება. როგორც აღინიშნა, შავი ზღვის სრუტეები, საერთაშორისო სრუტეებია. ჩვეულებითი სამართლის თანახმად, მშვიდობიანი გავლის უფლება არ შეიძლება შეჩერდეს სრუტეებში, რომლებიც საერთაშორისო ნაოსნობისათვის გამოიყენება. ეს წესი საერთაშორისო სასამართლომ კორფუს არხის საქმეში 1949 წელს აღიარა: სასამართლომ დაადგინა, რომ სანაპირო სახელმწიფოს არ აქვს უფლება საერთაშორისო სრუტეში სრულებით შეაჩეროს ნაოსნობა, ან უარყოს ეს უფლება სპეციალური ნებართვის მოთხოვნის დაწესებით.

საქართველო არ ყოფილა არც ერთი საერთაშორისო კონვენციის წევრი, რომელიც უშუალოდ შავი ზღვის სამართლებრივ რეჟიმს აწესრიგებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველო ლოზანის კონფერენციის მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, მაგრამ რუსეთის მხრიდან არსებული პოლიტიკური ზეწოლის გამო მისი წევრი არ გამხდარა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მონტრეს კონვენციაზე მიერთება დღის წესრიგში დადგა, თუმცა ჯერჯერობით საქართველო არც მისი წევრი გამხდარა. არსებობს ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოსა და თურქეთს შორის, ესენია: ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ (ძალაშია 1993 წლის 25 მარტიდან), ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (ძალაშია 1998 წლის 28 მარტიდან) და შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო მიმოსვლის შესახებ (ძალაშია 1995 წლის 7 ივნისიდან). მხარეები აღნიშნავენ, რომ ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ “თანამშრომლობას იმ დარგებში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მათი მომავლისათვის:

- ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა
- კომუნიკაციები“

მხარეები იღებენ ვალდებულებას ითანამშრომლონ შავი ზღვის დაცვის საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვაო შეთანხმება, რომლის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ შეთანხმება „თანასწორობის, ორმხრივი სარგებლობისა და დანხარების პრინციპების შესაბამისად“ იღება. შეთანხმების მიზანია:

- საზღვაო ურთიერთობების განვითარება ორ ქვეყანას შორის.
- საუკეთესო სანავიგაციო თანამშრომლობის კოორდინაცია; ზღვაზე უსაფრთხოების ხელშეწყობა;
- საზღვაო ურთიერთობის განვითარებისათვის ზიანის მიმცენებელი ღონისძიებების თავიდან აცილება“ (მ. 1).

გარდა ორმხრივი ხელშეკრულებისა საქართველო-თურქეთის საზღვაო თანამშრომლობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ფარგლებშიც ხდება. მართალია, BSEC რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაციის მიზნით შეიქმნა, შავი ზღვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება მის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

თურქეთის სრუტეებში ნაოსნობის თავისუფლების პრინციპს ხშირად შავი ზღვისა და სრუტეების ეკოლოგიის საკითხები უპირისპირდება. შავი ზღვას მეტად ჩაკეტილი და სრუტეებთან განუყოფლად დაკავშირებული ეკოსისტემა აქვს. შესაბამისად მათი დაბინძურებისაგან დაცვის საკითხი ერთად წამოიწვეს ხოლმე, რომლის აუცილებელ პირობად, ზოგიერთი სახელმწიფო, კერძოდ კი თურქეთი, სრუტეებში ნაოსნობაზე შეზღუდვების დაწესებას მიიჩნევს. ხშირად აყენებენ საკითხს ისე, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ და არა მარტო შავი ზღვისპირა სახელმწიფოებმა, შეუზღუდავ და თავისუფალ ნაოსნობასა და შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვას შორის არჩევანი გააკეთოს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ კავკასია და შესაბამისად შავი ზღვა ყოველთვის იყო სატრანზიტო ფუნქციის მატარებელი ევროპასა და აზიას შორის, დასავლეთი უარს არ იტყვის ესოდენ ხელსაყრელი და ამავე დროს იაფი სატრანზიტო დერეფნის ჩაკეტვაზე, უმჯობესი იქნება, თუ საკითხს ასე რადიკალურად არ დავაყენებთ. მით უმეტეს, რომ შავი ზღვის ჩაკეტვა შავი ზღვისპირა, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოების ინტერესებში არ შედის. არსებულ პირობებში გამართლებული იქნება, თუ საქართველო გამოვა ინიციატივით, რომ მოწვეულ იქნას კონფერენცია, რომელიც შეიმუშავებს ახალ კონვენციას შავი ზღვის სამართლებრივ რეჟიმის შესახებ. ახალი კონვენცია არა მარტო ნაოსნობისა და ტრანზიტის თავისუფლებას უნდა შეეხოს, არამედ, პირველ რიგში, გადაჭრას ეკოლოგიური პრობლემები; ალბათ მნიშვნელოვანი იქნება, თუ თურქეთის სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე შავი ზღვისპირა სახელმწიფოებს მიენიჭებათ უფრო ფართო უფლებები სრუტეებზე. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს პრობლემა სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს, თორემ შეიძლება შავი ზღვის დაბინძურებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწიოს, რომ შავი ზღვის ჩაკეტვა რომელიმე სახელმწიფოს უსაფუძვლო სურვილი კი არა, უკიდურესი აუცილებლობა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 М.Л. Лопатин. Международные проливы и каналы: правовые вопросы-М.: Международные отношения 1995.
2. Морской транспорт и Международное судоходство: правовые и экономические проблемы, под редакций Н Алексеевой, М., 1990
3. Мировой океан и международное право. под ред. А.П. Мовчана, М., “Наука”, 1988.
4. Действующее международное право. т. 3, под ред. Ю.М. колосов и Э.С. кривчикова. М., 1999.
5. ა. გეგეშიძე " გეოპოლიტიკა" თბილისი 1997.
6. R.R. Cerchill and A.V. Lowe, Law of the sea, 3rd edition Manchester University Press 1999.

THE BLACK SEA STRAITS: FREEDOM OF NAVIGATION VS. PURE ENVIRONMENT

The geopolitical situation of every country is generally evaluated against the location of its transport communications. Among the transport communications marine transport is of particular importance. Hence, the neighbourhood with water communications is of essential significance for every country. Since Georgia has no other access to the world ocean it would not be exaggerated to say, that the Black Sea is exceptionally important for the country. Owing to its location on the coast of the Black Sea Georgia could be considered as a sea power. But the Black Sea is situated in the depths of Eurasia (it is the most detached sea in the world) and consequently it is necessary to pass several straits (Turkish Straits) and seas (Marmara Sea) controlled by the other country in order to get to the marine communications of global importance. Recognition of the freedom of navigation in Turkish Straits is of essential significance for Georgia. Moreover, Georgia managed to acquire its place in the world after the splitting up of the Soviet Union as the major countries of the world granted it with transit functions.

According to its geographical location the Black is a semi-secluded sea. It communicates with the outer world through the Dardanelles and the Bosphorus. These Straits are often called Turkish Straits as well. It would not be exaggerated to say that the Black Sea and its Straits have major strategic, economic and military importance for coastal states and its in their interests for the Black Sea basin to serve the purposes of international marine and air communications and international co-operation. Strengthening and maintenance of the freedom of navigation in the Straits is of vital importance for the states situated around the Black Sea.

According to the United Nations 1982 Convention on the Law of Sea the legal regime in the Black Sea is defined as “enclosed or semi-enclosed sea” (Art. 122). Consequently the coastal and non-coastal states enjoy dissimilar rights of using the high sea. The legal regime in the Black Sea considerably depends on the legal regime in the Straits as far as if there is no freedom of navigation there, it will become an enclosed sea and will be cut off the world ocean.

Legal regime in the Black Sea Straits is mainly regulated by Montreux 1936 Convention regarding the Regime of the (Turkish) Straits. Although the 1982 Convention on the Law of Sea refers to the international straits, it is stated in Article 35, that “Nothing in this part affects: c) the legal regime in straits in which passage is regulated in whole or in part by long-standing international conventions in force specifically relating to such straits”. Therefore it did not affect the legal regime in the Turkish straits. Apart from this, Turkey is not a Party either to 1982 or 1958 Conventions on the Law of Sea.

Montreux Convention came in to force on 6 November 1936.

The High Contracting Parties of the Conventions are still: Australia, Bulgaria, Great Britain, Greece, Italy (acceded in 1938), Cyprus (on the grounds of legal succession, since 1969), Romania, Russia, Turkey, France and Yugoslavia. As regards Japan, at the Berlin Conference of 1945 it was deprived of the rights and immunities under the Convention. San-Francisco Peace Treaty confirmed the same as well.

LEGAL REGIME IN THE BLACK SEA STRAITS

The Bosphorus and the Dardanelles make the territorial sea of Turkey. When passing the straits the ships are to sail 325 km under the sovereignty of Turkey. Total time of passage equals approximately 16 hours.

“Strait” is a geographical term meaning the natural narrow outlet connecting two large masses of water. Upon the determination of the legal regime in a strait account should be taken of the extent of the protection of the freedom of navigation and transit with regard to trade and military ships of foreign states, the rights and obligations of a coastal state (i.e. of a state in whose territorial waters or economic zone a ship is in), of a flag state (i.e. of a state under whose flag a ship sails) and of a port state (i.e. of a state, in whose port a ship is in).

When analysing the legal regime in the Black Sea Straits, the primary issue to be considered is whether the Bosphorus and the Dardanelles are the international Straits. For the recognition of a strait as an international Strait the geographical location of the strait of decisive importance, it should historically have this function and link with each other an enclosed sea and the high sea, or the high sea and a special economic zone, or a territorial sea and the high sea.

The central provision of the Montreux Convention is the principle of freedom of transit and navigation by sea in the straits (Article 1). The exercise of this freedom by the merchant and military vessels are regulated by the respective Chapters. In order for a Black Sea Power not to abuse this freedom the Convention provides for different regimes for them and for non-Black Sea Powers.

MERCHANT VESSELS

In time of peace, the merchant vessels enjoy the “freedom of transit and navigation” without any limitation. Ships of every state enjoy this right. Though there is one exception – Turkey exercises the sanitary control over the ships entering the Straits by the Aegean Sea or by the Black Sea (Article 3). Pursuant to the Convention the Turkish authorities are not authorised to stop the ships except for sanitary purposes.

In time of war two regimes are in force for merchant ships: Turkey not being belligerent, merchant vessels enjoy freedom of transit and navigation without any limitation; Turkey being belligerent, merchant vessels not belonging to a country at war with Turkey enjoy freedom of transit and navigation in the Straits on condition that they do not in any way assist the enemy. Furthermore, such vessels must enter the Straits by day and their transit must be effected by route indicated by the Turkish authorities (Articles 5 and 6). It should be mentioned that should Turkey consider herself to be “threatened with imminent danger”, it may enjoy the right of limitation of the freedom of transit and navigation (Article 6).

Vessels of War. The freedom of transit and navigation does not apply to the vessels of war. The Convention specifies several types of vessels of war. Fewer limitations are provided for the auxiliary vessels at war designed for the carriage of liquid or non-liquid fuel, on condition they pass through the Straits singly (Article 9). As for the light surface vessels, minor war vessels and auxiliary vessels, in the time of peace they enjoy the freedom of transit and navigation provided such transit is begun during daytime. No discriminatory regime shall be admissible with regard to these vessels on the grounds of their flags (Article 10).

To obtain the permission to pass the Straits both Black Sea Powers and non-Black Sea Powers are to fulfill certain formalities and requirements: according to Article 13 every state is bind to send a prior notification to Turkish authorities (the Black Sea Powers – 8 days prior, the non-Black Sea Powers – 15 days prior), which should specify the destination, name, and type of vessels, also the date of entry and return journey.

Submarines could pass the Straits only on two conditions: 1) when such submarine is constructed or purchased outside the Black Sea and is to rejoin its base and 2) when a submarine is to be repaired in dockyards outside the Black Sea (Article 12). In either case the flag Powers are to provide the Turkish authorities with respective information.

The aggregate tonnage of the non-Black Sea Powers is subject to strict restrictions: the maximum aggregate tonnage must not exceed 30.000 tons, in exceptional cases – 45.000 tons. The above vessels must not remain in the Black Sea more than twenty-one days. It should be mentioned that the Convention provides for restrictions even for the naval forces sent for humanitarian purposes – they must in no case exceed 8.000 tons altogether. No restrictions with regard to the tonnage are provided for warships of foreign Powers entering the Straits for paying a courtesy visit.

A different regime is envisaged for vessels of war in the time of war. Turkey being belligerent, the passage of warships is entirely left to the discretion to the consideration of the Turkish Government. If Turkey is not belligerent, than Articles 10-18 of the Convention shall apply for vessels of war. It is worth mentioning, that should Turkey consider herself to be threatened with the “imminent danger of war” she may also suspend the right of transit (Article 21). Conferring such powers to Turkey without a mechanism of restriction might have certainly caused the abuse of this right on her part. Hence, with a view to avoiding the above, when making use the powers, granted by Article 21 Turkey is bind to address a notification to the Secretary-General of the League of Nations (for the time being the functions of the latter are being exercised by the Secretary-General of the United Nations) and the High Contracting Parties. Convention provides for the discontinuation of the undertaken measures, provided the majority of the League of Nations and the High Contracting Parties decide, that they are not justified.

The major achievement of the Convention could be considered the recognition of the principle of free navigation in the Straits, which shall remain in force irrespective of the validity of the Convention.

Montreux Convention does not include the provisions regarding ecology. The possible explanation of the above is that the environmental protection was not a pressing problem for the international community in 30-ies of XX century. In the second half of XX century the existing ecological threat resulted in the intensive codification activities in this field. Turkey is a member of some of the Conventions of this type, what has its impact on the legal regime in the Straits. Hence it would be expedient to consider the basic Conventions, which apply to the Turkish Straits. The overview of these Conventions is moreover interesting as Georgia is a Contracting Party to some of them, while it is not a member of the Montreux Convention. Together with the bilateral treaties these Convention make up the international legal framework for the co-operation in maritime field.

SOLAS (International Conventions for the Safety of Life at Sea) International Convention was adopted in 1974. In 1978 and 1988 some essential amendments were made to it. The adoption of the first Convention in 1914 was a response to the Titanic disaster and it aimed for the development of the international standards of the maritime safety of ships. The Convention includes the provisions concerning the construction of ships, fire protection measures, life-saving appliances and arrangements, carriage of cargoes, special rules for nuclear ships, management of the safe operations of ships, special measures to enhance maritime safety. The importance of the Convention is stressed by the fact that it not only entitles the Flag State to control the ships, but provides the Port State with a wide discretion: they are entitled to inspect, whether every ship sailing under the flag of SOLAS member states and staying in their water the certificate prescribed in the Conventions. Where “there are clear grounds for believing that the ship and its equipment do not substantially comply with the requirements of the Convention or “if the ship does not carry a valid certificate” or if “ the ship and its equipment do not substantially comply with the requirements of 11 regulations of Chapter I, the authorised officials of the ports are entitled to take measures to secure that the ships will not continue to sail until they go to high sea of leave the port for repair dockyard without prejudice to the ship and passengers on board. In 1994 an amendment was made to the convention to expand the control of a Port State for the inspection of the operational requirements, where there are grounds, that the owner of the ship and the crew are not aware of the necessary

procedures for securing the safety of the ships. Under the amendment of 1995 its requirements became legally binding for each of the Contracting Governments of the SOLAS Convention.

There are several IMO conventions regarding the seaworthiness of ships: 1966 International Convention on Load Lines; 1971 Special Trade Passenger Ships Agreement with 1973 Protocol thereto and 1977 International Convention for the Safety of Fishing Vessels, which has not come into force. Under 1993 Protocol this Convention was abolished given the technical progress. Of them Turkey is a member to: the International Convention on Load Lines and the International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers (STCW 78/95), Georgia is a member to the ?? ed Conventions wall.

Pollution from ships. Reduction of the pollution of seas from ships is one of the reasons of the reinforcement of Turkish control over the Straits. The whole world is concerned with this problem. The above is proved by the existence of the multitude of Conventions in this field. Pollution of seas from ships includes a number of issues: standards for the suppression or reduction of the pollution, adoption and enforcement of such standards, prevention of the pollution as a result of an accident, measures undertaken by a coastal state with a view to prevention of the consequences of the pollution, cooperation during accidents, liability for damages caused by the pollution.

MARPOL 73/78 International Convention for the Prevention of Pollution from Ships was adopted in 1973 under the auspices of the IMO and regulated every type of deliberate pollution of sea from ships, except for discharge of wastes in sea. The detailed rules against pollution are concentrated in six Annexes to the Convention. The ratification of Annex I (pollution by oil) and Annex II (pollution by harmful substances in packaged form) is mandatory. Apart from them Turkey has acceded to the Annex V as well (pollution by garbage). In 1978 the IMO Conference adopted Protocol on Tanker Safety and Pollution Prevention.

Pursuant to Annex I of the Convention it is prohibited to discharge the ballast water in the Black Sea and the Mediterranean.

When complying with the international rules of safety at sea and pollution from ships the issue of discretions of the States arises. There exist the competences of flag, coastal and port states, which may imply the legislative jurisdiction and the executive jurisdiction. The latter covers the judicial and arrest jurisdiction. 1958 and 1982 Conventions on the Law of Sea refers to this issue. It is also regulated by the Customary Law as well. But only the provisions of Customary Law and MARPOL 73/78 apply to Turkish Straits.

Legislative jurisdiction. Pursuant to the Customary Law the coastal state is authorised to set forth rules for the foreign ships with regard to the pollution of territorial seas during peaceful passage without causing damage. MARPOL 73/78 States Parties are liable to apply the provisions of the Convention in their territorial seas for every ship.

The rule of the Customary Law authorises a port state to adopt the legislation on the pollution of sea from ships against foreign ships staying in its ports and to demand the compliance with these laws and relevant international Conventions in port waters. Furthermore the customary law provisions require these rules not to be of discriminative nature.

Executive power. Pursuant to the Customary Law provisions, a coastal state is authorised to arrest a foreign ship and to sue it lest the latter violates the laws on the pollution of sea in the territorial waters. MARPOL 73/78 binds its States Parties that a coastal state, in whose territorial sea a foreign ship violates the Convention provisions to sue the offender ship or to inform the flag state about the violations; the latter is bound to initiate proceedings if there are clear grounds for believing that there was a violation.

A port state is entitled to exercise the executive jurisdiction (both of its forms) against the ships, which have violated the laws of the states or the International conventions on the pollution of sea in territorial waters or in any of its port. MARPOL 73/78 provides for the following powers for a port state: the authority carrying out the inspection may detain the ship until it is satisfied that the ship can proceed to sea without presenting unreasonable threat of harm to the marine environment. The port state is required to notify the flag state about the detention. Under the Convention a port state is authorised to demand the compliance with the requirements of the Convention even from the ships of non-Convention States Parties staying in the port of a State Party.

TURKEY'S POSITION

Turkey tries to take advantage of the existing aggravated ecological situation in the world and to strengthen control of the Straits through the introduction of a number of restrictions. Any information disseminated by the Ministry of Foreign Affairs of Turkey with regard to the Black Sea Straits starts with the description of “sorry plight” prevailing there and caused by the large amount of trade, fishing and local transport, especially by the transportation of noxious and harmful substances and oil products.

With a view to overcoming the above problem the Turkish government adopted the block of rules for Turkish Straits in 1994, which aims for the “protection of life, property, environment and navigation in the Straits at a maximum possible extent in the current flow of transport”. Together with these rules the traffic separation schemes were enacted as well, approved by the IMO General Assembly in 1995 along with the Rules of and Recommendations for the navigation in the Bosphorus, the Dardanelles and Marmara Sea.

On 6 November 1998 the new rules came in to force. With a view to securing the safe navigation the network of radio-communications, towing, piloting and rescue services were reinforced, the lighthouses were cleaned, and new buoys were installed complying with the international standards.

Article 24 of the rules is particularly important, pursuant to which the Turkish Government is authorised to suspend the navigation in the Straits given the recovery works, fire, scientific and sporting activities, rescue operations, for the prevention and suppression of the pollution of seas, pursuit of offenders, accidents and similar events. As it could be seen, the Turkish rules include a rather wide list of restrictions for navigation although this list is not exhaustive. This may result in the abuse of the right to freedom of navigation, by Turkey what would constitute a violation of the rules of International Law. As mentioned above the Black Sea Straits are international straits. Pursuant to the Customary Law the right of innocent passage could not be prohibited in the straits used for international navigation. This rule was recognised by the International Court of Justice in Corfu Channel case in 1949: the court ruled that a coastal state is not authorised to totally prohibit the innocent passage in an international Strait or to subject it to the requirement of special authorisation.

Georgia is not a member of none of the International Conventions regulating the legal regime in the Black Sea. Though it should be mentioned, that Georgia was one of the initiators of Lausanne Conference, but has not become its member given the political pressure of Russia. After the reestablishment of independence the accession to Montreux Convention became the order of the day, but Georgia has not acceded to it as yet either. A number of bilateral agreements were made between Georgia and Turkey, such as: Agreement between the Republic of Georgia and the Republic of Turkey on Partnership, Cooperation and Good-Neighbourly relations (entered into force on 25 March, 1993), the Agreement between the Government of the Republic of Georgia and the Government of the Republic of Turkey on Cooperation in the field of Environment Protection (entered into force on 28 March 1998) and the Agreement between the Government of the Republic of

Georgia and the Government of the Republic of Turkey on Marine Navigation (entered into force on 7 June 1995). The Parties state that they accord particular importance to the “cooperation in those fields that are of particular importance for their future:

- transport and infrastructure;
- communications”.

The Parties undertake to cooperate in the field of protection of the Black Sea.

Particular mention should be made of the Marine Agreement in the preamble of which it is stressed, that the Agreement “is based on the principles of equality, mutual benefit and assistance”. The purpose of the Agreement is:

- “To develop the maritime relations between the two states;
- To coordinate the best navigation cooperation; to promote the safety at sea;
- To prevent the measures detrimental to the development of the maritime relations.” (Article 1)

Apart from the bilateral Agreement Georgia and Turkey cooperate in maritime field within the framework of the Black Sea Economic Cooperation (BSEC) as well. Although BSEC was established with a view to coordination of the economic cooperation of the region the development of the Black Sea transport infrastructure is one of its priority directions.

The principle of freedom of navigation in Turkish Straits is often opposed by the concerns of ecology of the Black Sea and the Straits. The Black Sea has a very enclosed ecosystem, which is inherently related with the Straits. Consequently the issue of their protection against pollution arises all together, the necessary precondition of which according to the opinion of many countries, namely of Turkey is the introduction of certain restrictions on the navigation in the Straits. It is often claimed that not only the Black-Sea Powers, but also the international community is to make a choice between the unrestricted and free navigation and protection of the Black Sea against pollution. However, with due consideration of the fact that South Caucasus and consequently the Black Sea have always born the transit functions between Europe and Asia, the West would not refuse to lock such a favourable and at the same time cheap transit corridor. It would be better not to raise this issue that edgewise. Moreover the lockage of the Black Sea does not fall within the interests of the Black Sea Powers, especially for the economically less-developed ones. Under the current situation it would be justified for Georgia to display the initiative for convening a conference which will elaborate a new Convention on the legal regime in the Black Sea. The new Convention is to cover not only the freedom of navigation and transit, but first of all to settle the ecological problems; it would probably be important that the Black Sea powers be conferred with a wider range of rights at the expense of the limitation of Turkish sovereignty over the Straits. At the same time we should not forget, that these problems should be urgently regulated, otherwise, the pollution of the Black Sea would reach such a scale when the lockage of the Black Sea may become not only a groundless desire of a single state, but urgent necessity.

აპატრიზმის სამართალმცოდნეო-სამართლებრივი ასპექტები

პიროვნების სამართლებრივი სტატუსის საკითხი თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩება. პიროვნების – ადამიანისა და მოქალაქის სტატუსის შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი მრავალფეროვანი ნორმები პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და საზოგადოების დაცულობის, უფლება-თავისუფლებით სარგებლობის გარანტირების უზრუნველყოფისკენაა მიმართული და უკავშირდება სახელმწიფოს ვალდებულებას, გაუწიოს მას მფარველობა. აქ მნიშვნელოვანია მოვალეობათა მატარებელი ადამიანის ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქედ სამართლებრივი გაფორმება, ვინაიდან მოქალაქეობა ყველაზე ეფექტური რეჟიმია პიროვნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად. პიროვნების არცერთ სახელმწიფოს მოქალაქეობაში ყოფნა ანუ აპატრიზმი სრულიად საპირისპირო შედეგს იწვევს. სწორედ ამითაა განპირობებული აპატრიზმის საკითხის აქტუალობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და მისი შემცირებისაკენ სწრაფვა.

„მოქალაქეობის არმქონე პირის“ (აპატრიდის) ტერმინი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სხვადასხვაგვარად კვალიფიცირდება. 1954 წლის 28 კონვენციაში სექტემბრის აპატრიდთა სტატუსის შესახებ ასეთად კვალიფიცირდება პირი, „რომელიც არცერთი სახელმწიფოს მიერ თავის მოქალაქედ კანონის ძალით არ განიხილება“.

მოქალაქეობის არქონის (აპატრიზმის) წარმოშობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ე.წ. „უარყოფითი კოლიზიები“ მოქალაქეობის შესახებ სახელმწიფოთა შიდაეროვნულ კანონმდებლობაში. ამგვარი კოლიზიები წარმოიშობა, მაშინ როდესაც ერთი სახელმწიფო ჩამოართმევს პირს მოქალაქეობას, ან როდესაც მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შედეგად პიროვნება კარგავს მოქალაქეობას, ხოლო მეორე სახელმწიფოს მოქალაქეობის მოპოვება, ამ პირისგან დროში გაწევილი პირობების შესრულებას მოითხოვს. აპატრიზმი შეიძლება წარმოიშვას მაშინაც კი, თუ პიროვნება საკუთარი ინიციატივით უარს აცხადებს ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობაზე, მაგრამ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეობის მოპოვება იმავდროულად შეუძლებელია. ანალოგიური ვითარება იქმნება მაშინაც, როცა უცხოელზე დაქორწინების შემთხვევაში, ქალის მოქალაქეობის სახელმწიფოში კანონის შესაბამისად, ქალი ავტომატურად კარგავს მოქალაქეობას, მაგალითად, როგორც ეს გათვალისწინებულია ლიბერიის 1922 წლის 8 თებერვლის კანონის 71-ე მუხლით. თუ, მაგალითად, ლიბერიელი ქალი რეგისტრირებულ ქორწინებაში შევა შევდ მამაკაცთან, შევეციის კანონმდებლობის შესაბამისად, უცხოელის ქორწინება შევდეთის მოქალაქეზე არ აძლევს მას უფლებას ავტომატურად მოიპოვოს შევდეთის მოქალაქეობა. შესაბამისად, იგი ლიბერიის კანონმდებლობისა და შევდეთის კანონმდებლობის კოლიზიურობის გამო აპატრიდი გახდება.

აპატრიზმი შეიძლება წარმოეშვათ მოქალაქეობის არმქონე მშობლების ბავშვებს, აგრეთვე იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა ბავშვებს, რომელშიც დაბადებით მოქალაქეობის მოპოვება „ნიდაგის უფლების“ ძალით ხდება (არგენტინა), თუ ისინი დაიბადებიან იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოქალაქეობის მოპოვების აღნიშნული სახე პრიორიტეტულად „სისხლის უფლების“ მოქმედებითაა განპირობებული (შვეიცია). განსაზღვრული პირობების არსებობისას, აპატრიზმი შესაძლოა ტერიტორიული ცვლილებების დროსაც წარმოიშვას.

ეჭვგარეშეა, რომ აპატრიზმი თავისი შინაარსით უარყოფითი მოვლენაა, როგორც სახელმწიფოების, ასევე ადამიანებისათვის. სახელმწიფოსათვის არსებობის საფუძველს წარმოადგენს სწორედ მისი მყარი სამართლებრივი კავშირი პირთა განსაზღვრულ წრესთან, რომელიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს. ანუ აპატრიზმი საფუძველს აცლის სახელმწიფოს – ამ სამედიკინტოვანი (მოსახლეობა, ტერიტორია, საჯარო ხელისუფლება) კატეგორიის არსებობის პირველ ელემენტს.

მეორეს მხრივ, მოქალაქეობის არქონა აპატრიდებს უფრო ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში აყენებს, სახელმწიფოსთან მყარ სამართლებრივ კავშირში მყოფ პირებთან – მოქალაქეებთან შედარებით, როგორც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. აპატრიდები, ყველა სამართლებრივი სისტემის პირობებში გარკვეულწილად თავიანთ უფლება-თავისუფლებებში

შეზღუდვები არიან, ძირითადად, პოლიტიკურ უფლება-თავისუფლებათა კონსტიტუციური სპექტრი გვაქვს მხედველობაში. ამას გარდა, მათ არ შეიძლება მუდმივად ცხოვრების, სახელმწიფოს მხრიდან მის საზღვრებს გარეთ დაცვასა და მფარველობაზე გააჩნდეთ პრეტენზია, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის უკვე დამკვიდრებულ საერთაშორისო სამართლებრივ ჩვეულებად უნდა მივიჩნიოთ საერთაშორისო ურთიერთობებში აპატრიდთა დაცვისა და მფარველობის პრაქტიკა იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ.

საერთაშორისო სამართალში განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის დასარეგულირებლად. პირველად აღნიშნული ღონისძიებები ორმხრივ შეთანხმებებში აისახა. მაგალითად, 1890 წელს აღნიშნულ საკითხზე შეთანხმება გერმანიასა და შვეიცარიას შორის გაფორმდა, ხოლო 1894 წელს – რუსეთსა და გერმანიას შორის. 1982 წლის ერთა ლიგამ სცადა, რომ კოლექტიური კონვენციის გაფორმების გზით, მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვი შეემცირებინა, მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. განმეორებით ეს საკითხი დასმულ იქნა ერთა ლიგის ეგიდით 1930 წელს, საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის შესახებ გამართული ჰააგის კონფერენციის მსვლელობისას. მოქალაქეობის შესახებ კანონებში არსებული კოლიზიების ირგვლივ მიღებული კონვენციის შესაბამისად, ამ კონფერენციის მიერ დაგეგმილი იქნა აპატრიზმის შემცირება შემდეგი ღონისძიებით:

- 1) პირი, რომელიც მიიღებს ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობიდან გასვლის ნებართვას, არ კარგავს პირველად მოქალაქეობას ახალი მოქალაქეობის შეძენამდე. იმ შემთხვევაში, თუ პირი დადგენილ ვადაში ახალ მოქალაქეობას ვერ მოიპოვებს, პირველი მოქალაქეობიდან გასვლის ნებართვა იურიდიულ ძალას კარგავს (მ. 7);
- 2) თუ სახელმწიფოს შიდაეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, ქალის უცხოელზე გათხოვების შემთხვევაში, დენაციონალიზაციას (დენატურალიზაციას) ან ქალის ამგვარ ქმედებას მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველად აღიქვამს, ან ქმრის მიერ მოქალაქეობის გამოცვლის შემთხვევაში, ქალისთვის ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს, ამან არ უნდა აქციოს ქალი აპატრიდად (მ. 8, 9);
- 3) უცნობ პირთა ბავშვები, დაბადების ადგილის ან ბავშვის პონის ადგილის მიხედვით მოიპოვებენ მოქალაქეობას. მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები მოქალაქეობას დაბადების ადგილის მიხედვით "ნიადაგის უფლების" ძალით, ან ნატურალიზაციის წესით (მ. 14, 15) მოიპოვებენ;
- 4) თუ ბავშვის შვილად აყვანა ბავშვის წინა მოქალაქეობის დაკარგვას იწვევს, მაშინ ამგვარ დაკარგვას შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი იმავედროულად მშობლების მოქალაქეობას (მ. 16, 17) მოიპოვებს.

ჰააგის კონვენციის აღნიშნული დებულების უმრავლესობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებად ჩამოყალიბდა და სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ შედასამართალში იქნა ინკორპორირებული.

1930 წლის ჰააგის კონფერენციაზე შემუშავებული იქნა აგრეთვე ორი სპეციალური ოქმი, რომელიც ასევე აპატრიზმის საკითხს ეძღვნება. პირველი ოქმის შესაბამისად დადგენილია, რომ სახელმწიფოში, სადაც მოქალაქეობა ბავშვს არ მოეპოვება დაბადებით დედისაგან, რომელიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეა, ხოლო მამა აპატრიდია ან დაუდგენელი მოქალაქეობის მქონე პირია, ბავშვი მოქალაქეობას მოიპოვებს დაბადების ადგილის მიხედვით. მეორე ოქმის შესაბამისად კი, თუ პირი, რომელიც საცხოვრებლად მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადადის და ამის გამო პირველ მოქალაქეობას კარგავს, ახალ მოქალაქეობას კი ვერ იძენს, მაშინ, იმ სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, რომლის ტერიტორიაზეც იგი იმყოფება, წინა მოქალაქეობის სახელმწიფო ვალდებულია, იგი უკან მიიღოს, თუ: 1) პირი საჭიროებს სახსრებს, თუ იგი განუკურნებელი სენითაა დაავადებული, ან სხვა მიზეზით; 2) სახელმწიფოში, სადაც იგი იმყოფება, არანაკლებ ერთი თვის პატიმრობა აქვს მისჯილი ან უკვე მოიხადა ამგვარი სასჯელი.

1954 წლის 28 სექტემბერს გაეროს მიერ მიღებული იქნა აპატრიდთა სტატუსის შესახებ კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1960 წელს. აღნიშნული კონვენცია ვრცელდება პირებზე, რომლებიც გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის დაცვით და მფარველობით

სარგებლობენ. კონვენციის შესაბამისად, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის კონვენციის მონაწილე-ქვეყნებში უცხოელთა რეჟიმი დადგენილი იქნა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთა მხრიდან კონვენციის რიგი დებულებები სადაოდ იქნენ მიჩნეულნი, მონაწილე-ქვეყნები მას მთელი რიგი დათქმებით შეუერთდნენ.

1961 წელს გაეროს მიერ მიღებულ იქნა მოქალაქეობის არქონის შემცირების შესახებ კონვენცია, რომელიც ძალაში 1975 წლის 31 დეკემბერს შევიდა. აღნიშნული კონვენციის ამოცანებია აპატრიდთათვის კეთილგანწყობილი რეჟიმის დადგენა მუდმივი ცხოვრების სახელმწიფოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად და ექსპატრიაციისას პირის მიერ აპატრიდის სტატუსის მიღების შესაძლებლობის ლიკვიდაცია. კონვენცია უპირატესი მოქმედების ძალას აძლევს „ნიადაგის უფლებას“, რომლის შესაბამისადაც აპატრიდთა შვილებმა მოქალაქეობა დაბადების ადგილის მიხედვით უნდა მოიპოვონ. ბავშვები, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაპოვნი არიან და რომელთა მშობლებიც უცნობნი არიან, მოქალაქეობის „ნიადაგის უფლების“ ძალით, მოქალაქეობის კონვენციის შესაბამისად, მოიპოვებენ. ქალის მოქალაქეობის კონვენციის შესაბამისად, ახალი მოქალაქეობის მოპოვებით. კონვენცია დაუშვებს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესაძლებლობას და უარყოფს პირისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევის პრინციპს, თუ ამის გამო პირი აპატრიდი ხდება. ამასთან, პირისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, თუ მან იგი მოტყუებით ან ყალბი დოკუმენტებით მოიპოვა, კონვენციის შესაბამისად მართლზომიერადაა მიჩნეული. ტერიტორიული ცვლილებების შემთხვევისათვის, კონვენცია ადგენს, სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებში მონაწილე ქვეყნებმა, შეთანხმების სუბიექტებმა, გაითვალისწინონ აპატრიზმის წარმოშობის წინააღმდეგ მიმართული გარანტიები.

გაეროს 1961 წლის არმოქალაქეობის შესახებ კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ორგანოს შექმნა, რომელსაც კერძო პირები „მოთხოვნებით“ მიმართავენ, სახელმწიფოთა მხრიდან მათი შესაბამისი უფლება – თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში. ძირითადად ამ ფუნქციის შესრულებითაა დაკავებული გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარი.

კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს მიანიჭონ თავისი მოქალაქეობა ყველა იმ პირს, რომელიც დაბადებულია მის ტერიტორიაზე, „უკრძალავს“ მათ მოქალაქეობის ჩამორთმევის პრაქტიკას, და მოქალაქეობის მიცემაზე უარის გასაჩივრებას ითვალისწინებს.¹

1957 წლის 20 თებერვალს, გაეროს მიერ მიღებული კონვენცია „გათხოვილი ქალის მოქალაქეობის შესახებ“, ასევე შეიცავს დებულებებს, რომელთა მიზანია ქალის გათხოვების შემთხვევაში აპატრიზმის წარმოშობის ლიკვიდაცია. ამ მიზნით, კონვენცია ითვალისწინებს: 1) ქალის ქორწინების და განქორწინების ავტომატური ზემოქმედების შეუძლებლობის მის მოქალაქეობაზე; 2) ქმრის მიერ მოქალაქეობაზე უარის თქმა ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მოპოვება ცოლის მიერ მოქალაქეობის შენარჩუნებას ხელს არ შეუშლის, ამავდროულად კონვენცია ქალის მიერ მეუღლის მოქალაქეობის მოპოვების გამარტივებულ წესს ითვალისწინებს.

ამრიგად, თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკა და ცალკეულ სახელმწიფოთა მისწრაფება აპარტიზმის აღმოფხვრისაკენ სამართლიანადაა მიჩნეული. პროცესი განსაკუთრებით გააქტიურებულია II მსოფლიო ომის შემდეგ. დნიშნული საკითხის დამუშავებით დაკავებულია გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია: კომისიამ საკოდიფიკაციო სამუშაოთა რიცხვში აპარტიზმის შემთხვევების შემცირებისა და აღმოფხვრის საკითხები ჩართო. მიღებულია ორი კონვენციის პროექტი: მომავალში აპარტიზმის აღმოფხვრის და შემცირების შესახებ. პროექტით გათვალისწინებულია გაეროს ფარგლებში სპეციალური ორგანოს შექმნა, სადაც აპატრიდებს შეეძლება წარადგინონ საჩივრები ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის მიცემაზე უარის გამო, რაც კიდევ უფრო ეფექტურად იქნება მიმართული აპარტიზმის შემცირებისკენ

¹ Права человека, стр. 73.

INTERNATIONAL-LEGAL ASPECTS OF STATELESSNESS

The question of the legal status of a person remains an especially topical issue in the modern world. Diverse norms of domestic and international law on the status of a person – an individual and a citizen, aims at securing the guarantees of free development of a person, society's safety as well as the enjoyment of the rights and freedoms and is linked with the state's duty to assist him. The Here, important is the legal registration of a person who is burdened with obligations as a national of this or that country, because nationality is the most effective treatment for securing the person's freedom. Person's not being a national of any state or statelessness causes absolutely opposite results. This is why statelessness is so topical in contemporary international law and its reduction is aspired.

The term "stateless person" is differently qualified in different legal systems. According to the Convention of 28 September 1954 "on the status of stateless person" the term "stateless person" means a person" who is not considered as a national by any State under the operation of its law".

The reason causing statelessness is the so-called "negative conflicts" in the domestic legislations of states related to nationality. Such conflicts arise when one state deprives the person of his nationality or the person himself loses nationality, as a result of violating the law on nationality, whereas acquiring the nationality of another state requires the fulfillment of time-consuming conditions by the person. Statelessness might arise also in the event when a person under own initiative renounces one state's nationality but is unable to acquire another state's nationality at the same time. Changing the nationality due to woman's marriage and also lead statelessness when according to the state law on female nationality, she automatically loses her nationality if she gets married to an alien, as stipulated by for instance Article 71 of the Liberian Law of 8 February 1922. If a Liberian woman registers her marriage with the Swedish national, according to Swedish legislation, alien's marriage to a Swedish national prohibits him/her to automatically acquire nationality of Sweden and thus, due to the conflict of the Liberian and Swedish legislations she becomes a stateless person.

Stateless may be the children with stateless parents, also children of the nationals of the state where nationality is acquired by birth by operation of "right of soil (Argentina), if they were born on the territory of the state where this form of acquisition of nationality is conditioned primarily by operation of "right of blood" (Sweden). Statelessness under definite conditions might arise at the time of territorial changes too.

There is no doubt that statelessness by its contents is a negative event both for the state as well as individuals. The grounds for the existence of the state is its sustainable legal connection with the definite circle of persons which permanently reside on the state's territory. In other words statelessness destroys the foundation of the state – the first element for the existence of this three-element (population, territory, public authority) category.

On the other hand, statelessness puts stateless persons in a less favorable position than persons or nationals being in sustainable legal connection with the state both on the territory as well as outside this state. Stateless persons under every legal system are limited to a certain extent in their rights and freedoms, we mean basically the constitutional scope of political rights and freedoms. Moreover, they can not have pretensions of being protected and patronized by the state of permanent residence outside its borders, even though, today, protection and assistance of stateless persons in international relations by the state on the territory of which they have place of permanent residence should be deemed as an already established international law custom.

There are numberless actions taken in international law for the regulation of the legal status of stateless persons. At first, these actions were given in bilateral agreements. For example, in 1890

the agreement on this issue was concluded between Germany and Switzerland and in 1894 between Russia and Germany. In 1928 the League of Nations, though unsuccessfully, but still attempted to reduce the number of stateless persons by way of concluding collective Convention. Secondly, under the auspices of the League of Nations this issue was raised in 1930 during the Hague conference on the codification of international law. In accordance with the Convention adopted by this conference on some issues related with the conflict of laws on the nationality, statelessness shall be reduced by means of the following measures:

- 1) Person, who is permitted to renounce nationality of one state, shall not lose the previous nationality before acquisition of new nationality. If the person fails to acquire new nationality within the established time frame, the permission on renunciation of previous nationality shall lose legal validity (Art. 7);
- 2) If the state's domestic legislation, in case of marriage of woman to an alien, provides for denationalization (denaturalization) or recognizes woman's such behaviour as grounds for losing nationality, or in case of change of nationality by husband results in the above noted legal consequences for the woman, this shall not make the woman stateless (Arts. 8,9);
- 3) Children of aliens shall acquire nationality by place of birth or by place where the child was found. Children of stateless persons shall acquire nationality by place of birth by operation of "right of soil" or by rule of naturalization (Arts. 14, 15);
- 4) If adoption of a child results in losing the child's previous nationality, such loss shall be permissible only if the child at the same time acquires parents' nationality (Arts. 16, 17).

Majority of above given provisions of the Hague Convention were formulated into universally recognized international law norms, incorporated by most of the states in their domestic laws.

In 1930 two special Protocols were elaborated at the Hague Conference also dedicated to the issue of statelessness. According to the first protocol it is stipulated that in the state where nationality is not acquired to a child by birth from mother who is the national of this state and father is stateless or of unidentified nationality this child shall acquire nationality by place of birth. Pursuant to the second protocol, if a person who is moving to another state's territory for residence and for this reason loses previous nationality and fails to acquire new one, than the state of previous nationality shall admit him back on the basis of the requirement of the state where he is staying, provided: 1) a person needs funding or is ill with incurable disease or by other reason; 2) a person is sentenced to imprisonment for a term if at least one month or has already served such punishment in the state where he is staying.

On 28 September 1954, the UN adopted the Convention on the status of stateless persons, which entered into force in 1960. This Convention applies to persons who receive protection and assistance from the United Nations High Commissioner for Refugees. In accordance with the Convention, for the stateless persons in the states parties to the Convention is established treatment for aliens. Considering that some provisions of the Convention were made arguable by the states, the parties to the convention have accessed it under certain reservations.

In 1961 the United Nations adopted the Convention on the reduction of statelessness, which entered into force on 31 December 1975. This Convention aims at establishing favourable treatment for stateless persons for acquisition of nationality of the state of permanent residence and liquidation of the possibility of receiving status of stateless by a person at the time expatriation. The Convention gives advantage to the "right of soil" according to which the children of stateless persons should acquire nationality by the place of birth. Children found on the territory of a specific state and whose parents are unknown, pursuant to the Convention, shall acquire nationality by operation of "right of soil". Whereas in accordance with the Convention on the nationality of women, by acquisition of new nationality. The Convention admits the possibility of renunciation of nationality

and prohibits the principle of deprivation of nationality to a person if he otherwise would be stateless. Therefore deprivation of nationality to a person, if he had acquired it by misrepresentation or fraud is considered rightful by the Convention. For the case of territorial changes the Convention provides for that in the interstate agreements the states – entities of the agreement should take into account the guarantees aiming at against origination of statelessness.

Pursuant to Article 11 of the 1961 UN Convention on statelessness, it was envisaged to establish international body to which individuals would apply with “claims” in case if the states violate their respective rights and freedoms. Basically this duty is performed by the High Commissioner for Refugees.

The Convention obliges the sates to grant its nationality to all persons born on its territory, prohibits to practise deprivation of nationality, provides for contesting the denial on granting the nationality.

The Convention on the nationality of married women adopted by the UN On February 20 1957 also contains provisions which aim at liquidating the cases of statelessness of women as a result of marriage. For the purpose of fulfilment of this objective, the Convention stipulates: 1) celebration or dissolution of a marriage of a woman shall not automatically affect its nationals; 2) renunciation or acquisition of nationality of another state by a husband shall not prevent the retention of nationality by wife. Moreover, the Convention provides for the simplified procedure on acquisition of nationality of a husband by a wife.

Thus and so, contemporary international law practice, aspiration of individual states rightly aim at eradication of statelessness. The process has especially become urgent after the II World War. This issue is examined by the UN Commission on International Law: the Commission has included in the codification activities the issues of reduction and eradication of the cases of statelessness. Two draft conventions have been submitted: aimity at eradication and reduction of statelessness in the future. The draft envisages establishment of a special body within the UN where the stateless persons will be able to lodge claims about denial of grant of the nationality by this or that state, which will even more effectively aim at the reduction of statelessness.

სამართალმცოდნეო დანაშაულები, სამართალმცოდნეო სისხლის სამართლის სასამართლო და საქართველოს იურისდიქცია

1998 წლის ზაფხულში¹ მსოფლიოს საზოგადოება² რომში შეიკრიბა რათა დასწრებოდა მსოფლიოს სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენას – რომის სტატუტის დამტკიცებას (მიღება)³, რომელიც მუდმივმოქმედ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (სსსს) აფუძნებდა. ამკარაა, რომ ამ მოვლენამ წარმოშვა ახალი გარემოპირობები არა მარტო საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების უფრო ფართო მასშტაბით. ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული ევოლუციური ნაბიჯი მსოფლიო სამართლის წესრიგში, შემდგომში ხელს შეუწყობდა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების პატივიცემას განსხვავებულ იურისდიქციებში; ამასთან, იგი საერთაშორისო სისხლის სამართლის მეცნიერებას უზრუნველყოფდა აღმასრულებელი მექანიზმით და შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოცდილებით. მთელი მსოფლიოს პოლიტიკოსები, აკადემიკოსები, ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები მხარს უჭერდნენ ამ წამოწყებას. აღნიშნულ მოვლენას დიდად აფასებდა გაერთიანებული ერების გენერალური მდივანიც, რომელმაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა შეაფასა, როგორც „მომავალი თაობებისათვის ოცნების საჩუქარი და გიგანტური ნაბიჯი უნივერსალური ადამიანის უფლებებისაკენ და კანონის უზენაესობისაკენ“⁴. იგლის სტატუტი შევიდა ძალაში (60-ზე მეტმა სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიკაცია. საქართველოს რატიფიკაცია ჯერ არ მოუხდენია.⁵ სსსს-ს წარმატება, ისევე როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინსტიტუტისა, დამოკიდებული იქნება მათზე, ვინც მისი წევრი იქნება.⁶

იმისთვის, რომ წარმოვაჩინოთ ნათელი სურათი იმისა, თუ როგორი იქნება რომის სტატუტის რატიფიცირების შედეგები საქართველოს კანონმდებლობაში, სსსს-ს სტატუტის რატიფიცირების ფონზე წარსულისა და აწმყოს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვას განვახორციელებ.

აღნიშნული საქმის დაწვრილებითი შესწავლა ხელს შეუწყობს ამ სფეროში სამართლებრივი პლატფორმის მომზადებას. უფრო მეტიც, ჩვენი მიზნებისათვის არ არის საჭირო, განვსაზღვროთ საქართველოს მიერ რომის სტატუტის რატიფიცირების ზუსტი შედეგები მისი განვითარების ასეთ ადრეულ სტადიაზე. მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რომ არსებობს ეფექტური მექანიზმის საჭიროება, რაც საშუალებას მისცემს საქართველოსა და სხვა ქვეყნების მშვიდობიან მოსახლეობას, თავიდან აიცილონ შემდგომი უსამართლობა და განახორციელონ სისხლის სამართლებრივი დევნა, იმ პირებისა რომლებიც სისხლის სამართლებრივ ქმედებას ახორციელებენ.

სსსს-ს წინაისტორია

მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაარსების წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკური და სასამართლებრივი მოვლენების მთელი სერია, რომლე-

¹ 1998 წლის 17-19 ივლისი.

² 120 დელეგირებული სახელმწიფო. სახელმწიფოთა უმეტესობამ, მათ შორის საქართველომ ხმა მისცა სსსს-ს სტატუტის მიღებას. შვიდმა სახელმწიფომ (აშშ, ინდოეთი, ჩინეთი, ისრაელი, ბაჰრეინი, კატარი და ვიეტნამი) ხმა მის წინააღმდეგ მისცა, ხოლო 21-მა თავი შეიკავა.

³ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტი მიიღეს გაეროს დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს. (ამის შემდეგ რომის სტატუტი): UN Doc. A/Conf. 183/9

⁴ H. E. Kofi Annan, "Ceremony for the opening of signature of the treaty on the Establishment of an International Criminal Court " II Campidoglio," United Nations, Rome, Italy, July 18, 1998.

⁵ სტატუტის 126-ე მუხლი (ძალაში შესვლა).

⁶ M. Cherif Bassiouni, *The Statute of the International Criminal Court: A Documentary History* (Ardsley, New York: Transnational, 1998), p.2

ბიც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში აყალიბდნენ მსოფლიო წესრიგს. 1872 წელს წამოაყენეს პირველი წინადადება (რომელიც ცნობილია გუსტავ მონიეს წინადადების სახელით¹), რომ შექმნილიყო საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო. წინადადების წამოყენებას აქტიური ქმედებები არ მოჰყოლია, რათა 1964 წლის აგვისტოს კონვენციის დებულებების დამრღვევი პირები ასეთი სასამართლოს წინაშე წარმდგარიყვნენ.² მოგვიანებით, 1920 წელს წამოაყენეს იდეა, ერთა ლიგის ფარგლებში მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის შესახებ, რათა დასჯილიყვნენ პირველი მსოფლიო ომის დამნაშავენი. იდეას კვლავ არ შეეხება ხორცი, რადგან ასამბლეამ ჩათვალა, რომ იგი ჯერჯერობით ნაადრევი იყო.³ აქვე აღსანიშნავია, რომ ვერსალის ხელშეკრულებაში⁴ მოხსენიებული *ad hoc* ტრიბუნალსაც, რომელსაც უნდა გაესამართლებინა კაიზერი ვილჰელმ II „საერთაშორისო მორალისა და ხელშეკრულებების სიწმინდის წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაულისათვის“⁵, აგრეთვე არ უნახავს დღის სინათლე. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიო თანამეგობრობა იძულებული იყო, დაედო პირობა, რომ ამ ომისათვის დამანახსიათებელი სისასტიკე მომავალში აღარ იქნებოდა დაუსჯელი. გაჩნდა ახალი დაპირება – აღარასდროს კვლავ ამის შედეგად დაარსდა ნიურბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი⁶ (IMT) და შორეული აღმოსავლეთისათვის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი (IMTFE)⁷, რომელთა მიზანი იყო იმ პირების სისხლის სამართლებრივი დევნა, რომელთაც ჩაიდინეს „დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ“, „ომის დანაშაულები“ და „დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ“. სწორედ აღნიშნულმა ტრიბუნალებმა პირველად გამოიყენეს პრაქტიკაში ინდივიდუალური საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი. გაეროს დაარსებიდან უმაღლვე გენერალურმა ასამბლეამ ახლად შექმნილ საერთაშორისო სამართლის კომისიას (ILC) სთხოვა, რომ ნიურბერგის და და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალების წესდებებში აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები ჩამოეყალიბებინა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის პროექტი მოემზადებინა.⁸ სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უშიშროების საბჭო პარალიზებული იქნა ცივი ომის დაწყების გამო, რის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ომის დამნაშავეთა და მათი მსგავსი დამნაშავეების სასამართლოს წინაშე წარდგომა.⁹

მიუხედავად ამისა, 1948 წელს გაერთიანებულმა ერებმა კონვენცია გენოციდის შესახებ მიიღო.¹⁰ კონვენციის თანახმად, ქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი ჯგუფის განადგურებას, საერთაშორისო დანაშაულად იქცა. მოგვიანებით, 1948 წლის 9 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო სამართლის კომისიას სთხოვა, განეხილა ისეთი საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც გაასამართლებდა პირებს, რომელთაც გენოციდი ან საერთაშორისო კონვენციების იურისდიქციის ქვეშ მყოფი დანაშაულები ჰქონდათ ჩადენილი.¹¹ მაგრამ მომდევნო ათწლეულებში ამ მიმართულებით წარმატება ძალიან უმნიშვნელო, რისი ძირითადი მიზეზიც ცივი

¹ გუსტავ მონიე წითელი ჯვრის საერთაშორისო სასამართლოს ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო.
² Sir Arthur Watts, "International Criminal Jurisdiction : Introductory note," *The International Law Commission 1949-1998*, Vol. Two (Oxford: Oxford University Press, 1999) p.1447.
³ Ibid., გვ. 1447
⁴ Treaty of Peace Between the Allied and Associated Powers and Germany (Treaty of Versailles), 28 June 1919, art. 227, 11 Martens (3d) 323, reprinted in 2 Bevens 43.
⁵ Ibid., მუხ. 227
⁶ See London Agreement and London Charter, *supra* note 15. For the Proceedings Before the IMT, see International Military Tribunal sitting at Nuremberg, reported in Trial of the Major war Criminals before the international military Tribunal (1949) (generally known as "Blue Series").
⁷ Establishment of an International Military Tribunal for the Far East, Jan. 19, 1946, T.I.A.S. No.1589, at 3,3 Bevens 20.
⁸ G.A. Res. 174, U.N GAOR, 2d Sess., U.N. Doc. A/519 (1947).
⁹ Philippe Kirsch (chairman, responsible for the conduct of negotiations, reflection on the ICC p.10
¹⁰ Convention on the Suppression and Punishment of the Crime of Genocide, 9 Dec. 1948, 78 U.N.T.S. 277, reprinted in 45 Am. J. INT'L L.7 (1951) (Supp.).
¹¹ G.A. Res. 260B (III) December 9, 1948.

ომის დროს გაქვეყნებული განსხვავებული იდეები იყო. ამასობაში საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა კიდევ უფრო ხშირად ხდებოდა. უმეტეს შემთხვევებში დამნაშავენი არას-დროს წარმდგარან სასამართლოს წინაშე. მიუხედავად არსებული პირობისა „კვლავ არასოდეს“, მას შემდეგ 250 საერთაშორისო და შიდა კონფლიქტი მოხდა, რომელთაც ჩვენი პლანეტის 170 მილიონი მაცხოვრებლის სიცოცხლე შეიწირეს.¹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირობა „კვლავ არასოდეს“ რეალურად არც ამოქმედებულა. 1989 წელს ტრინიდადმა და ტობაგომ ხელახლა წამოაყენა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის იდეა გენერალური ასამბლეის წინაშე.² იდეის განვითარებას ხელი შეუწყო ცივი ომის დამთავრების შემდეგ მომხდებმა, განსაკუთრებით კი ბალკანეთში ომმა. ამჯერად ამ იდეამ უფრო მეტი მხარდაჭრა ჰპოვა. 1990 წლის 28 ნოემბრის 45/42 რეზოლუციით გენერალურმა ასამბლეამ კიდევ ერთხელ სთხოვა საერთაშორისო სამართლის კომისიას, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები განეხილა. საერთაშორისო სამართლის კომისიის საქმიანობა მის მიერვე შემუშავებული მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულების კოდექსის ფარგლებში უნდა განხორციელდებოდა. უშიშროების საბჭომ გაეროს წესდების VII თავით გათვალისწინებული უფლებები ამოქმედა და ორი *ad hoc* საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი შექმნა, რათა გამოემიხილა და გაესამართლებინა ის პირები, რომელნიც ყოფილ იუგოსლავიაში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდასა და რუანდაში მომხდარ გენოციდის ფაქტებზე იყვნენ პასუხისმგებელნი. *ad hoc* ტრიბუნალების შექმნა ყოფილ იუგოსლავიასა³ და რუანდაში⁴ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო, რაც უშიშროების საბჭოს მიერ ხანგრძლივ ყოყმანსა და განხილვას მოჰყვა. თუმცა აღნიშნული ტრიბუნალები შემოიფარგლებოდა მოვლენებითა და დანაშაულებით, რომლებიც ამ ორ გეოგრაფიულ არეალში მოხდა.

დანაშაულები სსსს-ს სტატუტში

სსსს-ს დაარსებისთანავე, მისი იურისდიქცია გავრცელდება იმ პირებზე, რომელთაც ჩაიდინეს შემდეგი დანაშაულები:

I. გენოციდი (მუხლი 6)

რომის სტატუტით გათვალისწინებული გენოციდის განსაზღვრება გენოციდის შესახებ კონვენციის განსაზღვრების ანალოგიურია; საქართველომ მოახდინა ამ უკანასკნელის რატიფიცირება. ეს მუხლი მოიცავს არა მხოლოდ მკვლევლობებს, არამედ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფების გასანადგურებლად გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს, როგორცაა შობადობის თავიდან აცილება, ბავშვების იძულებითი გადაცემა სხვა ჯგუფისათვის.

II. დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ (მუხლი 7)

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს არ აქვს ისეთივე მყარი აღიარება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში, როგორც გენოციდის დანაშაულს; უფრო მეტიც, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის განსაზღვრება, რომელიც განმტკიცებულია ხელშეკრულებაში იქნებოდა, არ არსებობს. მე-7 მუხლში ჩამოთვლილი ზოგიერთი ქმედება, რომლებიც განსაზ-

¹ M. Cherif Bassiouni, *Statute of the ICC: A documentary History* (Ardsley, New York. Transnational Publishers, Inc.) p.2.

² saerTaSoriso sixxlis samartlis sasamarTlos daarseis ideis ganaxlebis iniciatori iyo trinidad da tobago sazRvrebze narkotikuli saSualebebis gadazidvasa da sxva transnacionalur danaSauleban dakavSirebiT. ix. Letter dated 21 August 1989 from the Permanent Representative of Trinidad and Tobago to the Secretary General, UN GAOR, 44th Sess., Annex 44, Agenda Item 152, UN Doc. A/44/195 (1989).

³ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის დაარსა უშიშროების საბჭომ 1993 წლის 827 რეზოლუციით. ტრიბუნალის უფლებამოსილება, გამოიძიოს და გაასამართლოს დანაშაულთა ოთხი ტიპი: 1949 წლის კონვენციების სერიოზული დარღვევები (მუხ. 2); ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა (მუხ. 3); გენოციდი (მუხ. 4); კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული (მუხ. 5).

⁴ რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი დაარსდა 1994 წლის 22 თებერვლის 977 რეზოლუციით.

ღვრულია სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაში, პირველადაა განსაზღვრული, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული, რომელზედაც პასუხს უშუალოდ ფიზიკური პირები აგებენ. უფრო მეტიც, სასამართლოს ექნება იურისდიქცია იმ დანაშაულებზეც, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფოს ოფიციალური პირის ან უბრალოდ მოქალაქის მიერ როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს. ნიურბერგის შემდეგ რომის სტატუტში პირველად მოხდა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების კოდიფიცირება. ნიურბერგისა და ტოკოს წესდებებითა და იუგოსლავიისა და რუანდის სტატუტებით გათვალისწინებული დანაშაულების გარდა, სსსს-ს უფლება ექნება დანაშაულთა უფრო ფართო წრე განიხილოს. ამ მუხლის ტექსტი არის ნიურბერგის წესდების და გადაწყვეტილებების პრინციპების შესახებ 1950 წლის გაეროს დეკლარაციის ასლია, თუმცა შეიცავს დანაშაულთა დამტებით სახეებს, როგორცაა მკვლელობა, წამება, აპარტეიდი და იძულებითი პროსტიტუცია.

III. ომის დანაშაულები (მუხლი 8)

შეიარაღებული კონფლიქტების ჰუმანიტარული სამართალი მრავალწლიანი ომის წარმოების შედეგი იყო, რომლიდანაც ომის წარმოების წესები და ჩვეულებები წარმოიშვა.¹ მართალია, ხშირად განასხვავებდნენ „სამართლიან“ და „უსამართლო“ ომებს, მაგრამ 1919 წლამდე ომი არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად და შესაბამისად უკანონოდ.²

რომის სტატუტის თანახმად, სსსს-ს აქვს იურისდიქცია ომის 34 დანაშაულზე, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტში ხდება, და ომის 16 დანაშაულზე, რომელიც შიდა კონფლიქტში ხდება. დანაშაულთა უმეტესობა ნასესხებია ან უშუალოდ გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან.³ თუმცა ზოგიერთი დანაშაულის განსაზღვრება განსხვავდება და უფრო მკაცრია, ვიდრე უკვე არსებული დეფინიციები.

IV. აგრესიის დანაშაული

აგრესიის დანაშაულიც განსაზღვრულია რომის სტატუტში, რომელიც ავრცელებს, რომ სსსს-ს ექნება იურისდიქცია ამ ქმედებებზე. მიუხედავად ამისა, პირველ რიგში მხარეები უნდა შეთანხმდნენ აგრესიის განსაზღვრებაზე და იმ პირობებზე, რომლის დროსაც სსსს-ს შეეძლება იურისდიქციის განხორციელება ასეთ დანაშაულზე; აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, რის შედეგადაც რომში სერიოზული დებატები გაიმართა. ამჟამად, მოსამზადებელი კომისია იურისდიქციის ამ ასპექტს, როგორც პრიორიტეტულს განიხილავს.

Conflict of laws – i.e. the necessity to determine to which of the two possible law systems should the concerned legal relationship be subjected. Choice of the applicable law is the major purpose of the international private law.

Conflict of jurisdictions – i.e. the necessity to determine together with applicable law the court of the state which would be competent to consider the concerned legal dispute.

The question of the legal status of foreigners – i.e. the necessity to determine rights and duties enjoyed by foreigners on the territory of any state.

The question of establishment of citizenship – i.e. the necessity to determine the issue of nationality of each person, an individual.

The questions on legal status of foreigners and citizenship is interesting for the international private law only to the extent that affects the establishment of legal norms regulating each particular person and his/her actions. Furthermore, determination of legal status of foreigners is an internal affair of every sovereign state and is basically regulated by the domestic legislation. Whether the state needs to establish any treatment for foreigners or not is related rather with the country's economic, political potentials and will than with legal-technical issues. Proceeding from all the above I don't find reasonable to pertain such issues to the international private law³.

The above mentioned four problems – conflict of laws, conflict of jurisdictions, legal status of foreigners and citizenship – originates as a result of certain international connections and relations.

¹ P.A. Мюллерсон. Соотношение международного частного право. М., 1989, стр. 10.

² М. Иссад. Международное частное право. М., 1989, стр. 10.

³ see in detail about the legal status of foreigners and citizenship in the international law L. Aleksidze Contemporary International Law. T., 1998. pp. 170-195.

However, whether they fall or not within the regulation of the subject of international private law is solved differently in different law systems. Various combinations are discussed – starting from narrow understanding when the system of international private law implies just conflicting norms and finishing with broad understanding when all four above mentioned questions are implied in the system of international private law¹.

As already mentioned, the narrow understanding of the subject of international private law means the limiting of international private law only to the conflicting norms. This opinion is based upon the German doctrine of international private law. The questions of legal status of foreigners, according to German doctrine, falls within the scope of the civil law (*Fremdenrecht*) whereas the questions of citizenship – within the state law. These provisions are clearly reflected in the works of L. Raape and G. Kegel.

Under the Anglo-Saxon law system the international private law comprises the norms of conflict of jurisdictions besides the conflicting norms. To these issues are dedicated the works of English authors J. Cheshire, P. North, A. Dice and American authors D. Bill and G. Goodrich. The argumentation here is very simple. Firstly, the point is the close connection between the conflict of laws and conflict of jurisdiction (in theory conflict of jurisdictions is impossible to occur without conflict of laws, however practically at first the issue of jurisdiction is solved, competent court is chosen and then the applicable law is chosen). Second – every state has its conflict of laws and courts use only them. If one country's conflicting norms differ from another state's conflicting norms, dispute resolution depends on which court reviews them.

Another group of states, for instance Italy, Spain, Latin American countries, consider the legal status of foreigners together with the conflict of laws and conflict of jurisdictions within the meaning of international private law.

The broad understanding of the subject of international private law is observed in French law. According to the French doctrine, within the international private law fall the issues of citizenship together with the norms stipulating conflict of laws, legal status of foreigners, international civil procedure. Similar approach applies in Lebanon, Algeria and generally in every former colonies of France. The works of A. Batifole and P. Savatier discuss the broad understanding of the subject of international private law.

Looking through the Russian (old Soviet) doctrine we can observe that according to this doctrine the international private law is not limited to the conflicting norms but also comprises the substantive law norms, which regulate civil law relationships with foreign elements and international civil procedure². For regulation of civil law relations the Russian doctrine refers to application of several methods – substantive law and conflicting norms.

As for Georgia, this issue is regulated in the law “on the international private law”, adopted by the Parliament of Georgia on 29 April 1998 and put in force on 1 October 1998. Already the first article of the law points out that:

“This law stipulates which legal regulation shall be applied if there exists factual circumstances around the case concerning the foreign country's law, as well as the norms of procedure law applied on such proceedings”.

The above said clearly shows that the norms of international private law and procedure fall within the scope of international private law quite rightfully.

Thus, as already mentioned, there is a wide range of opinions in the doctrine on the issue of determination of the subject, role and place of international private law, which diametrically differ from

¹ М. Иссад. *Международное частное право*. М., 1989, стр. 14-15.

² Т. Liluashvili. *International Private Law*. Т. 2000. р. 15. also: *Вопросы международного частного права*. Под ред. Л. А. Лунца, М., 1956, стр. 12.

each other. Some grain of truth is hidden in every above discussed theory or opinion. This once again refers to quite complicated and specific nature of this field of law.

I. Pereterski stressed the fact that international private law has its own specificity otherwise its independent existence would have no grounds.

International private law is dedicated to regulate relationships that do not fall specifically within any other system or field. On the one hand apply international law principles and norms and on the other domestic categories (such as, norms of family, civil, procedure etc. laws). Problems of international private law can not be studied without analysing the principles and problems of general theory of the law, comparative law, international law, civil and procedure law.

International private law is so closely linked with international, national, private and public laws that pertaining it explicitly to any of them would not be reasonable at all. However finding the place for international private law in the law system and determination of its subject is part of conceptual questions and unless they are solved it is impossible to talk about other problems that this field is facing.

The analysis of the above given opinions and views allows to assume that international private law is not explicitly the part of neither international law nor of domestic one. It is rather a legal hybrid within the scope of which fall the relationships of private law nature and the procedural norms that go beyond one particular state's limits, it is linked with various states' law and thus need absolutely different, special regulation.

However it should therefore be mentioned that making speedy and categorical conclusions would not be rightful. Before finalizing the issue it is necessary to discuss other theoretical issues of the international private law and to broaden the scope of scientific-research activity.

მსოფლიო ბანკის პროექტები და საქართველო

საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის დახმარების პროგრამის უპირველესი და ყოვლისმომცემი მიზანია საქართველოში სიღარიბის დაძლევა. ამჟამად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარების, დიდი ოდენობით ვალისა და შემდგომი სტრუქტურული და ფისკალური გარდაქმნების აუცილებლობის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ საქართველოსთვის გარედან დახმარების მიღება უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ მნიშვნელობის მქონეა მსოფლიო ბანკის ძლიერი მხარეები, რომლებიც მის ურთიერთობებში ქვეყნების მთავრობებთან, მართებული პოლიტიკის შემუშავებასა და ინსტიტუციონალური მშენებლობის პროცესებზე მის დადებით ზეგავლენაში ვლინდება. მსოფლიო ბანკი ეკონომიკური რეფორმებისა და სტრუქტურული ცვლილებების სფეროში უპირველესი და უმთავრესი პარტნიორია. ბევრ სექტორში მსოფლიო ბანკი გვევლინება ერთადერთ ორგანიზაციად, რომელიც დახმარების ისეთ პაკეტს სთავაზობს ქვეყანას, რომელიც მოიცავს ერთის მხრივ, პოლიტიკის ანალიზსა და პოლიტიკური რჩევის, ტექნიკური დახმარებისა თუ ინვესტიციების ფორმით გაწეული დახმარების, და მეორეს მხრივ, ამ პოლიტიკის მხარდამჭერი სტრუქტურული გარდაქმნის დაკინების ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება რეფორმების გატარება. ამის გათვალისწინებით მსოფლიო ბანკი სხვა დონორებს შორის ხშირად ლიდერსა და მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციას ასრულებს.

მსოფლიო ბანკს ქვეყნისათვის დახმარების მიზანმიმართული სტრატეგია აქვს. არსებითად, სტრატეგიის მიზნებია: (1) სახელმწიფო სახსრების სისტემის გაძლიერება; (2) ეკონომიკური ზრდის წყაროების გაღრმავება და დივერსიფიკაცია; (3) საქართველოში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიზნით პოლიტიკური ხასიათის და ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება; (4) სიღარიბის დაძლევა. ქვეყნის დახმარების სტრატეგიის მიზნები სწორად ასახავს იმ პრობლემებს, რომელთა წინაშე დგას ქვეყანა განვითარების არსებულ ეტაპზე. ეს პრიორიტეტები ითვალისწინებს, ხელი შეუწყოს სიღარიბის დაძლევის ძირითადი საშუალების გამოკვეთას – ეკონომიკის სტაბილურ ზრდას.

საქართველო მსოფლიო ბანკის წევრი 1992 წელს გახდა, ხოლო განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი – 1993 წელს. ჩვენი ქვეყნისადმი მსოფლიო ბანკის მიერ დახმარების აღმოჩენის მთავარ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის გაუმჯობესება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის ხელშეწყობა, სახელმწიფოში სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება. კერძო სექტორის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პარალელურად, მსოფლიო ბანკის დახმარება ითვალისწინებს ზოგადი მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების, ინსტიტუციონალური შესაძლებლობებისა და რეგიონის ფარგლებში არსებული შესაძლებლობებისათვის ხელის შეწყობას.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვან პორტფელს მოიცავს. ამჟამად მიმდინარეობს განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თვრამეტი კრედიტის ფარგლებში განთავსებული სახსრების, საერთო მოცულობით 348.5 მლნ აშშ დოლარის, ათვისება. უკვე დასრულებულია ათი საკრედიტო ოპერაცია. აღნიშნული სახსრების გამოყოფა დაიწყო 1994 წელს ინსტიტუციონალური მშენებლობის კრედიტის დამტკიცების სახით, რომლის მიზანია საჯარო ინსტიტუტებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, საქართველოსათვის ინვესტიციების გამოყოფა, როგორც სატრანსპორტო, ასევე ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და სოციალური სექტორების დასახმარებლად. მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა კერძო სექტორის განვითარების, საწარმოთა სექტორის ეფექტურობის გაზრდის, ფერმერებისა და აგრო-ბიზნესის განვითარების, გარემოს დაცვის, შავი ზღვის სანაპირო ზოლის მართვის, ქვეყნის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. დახმარების აღმოჩენა გათვალისწინებულია აგრეთვე ისეთი სექტორე-

ბისათვის როგორცაა, სოფლის მეურნეობა, ინსტიტუციონალური განვითარება, მმართველობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე.

მსოფლიო ბანკმა საქართველოში საქმიანობა ინსტიტუციონალური მართვის პროექტის სახით ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო. პროექტი 1998 წლის ივნისში დასრულდა. ამავე წელს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი დამტკიცდა. პროექტი 2000 წლის ივნისში დასრულდა. 1995-96 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრები ტრანსპორტის რეაბილიტაციის, სტრუქტურული განვითარების, ჯანდაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტებს მოხმარდა. 1997-98 წლებში დეცენტრალიზაციისა და მუნიციპალური მართვის, სოფლის მეურნეობის განვითარების, სტრუქტურული გაუმჯობესების, კულტურული მემკვიდრეობის, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების, საქართველოს საინვესტიციო ცენტრის დახმარების, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურისა და საწარმოთა რეაბილიტაციისა და სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის პროექტები განხორციელდა.

1999 წლის ივნისში დამტკიცდა ენერგეტიკის სექტორის გაუმჯობესებისა და სტრატეგიული სრულყოფის პროექტები, რომელთა განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ენერგეტიკისა და ეკონომიკის სექტორების რეფორმებისათვის. აგრეთვე დამტკიცდა სტრუქტურული რეფორმის მხარდაჭერის პროექტი, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საავადმყოფოების რესტრუქტურისა, პრივატიზაციისა და ფინანსური სექტორის გაუმჯობესების, საჯარო სექტორის მართვის სრულყოფის, სოციალური სექტორის განვითარებისათვის ინვესტიციების გამოყოფის გზით, ტექნიკური დახმარების აღმოჩენა; სასამართლო რეფორმის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელ და პროფესიულ საწყისებზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის განვითარებას. 2000 წელს მთელი რიგი სხვა პროექტები დამტკიცდა, მათ შორის, გზების, განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და განვითარების, ელექტროენერჯის ბაზრის დახმარების, ირიგაციის და სადრენაჟო სისტემების გაუმჯობესების პროექტები.

მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია სტრუქტურული რეფორმის მხარდაჭერის, სასამართლო რეფორმის, საწარმოთა რეაბილიტაციის, სოციალური ინვესტიციების ფონდი, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტები.

მომზადების ფაზაშია ირიგაციისა და სადრენაჟო სისტემის განვითარების პროექტი, მეტყვეობის განვითარების პროექტი, თბილისის წყლის მომარაგებისა და სანიტარიის პროექტი, წინასწარი სამედიცინო დახმარების რეფორმისა და სამედიცინო დახმარების დაფინანსების პროექტები.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

სტრუქტურული გარდაქმნის პროექტი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მთავრობის რეფორმის განხორციელებას მაკროეკონომიკური დისბალანსის შემცირებისა და კერძო სექტორის განვითარებისათვის სათანადო მასტიმულირებელი სისტემების დანერგვის გზით; ამ პროექტისათვის გამოყოფილი კრედიტი ხელს შეუწყობს სიღარიბის შემცირებისკენ მიმართულ სოციალურ პოლიტიკას, რომლის კონკრეტული მიზანი იქნება, დააჩქაროს შემოსავლების ზრდა, გააუმჯობესოს ძირითადი სოციალური მომსახურების ხარისხი და უფრო მიზნობრივი გახადოს სოციალური დახმარების პროგრამები.

სასამართლო რეფორმებისათვის გამოყოფილი კრედიტის მიზანია, წვლილი შეიტანოს დამოუკიდებელი და პროფესიული სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში.

საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტის დახმარების პროექტი, რომლის მიზანია პრივატიზირებულ საწარმოთა ახალი საბაზრო პირობების შესაბამისად გარდაქმნა, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ბაზის გაძლიერება, მესაკუთრეთა და კრედიტორთა უფლებების დაცვა; მენეჯმენტის თვისებების გამომუშავება, ნამდვილი პროფესიონალებისა და ადგილობრივი

კონსულტანტების აღზრდა; ახალ მესაკუთრეთა შორის საწარმოთა მართვის უნარის განვითარება, განსაკუთრებით მეორადი საფონდო ბაზრის განვითარების დარგში.

სოციალური ინვესტიციების პროექტის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მისი ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მომსახურების თანმიმდევრული უზრუნველყოფის გზით. საამისოდ მოხდება იმ არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე დიდ სოციალურ მოგებას.

მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი ეხმიანება საერთო სტრატეგიულ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის დეცენტრალიზაციის პოლიტიკას, დარგში მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში ბანკის მიერ ქვეყნისათვის დახმარების სტრატეგიას.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის უპირველესი მიზანია, კერძო მეურნეობისა და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების გზით ხელი შეუწყოს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას.

დღეისათვის მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის გაწეული დახმარების საერთო ოდენობა 647 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული სახსრები განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ გამოყოფილ 28 კრედიტს მოიცავს.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების წარმატებით განხორციელება უმთავრეს მიზანს – სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის გაძლიერებას ითვალისწინებს, ამდენად ამ მიზნის ხორცშესხმა ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა.

THE WORLD BANK PROJECTS AND GEORGIA

The Georgian Government and World Bank's assistance program primarily and overwhelmingly aim at overcoming poverty in Georgia. With a view to the economical situation in the country, large amount of debt and necessity of further structural and fiscal transitions, it is obvious that external aid is extremely important for Georgia. In this regard are important the strong sides of the World Bank which are revealed in its relationship with the countries' governments, its positive impact on elaboration of reasonable policy, and on processes of institutional building. The World Bank is the leading and principal partner in the field of economic reforms and structural changes. In many sectors the World Bank is the only organization which offers the country the portfolio of aid which includes on the one hand the instrument for rendering aid in the form of political analysis and political advice, technical assistance or investments and on the other the instrument for the decline of structural transition supporting this policy, by means of which the implementation of reforms becomes available. Thus the World Bank performs the function of the leader and coordinator among other donors.

The World Bank has the purposeful strategy of assisting the country. Basically, the strategy objectives are: (1) strengthening of the system of state funds; (2) extension and diversification of the sources of economic growth; (3) implementation of political and institutional reforms for the protection of environment and natural resources in Georgia; (4) overcome poverty. The objectives of the strategy of the assistance to the country properly reflect the probleming, which the country is facing at this stage of development. These priorities aim at encouraging the outlining of the main opportunity of overcoming poverty – stable growth of economy.

Georgia joined the World Bank in 1992 and the International Development Association (IDA) in 1993. The principal objective of the World Bank's assistance to our country is to help reverse the economic decline, assist the transition to a market economy, and help poverty reduction in the state. In addition to developing private sector and rehabilitating infrastructure, the World Bank's support envisages to improve public management, develop human resources and institutional capacities, and capacities available within the region.

The World Bank's activity in Georgia has a large and diverse portfolio. Eighteen credits, allocated to Georgia by International Development Association, totaling to USD 348.5 million are currently under implementation. Ten other credit operations are already accomplished. Lending began in 1994 with the approval of the Institution Building Credit in der??? to provide: technical assistance and training as well as the investment lending to Georgia, to strengthen public institutions, to support both the transport, energy, social and infrastructure sectors. Important funds are allocated for: the development of private sector, improvement of the efficiency of the enterprise sector, private sector farming and agro processing, environmental protection and management of the coastal zone of the Black Sea, and preservation of Georgia's unique cultural heritage. Assistance is planned also for the sectors such as agriculture, institutional development, management and fight against corruption.

The World Bank began its activity in Georgia in 1994 in the form of institutional management project. The project was closed in June of 1998. The same year was approved the Municipal Infrastructure Rehabilitation Project. The Project ended in June of 2000. During 1995-1996 the World Bank's funds were spent on the projects of transport rehabilitation, structural development, health-care and preservation of cultural heritage. During 1997-1998 were implemented Municipal Development and Decentralization Project, Agricultural Development Project, Structural Adjustment Project, Cultural Heritage Project, Public Procurement Rules Project, Georgian Investment Centre

Assistance Project, Restructuring of the Ministry of Transport Project, Enterprise Rehabilitation Project and Integrated Coastal Management Project.

In June 1999 was approved the Energy Sector Adjustment and Strategic Adjustment Projects implementation of which bears significance for the reforming of State's Energy and Economic Sectors. In addition, the Structural Reform Support Project was approved, the major objective of which was to provide technical assistance and investment in the areas of hospital restructuring, privatisation and financial sector strengthening, public sector management, and social sector sustainability. The Judicial Reform Project was also approved aiming at assisting in the development of an independent and professional judiciary. A number of other projects were approved in 2000, including Education System Realignment and Strengthening Project, Electricity Market Support Project, Irrigation and Drainage Project.

Among ongoing projects at is worth to mention the Structural Reform Support Project, Judicial Reform Project, Enterprise Rehabilitation Project, Social Investment Fund Project, Health Project, Agricultural Development Project.

Irrigation and Drainage Community Development, Forestry Development, Tbilisi Water Supply and Sanitation, Primary Health Care Reform and Medical Assistance Financing Projects are under preparation.

Among the projects financed by the World Bank attention should be drawn to:

Structural Adjustment Project, which aims to give help in the implementation of the Government's reform by introducing relevant incentive systems for minimizing macroeconomic misbalance and developing the private sector; the credit lent to this project will promote the social policy on poverty reduction which will particularly aim at accelerating growth of revenues, improving the degree of basic social service, making the social aid programs more purposeful.

The Judicial Reform Credit focuses on contributing to the establishment of the independent and professional judiciary.

Enterprise Restructuring and Management Assistance Project, which focuses on transforming the privatised enterprises in compliance with the new market conditions, strengthening of legal and institutional framework and protection of proprietor' and creditors' rights; develop management skills, training true professionals and local advisors; develop skills for enterprise management among new proprietors, namely in the field of development of secondary stock market.

Social Investment Project's goal is to help socially unprotected population of Georgia by gradual maintenance of its basic social and economic service. To this end will be rehabilitated the existing infrastructure which will secure the largest social profit.

Municipal Development and Decentralization Project is consistent with the Common Strategic Plan, which determines the government decentralization policy, the World Bank strategies of country's assistance, within the activities ongoing in this field.

Agricultural Development Project aims to promote agriculture in Georgia by developing individual farms and processing enterprises.

At present the total amount of aid rendered by the World Bank to Georgia makes up USD 647 Million. These funds comprise 28 credits allocated by the International Development Association. Successful implementation of the projects financed by the World Bank primarily aim at overcoming poverty and strengthening economic growth, thus execution of this objective is of vital importance for the country.

**საბჭოთა საქართველოს სამართალმცოდნეო
სამართლებრივი სტატუსისათვის
1921-1922 წწ.**

საბჭოთა საქართველოს სამართალმცოდნეო სტატუსის შესახებ 1921-1922 წლებში ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა მასალა, ძირითადად დოკუმენტები – უამრავია. ამ დოკუმენტების ანალიზის ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგენს პროფ. დენის ოგდენის სტატია, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში Journal of Contemporary History SAGE, London, Newbury ark, Beverly Hills and New Dehli Vol. 23, 1988, 245-258.

დ. ოგდენი ცნობილია როგორც სპეციალისტი საბჭოთა პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში. იგი არის ლექტორი საბჭოთა პოლიტიკისა და ეკონომიკაში ლონდონის ცენტრალური პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენების ფაკულტეტზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო საკითხების დირექტორი; წერს საბჭოთა ურთიერთობებზე და გადათარგმნილი აქვს საბჭოთა სახელმძღვანელოები სამართალმცოდნეო და საკონსტიტუციო სამართლის შესახებ.

ნაშრომში კარგად ჩანს ხელისუფლებაში ძალით მოსული კომუნისტური რეჟიმის მცდელობა, შეენარჩუნებინა ქვეყნის სუვერენობის მინიმალური ნიშნები მაინც, რაც შეუძლებელი გახდა საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტური და მტაცებლური პოლიტიკის ფონზე. თუმცა თვით მოსკოვი ცდილობდა, შეენიღბა ეს ზრახვები.

ვფიქრობ, აღნიშნული ნაშრომი საინტერესო ფაქტების შემცველია, რაც ქართულმა საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს.

*ირაკლი გაჩეჩილაძე
ივ. ჯანაშიაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართალმცოდნეო სამართლის კათედრის მადიებელი
ბრიტანეთი და საბჭოთა საქართველო 1921-1922 წლებში*

1921 წლის 16 მარტის ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების პირობები არ ვრცელდებოდა იმ საბჭოთა რესპუბლიკებზე, რომლებიც წარმოიქმნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე რევოლუციის, უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შედეგად. მაგრამ მოლაპარაკებები მსგავს შეთანხმებასთან დაკავშირებით შემოთავაზებული იყო საბჭოთა საქართველოს მიერ 1922 წლის სექტემბერში, რაც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაცვლითი ინიციატივის შედეგი იყო.

სამოქალაქო ომის დროს დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერდა თეთრგვარდიელ გენერლებს, რომლებიც „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღდგენაზე ფიქრობდნენ. მათი დამარცხების შემდეგ მენშევიკური საქართველო „სანიტარულ კორდონში“ (cordon sanitaire) შესაძლო დამაკავშირებლად წარმოჩინდა. პრემიერ-მინისტრმა, დევიდ ლოიდ ჯორჯმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადა, რომ იგი „მხარს უჭერდა დამოუკიდებელ საქართველოს“, როგორც „ბარიერს ბოლშევიზმის წინააღმდეგ“. ბრიტანეთი, – თქვა მან, – საქართველოზე თავდასხმას განიხილავს „როგორც მეტად არასასურველ მოვლენას“ და „გააკეთებს ყველაფერს შესაძლებელს მის დასახმარებლად“, თუმცა „შეუძლებელი იყო იმის თქმა, თუ რა პრაქტიკულ ფორმას მიიღებდა მათი სიმპათია“(*1). პოლკოვნიკმა სტოქსმა, თბილისში ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა, მენშევიკთა „75 000 კაცისათვის სრული უნიფორმისა და აღჭურვილობის თაობაზე“, თხოვნას გადაცემისას განაცხადა, რომ იგი დარწმუნებული იყო, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის(*2) ბრძოლის უნარიანობაში. თუმცა სხვა დამკვირვებლები ნაკლებად ოპტიმისტურნი იყვნენ: „ბოლშევიკური ტენდენციები არმიაში ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა... ბევრი ოფიცერი და რიგითი ღიად აცხადებს უკმაყოფი-

ლებას არსებული რეჟიმის გამო“ – wers intelligence report(*3). 1921 წლის დასაწყისში მენშევიკების დამხობამ პოლკოვნიკ სტოქსის საქართველოდან სასწრაფო გამგზავრება და ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენლობის დასასრული განაპირობა.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, რომლის დროსაც საქართველოს მთავრობამ მოლაპარაკებების წარმოება შესთავაზა ნაკარნახევი იყო ბრიტანეთის მხრიდან რეგიონში კვლავ ფეხის მოკიდებისა და ბრიტანეთის კომერციული პოზიციების აღდგენის სურვილით, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც აშშ, საფრანგეთი, იტალია და სხვა ქვეყნები ძლიერ კონკურენტებად გამოიკვეთნენ.

საქართველოს ახალი ბოლშევიკი ლიდერები, როგორებიც იყვნენ ბულუ მდივანი – რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე (რეგკომი), და ალექსანდრე სვანიძე (საგარეო საქმეთა და ფინანსთა კომისარი), ძალიან დაინტერესდნენ ვაჭრობის გაფართოების საკითხებით. მაგრამ მათ სურდათ ასევე საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, რადგან საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობების მომავალი ფორმის შესახებ სულ უფრო და უფრო მწვავედებოდა.

საბჭოთა მმართველობის დამყარებიდან დაახლოებით ორი თვისა და ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1921 წლის აპრილის მემორანდუმში დაფიქსირებულ იქნა წინადადება: „სიტუაციისა და რეგიონში არსებული შესაძლებლობების შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად“ (*4), შესაბამისი კომისიის ამიერკავკასიაში გაგზავნის თაობაზე. რონალდ მაკდონელი წერდა, რომ ამიერკავკასია ყოველთვის წარმოადგენდა ბრიტანელი ექსპორტიორების განსაკუთრებულ ინტერესის საგანს. ბაქოს ნავთობის საბადოებში ბრიტანეთს დაახლოებით 25 მილიონი ფუნტი-სტერლინგი ჰქონდა დაბანდებული და მნიშვნელოვანი ბრიტანული კაპიტალი საქართველოს მარგანცისა და სპილენძის მრეწველობაში ჩაიძირა. მოსკოვში საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარა, შესაბამისად, ისინი ინგლის-რუსეთის ხელშეკრულების ფარგლებში არ მოხვდნენ. საქართველოს საბჭოთა მთავრობას „სურდა ხელი შეეწყო საგარეო ვაჭრობისთვის და ეცნო უცხოელი წარმომადგენლები“, განაცხადა მაკდონელმა(*5).

საქართველოს რეგკომმა, რა თქმა უნდა, მენშევიკი წინამორბედების მიერ დადებული სავაჭრო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ცნო. მან კომერციითა და ვაჭრობის წარმოების უფლება მისცა უცხოელებს და დათანხმდა უცხოელი წარმომადგენლებისათვის, რომლებიც პოლკოვნიკ სტოქსისგან განსხვავებით ამიერკავკასიაში დარჩნენ, უფლებებისა და იმუნიტეტების მინიჭებაზე. 1921 წლის გაზაფხულმა და ზაფხულმა წარმოაჩინა საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოკრძალებული გამოცოცხლება, რომელიც ძირითადად ბათუმისა და კონსტანტინოპოლის საშუალებით ხორციელდებოდა. ლენინმა ამიერკავკასიის კომუნისტებს ურჩია, არ გაჰყოლოდნენ „რუსეთის სტერეოტიპს“ და სოციალიზმზე გადასვლის „ნელ, უფრო ფრთხილ, უფრო სისტემატურ“ გზას დასდგომოდნენ. „ეკონომიკურად დაუყოვნებლივ დავეყრდნოთ კომერციულ ურთიერთობებს კაპიტალისტურ ქვეყნებთან; ნუ ვიძუნწებთ დანახარჯებისას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოგვიწევს ათეულობით მილიონის ღირებულების ძვირფასი სასარგებლო წიაღისეულის საზღვერგარეთ გაგზავნა“ – წერდა იგი (*6). ქართველმა ლიდერებმა ყურად იღეს ეს რჩევა. შედეგად მოსკოვის მხრიდან კრიტიკა განიცადეს და თვით საქართველოს კომუნისტურ პარტიაშიც კი მათ „დასავლური ორიენტაციის მქონე ნაციონალ უკლონისტებად“ განიხილავდნენ – ეს არის ბრალდებები, რომლებიც თანამედროვე საბჭოთა ისტორიკოსებთანაც გაისმის.

მაკდონელის წინადადებას, ამიერკავკასიაში წარმომადგენლობის გახსნის თაობაზე, გარკვეული წინააღმდეგობით შეხვდნენ ის ძალები, რომლებიც „რუსეთის საშუალებითა და რუსების დახმარებით“ – რეგიონში საკუთარი გავლენისა და ინტერესების აღორძინებას ცდილობდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ რეგიონში რაიმე ბრიტანული წარმომადგენლობის გახსნა გააძლიერებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში „დამოუკიდებლობის მოთხოვნას“ (*7). საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი და ვაჭრობის საბჭო ასევე თავშეკავებულად შეხვდნენ ამ აზრს. მათი რწმენით

„ყველაზე სასურველი კურსი იყო, ამ ეტაპზე, სავაჭრო ხელშეკრულებით (საბჭოთა რუსეთთან) გათვალისწინებული წარმომადგენლების მოსკოვში გაგზავნაზე კონცენტრირება, ხოლო რუსეთის განაპირა რაიონებში წარმომადგენლობის გაგზავნასთან დაკავშირებული საკითხები მოგვიანებით უნდა განხილულიყო“ (*8).

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაჟინებით აცხადებდა, რომ ამიერკავკასიაში ბრიტანეთის წარმომადგენლის ყოფნა „ძალზე სასურველი“ იქნებოდა: გერმანიას, იტალიას და სხვა ქვეყნებს კარგად ჰქონდათ ფეხი გადგმული და ბრიტანეთის ინტერესების ხარჯზე საკუთარი კომერციული უფლებებისა და კონცესიების დაცვას ცდილობდნენ. კავკასიაში მოვლენების განვითარების შესახებ ინფორმაცია ფასეული იქნებოდა. მოსკოვში მისიის დაკავშირება ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, „რომლებიც რუსეთისა და ჩვენს მიერ“ აღიარებულ იქნა, „ფუნდამენტური შეცდომა“ იქნებოდა. ეს იყო მისი უდიდებულესობის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა „კავკასიის რესპუბლიკებისათვის ნებისმიერი დონის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მხარდაჭერას, რომელიც მათ შესაძლო, შერჩენოდათ“ (*9).

1921 წლის ნოემბრის დასაწყისში ხაზინას უნდა დაემტკიცებინა მაკლონელისა და მისი ასისტენტისგან შემდგარი ნახევრადოფიციალური მისია. კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს სერ ჰორას რამბოლდს დაეკალა კონსტანტინოპოლში ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლების ბრიტანეთის მიზნების შესახებ ინფორმირება და გადაეცა ინსტრუქცია, რომ „არ არის სასურველი, ამ რესპუბლიკებზე ბატონი კრასინის მეშვეობით გავიდეთ (ლონდონში დაარსებული და ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისიის ხელმძღვანელი) ან რაიმე ფორმით საკითხის მათთან შეთანხმება“ ვითხოვოთ (*10). მაგრამ სერ ჰორასის უპასუხი იყო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ურთიერთობის არქონის გამო, მას გაუჭირდებოდა ამ საკითხის განხილვა; მან გამოთქვა ეჭვები ასევე მისიის დანიშნულებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (*11).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა კრასინის მეშვეობით ემოქმედა. ჩრდილოეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ჯ.დ. გრეგორი ნოტაში იხსენებდა, რომ რსფსრ-სა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით, ადრეული საუბრებისას ხაზგასმით აღნიშნა კრასინმა – კავკასიის რესპუბლიკების „სრული დამოუკიდებლობა“, თანაც დასძინა „გარკვეული პრაქტიკული მიზნებისთვის“ კავშირების არსებობა. „საქმე ისე მიდის“ – განაგრძობდა გრეგორი, – „რომ ჩვენ, უახლოეს მომავალში ვაპირებთ კავკასიაში გავაგზავნოთ მცირე ეკონომიკური მისია მაკლონელის ხელმძღვანელობით, რომელიც ადრე ბაქოში ბრიტანეთის კონსულად მუშაობდა. ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ სანამ იგი საქმიანობას შეუდგებოდა, გვეთხოვა თქვენთვის, რათა ამის შესახებ თქვენს მიერ ჩამოთვლილი მოსკოვის სახელმწიფოთაშორისი ოფისებისათვის გეცნობებინათ და მისთვის ყოველგვარი დახმარების უზრუნველსაყოფად, იგი ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკასთან დაგეგმავს ვინაიდან მაკლონელი კვირის განმავლობაში გეგმავს გამგზავრებას, მადლობელი ვიქნებოდი, თუ საჭირო ზომებს მიიღებდით და ტელეგრაფის საშუალებით მაცნობებდით, თუ რისი გაკეთება შეეძლია“ (*12).

კრასინმა უპასუხა, რომ მან გადააგზავნა ნოტა მოსკოვში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლებისათვის გადასაცემად; რსფსრ-ს მთავრობას, თქვა მან, – „არ შეუძლია გადაწყვიტოს ან თუნდაც იწინასწარმეტყველოს მათი პასუხები“. მაგრამ მან აღნიშნა, რომ ბრიტანეთის მისიის მიღება და ბრიტანეთსა და ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის მეგობრული სავაჭრო ურთიერთობების განახლება „ძალიან გაადვილდებოდა“, თუ ბრიტანეთის მთავრობა მიიღებდა ზომებს და დაიცავდა კონსტანტინოპოლში საბჭოთა მოქალაქეებსა და წარმომადგენლებს „მუდმივი თავდასხმებისაგან, შეურაცხყოფისა და პროვოკაციებისაგან, რომელსაც ისინი განიცდიან და რომელიც რჩება გამოუძიებელი და დაუსჯელი ბრიტანეთის მიერ კონტროლირებადი პოლიციისა და ბრიტანული სასამართლოების მიერ“ (*13).

1921 წლის 20 დეკემბერს საქართველოს რევკომმა განიხილა ბრიტანეთის შემოთავაზება. მან „ნაადრევად“ მიიჩნია წინადადება მისიის გაგზავნის შესახებ და საქართველოს საგარეო საქმეთა კომისარიატს მიუთითა, რომ რსფსრ-ს საგარეო საქმეთა კომისარიატთან ერთად გაერკვია მისი მიზანი (*14). კონსულტაციების შემდეგ კრასინმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განუცხადა, რომ „საქართველოს საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად არ მიიჩნია საქართველოში ბრიტანეთის წარმომადგენლების მიღება, სანამ ბრიტანეთის მთავრობა არ განაცხადებს საქართველოს მთავრობის ცნობისა და მასთან ნორმალური ურთიერთობების დამყარების სურვილის შესახებ“ (*15).

1922 წლის 2 მარტს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უპასუხა, რომ იგი იმედოვნებდა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკისათვის უშუალოდ გამოეთქვა სინანული მისიის არ მიღებასთან დაკავშირებით. მაკლონელის ჩამოსვლის მიზანს, როგორც ბრიტანეთის მხარე ხსნიდა, კომერციული ურთიერთობების განახლებასა და გაფართოებას წარმოადგენდა. ეს იქნებოდა აშკარა და არსებითი დასაბამი ურთიერთობის დამყარებისათვის. საქართველოს უარი მისიის მიღებაზე „ძნელი შესათავსებელია თბილისში იმ ქვეყნების წარმომადგენლების არსებობასთან, რომელთა მთავრობებსაც, რამდენადაც ჩვენ ვიცით, საქართველო de iure არ უცვნიათ ან არ დაუმყარებიათ მასთან ნორმალური ურთიერთობები“ (*16).

ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენლობის იდეას მხარი დაუჭირა ჰაროლდ ბაქსტონმა, სომხური (Lord Mayor's) ფონდის ხელმძღვანელმა, რომელიც იმ დროს რეგიონში დახმარების საქმიანობით იყო დაკავებული. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი 1922 წლის 7 აპრილის წერილში ის წერდა, რომ თბილისში იყო სამი კონსული – იტალიის, გერმანიისა და სპარსეთის, ასევე შვეიცარიის, ბელგიისა და ჰოლანდიის კომერციული წარმომადგენლები. „საფრანგეთის ინტერესების მქონე ფრანგმაც გახსნა ოფისი თბილისში“. საქართველოს უარი ბრიტანეთის წარმომადგენლის მიღებაზე ბაქსტონმა ახსნა „მოსკოვის ინტერვენციით, რომელიც არის საბოლოო და გადამწყვეტი ამგვარ საკითხებში“; მოსკოვში „ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ კონსტანტინოპოლში გასულ წელს საბჭოთა ოფიციალური პირის დაპატიმრება (რომელიც ვფიქრობ, ბრიტანულმა პოლიციამ განახორციელა)“. მან შესთავაზა ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე გასვლა იმ ქვეყნების დელეგატების მეშვეობით, რომლებიც რსფსრ-ს საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს ახლდნენ კონფერენციაზე (*17) გენუაში.

შესაბამისად, დეპეშა გაეგზავნა გრეგორის, რომელიც ესწრებოდა გენუის კონფერენციას და სადაც მას ურჩევდნენ „გამოეყენებინა არაოფიციალური საუბარი“ ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან (*18). თხუთმეტი დღის შემდეგ გრეგორიმ უპასუხა, რომ (მოკავშირეთა მცდელობები, რომლებიც რევოლუციამდელი ვალების საბჭოთა აღიარებისაკენ და ნაციონალიზებული უცხოური საკუთრების რესტიტუციის უზრუნველყოფისაკენ იყო მიმართული, მარცხით დამთავრდა) კონფერენციის მსვლელობისას განვითარებულმა მოვლენებმა ხელი არ შეუწყოს იმას, რომ მათ საბჭოთა დელეგაციისათვის (*19) ამგვარი წინადადებით მიემართათ.

ობენეშტორგის (ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სააგენტო) ხელმძღვანელმა კონსტანტინოპოლში ბ-ნმა მოღვაძემ 1922 წლის იანვრის თვეში სერ ჰორას რამბოლდს განუცხადა – „ბრიტანულმა ფირმებმა ჩვენგან შეიძინეს მნიშვნელოვანი რაოდენობით საქონელი, განსაკუთრებით ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომლებიც ბათუმიდან პირდაპირ ბრიტანეთში გადაიგზავნა. მრავალი ბრიტანელი ვაჭარი იმყოფებოდა ვიზიტით ამიერკავკასიაში და ბევრი ჯერ კიდევ იქ იმყოფება საკუთარ კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით“.

მათ შორის იყო ჯონ დოჯიცი, რომელიც 1921 წლის ივნისში პირველად ჩამოვიდა თავრიზიდან თბილისში. მეორე ვიზიტისას იმავე წლის ნოემბერში, იგი ცდილობდა, მოეპოვებინა ფიოდორ რაბინოვიჩის, ობენეშტორგის ხელმძღვანელის, ფორმალური დასტური თბილისისა და ბათუმში ოფისების გახსნის გეგმებთან დაკავშირებით, რომლებიც „საერთო იმპორტს, ექსპორტს და საშუამავლო ბიზნესს“ განახორციელებდნენ და „ბანკების, გემების, ექსპედიტორებისა და სა-

დაზღვევო აგენტების“ სახელით იმოქმედებდნენ. მას უთხრეს, რომ ობენეშტორგი განიხილავდა მის გეგმებს, როგორც „ყველაზე მიმზიდველს“.

მაგრამ 1921 წლის დეკემბერში ბათუმში კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ გემზე ასვლისას ღოჯი დაიჭირეს და უკან თბილისში წაიყვანეს. მისი დაპატიმრების შესახებ ცნობამ გამოიწვია ვინსტონ ჩერჩილის თხოვნა ღოჯი კერზონისადმი, რათა ეს უკანასკნელი ჩარეულიყო ამ საქმეში, რის შედეგადაც თბილისში „საგარეო საქმეთა კომისრისადმი“ გაგზავნილ იქნა დეპეშა(*22). მაგრამ, შვეიცარიის კონსულის ჩარევის შედეგად ღოჯი უკვე განთავისუფლებული იყო.

ღოჯმა კვლავ მიმართა რაბინოვიჩს, რომელმაც დაარწმუნა იგი, რომ მისი დაპატიმრება შეცდომა იყო და გამოთქვა იმედი, რომ ეს „არასასიამოვნო გაუგებრობა“ არ შეაცვლევინებდა ღოჯს აზრს. ღოჯმა განაცხადა, რომ იგი მზადაა, განიხილოს ეს ინციდენტი, როგორც „სამწუხარო გაუგებრობა“.

ღოჯი ასევე ესაუბრა ბ-ნ სვანიძეს. მომდევნო წერილში მან კვლავ გამოთქვა თბილისსა და ბათუმში ოფისების გახსნის სურვილი და გაიხსენა, რომ სვანიძემ აღუთქვა „საქართველოს მთავრობის მორალური მხარდაჭერა“. ღოჯმა აღნიშნა, რომ მიემგზავრებოდა საჭირო ფინანსური შეთანხმებების მისაღწევად ლონდონსა და ნიუ იორკში, და სვანიძეს წერილის მიღების დადასტურება სთხოვა „იმისთვის, რომ მას საქართველოს მთავრობის მიერ მისი გეგმების დამტკიცების ოფიციალური დასტური ჰქონოდა“.

თავის პასუხში სვანიძე წერდა: „საქმიანობას, რომლის დაწყებასაც თქვენ აპირებთ, ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება... საბჭოთა მთავრობა გააკეთებს ყველაფერს შესაძლებელს იმისათვის, რომ თქვენი გეგმების განხორციელებაში დაგეხმაროთ. ამავე დროს მე მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა რწმენა, რომ სამწუხარო ინციდენტი, რომელიც მოხდა თქვენთან დაკავშირებით, თქვენს მიერ არ იქნება განხილული, როგორც უცხოური ინციდენტების მიმართ საბჭოთა მთავრობის არამეგობრული დამოკიდებულების გამოხატვაზე მინიშნება“(*23).

1922 წლის იანვარში ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო კორპორაციასთან ახალი გაერთიანების პირობებზე მოსალაპარაკებლად ბრიტანული ფირმის – Forwood and Sellar of Liverpool-ის (მან პირველ მსოფლიო ომამდე მნიშვნელოვანი კაპიტალი დააბანდა საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში) წარმომადგენლები ჩამოვიდნენ თბილისში. ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო კორპორაცია მენშევიკური მთავრობის მიერ იყო დაარსებული და მარგანეცის ექსპორტის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა მინიჭებული. მისი სტატუსი დამტკიცებული იყო რევკომის მიერ და ჰოლანდიურ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი მისი ერთადერთი აგენტი გახდა. ამ ხელშეკრულებით სრულებითაც არ იყვნენ აღფრთოვანებული ამ დრომდე ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო კორპორაციასთან ასოცირებული კომპანიები.

სანამ მისი წარმომადგენლები თბილისში აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, orwood and Sellar-ი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დაჟინებით მოითხოვდა, რომ გენუის კონფერენციაზე საქართველოში ბრიტანეთის კაპიტალის შენარჩუნების დაცვის საკითხი განხილულიყო. კომპანიის თანამშრომლები ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდნენ, როდესაც მოლაპარაკებაზე მყოფმა მისმა წარმომადგენლებმა მოახსენეს, რომ მარგანეცის საკუთრების ყოფილ მფლობელებს შესთავაზეს საკონცესიო შეთანხმება ახალი ნაციონალიზაციის აქტის საფუძველზე. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიუკერძოებელი იყო და კომპანიამ მისცა მოლაპარაკებების (*25) დაწყების უფლებამოსილება თავის წარმომადგენლებს.

1922 წლის ივნისში მაკდონელის მისიის საკითხი კვლავ წამოიჭრა განსახილველად. ერთი შეხედულება მისიის გაგზავნის საკითხის გადადებას გულისხმობდა, სანამ გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიკური ურთიერთობების განსახილველად შექმნილი კომისია, რომელიც იმჟამად ჰაავაში მუშაობდა, არ მისცემდა საკუთარ რეკომენდაციებს. მისიის

დაუყოვნებლივ გაგზავნამ, აღნიშნული კომისიის მუშაობის პერიოდში, „შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ჰააგაში შეკრებილი მთავრობების ზურგს უკან დიდი ბრიტანეთი კავკასიაზე საკუთარი ინტერესების გააგრძელებას ცდილობს“. ეს კი, „რა თქმა უნდა საფრანგეთში ცულ მთაბეჭდილებას მოახდენდა და მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა არ არის წარმოდგენილი ჰააგაში, ნავთობის ინტერესები ამერიკაში შეიძლება დამოკიდებული იყოს აღნიშნული მისიის ყველაზე ანგლოფობური მანერით გამოყენებაზე“. მეორე შეხედულება ამგვარი იყო: „საჭიროა, დაჟინებით მოვითხოვოთ მაკდონელის მისიის გაგზავნა“, და წარმოუდგენელია, რომ „საფრანგეთისა და აშშ-ს გამო, რომლის აგენტებიც შესული არიან იმ რეგიონებში, ჩვენ უნდა თავი შევიკავოთ“ (*26).

ამ უკანასკნელმა შეხედულებამ გაიმარჯვა და გრეგორის დაევალა საკითხის წამოჭრა ჰააგაში საბჭოთა დელეგაციასთან. მაგრამ ბრიტანულმა დელეგაციამ უპასუხა, რომ მათთვის „ძალზე დამამცირებელი“ იქნებოდა, ეთხოვათ საბჭოთა დელეგაციისათვის, რათა ამ უკანასკნელს დაეყოლიებინა კავკასიის მთავრობები ბრიტანეთის მისიის მიღებაზე. იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ საბჭოთა მთავრობა „აქ შეკრებილი სხვა არარუსული მთავრობების ზურგს უკან, გამოიყენებდა ამგვარ თხოვნას, როგორც მისი უდიდებულესობის მთავრობის მიერ განსაკუთრებული უპირატესობების მოთხოვნას“ (*27).

შესაბამისად, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა საკითხის მოგვარება რობერტ ჰოჯსონის საშუალებით, რომელიც ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსკოვში ბრიტანეთის მისიის ხელმძღვანელი იყო. ჰოჯსონს უთხრეს, რომ ბრიტანეთი კავკასიის სახელმწიფოების სრული აღიარებისთვის ისე, როგორც მან აღიარა, რუსეთი მზად არ იყო. მაგრამ როგორც გაირკვა, სხვა ქვეყნები, „განსაკუთრებით იტალია“, ოფიციალურად, თუ არაოფიციალურად იყვნენ კავკასიაში წარმოდგენილი და კომერციულ საქმიანობას ბრიტანეთის ხარჯზე აწარმოებდნენ. ჰოჯსონს შეეძლო აღენიშნა, რომ მაკდონელის მისიის დაშვება „იქნებოდა ჩვეულებრივი ურთიერთობების განახლებისაკენ პირველი ნაბიჯი“ მაშინ, როდესაც მის დაშვებაზე უარი „გარდაუვალად შეაფერხებდა და ზიანს მიაყენებდა ნორმალური ურთიერთობების ხელახლა დამყარებას“. იმის გათვალისწინებით, რომ უარი მოსალოდნელი იყო, ჰოჯსონს თავიდან უნდა აეცილებინა „საკითხის ოფიციალურად დაყენება, ან მისდამი დიდი მნიშვნელობის მინიჭება“ (*28).

ჰოჯსონმა მოახსენა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევ კარახანის რსფსრ-ს საგარეო საქმეთა კომისიის ერთ-ერთი მოადგილის აზრი იმის შესახებ, რომ „საკითხი რუსეთის მთავრობის კომპეტენციას სცილდებოდა და იგი შეიძლებოდა მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობების მიერ გადაწყვეტილიყო“; ვეტერანი ბოლშევიკი, მიხა ცხაკაია, რომელიც მოსკოვში საქართველოს მისიას ხელმძღვანელობდა, ამ დროს არ იმყოფებოდა კავკასიაში (*29).

1922 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში ბრიტანელების პოზიციამ განიცადა საგრძნობი გაუარესება. ივნისში ბაქსტონმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აუწყა, რომ ბრიტანეთის დახმარების მისიის მუშაობა „რუსეთმა და საბჭოთა მთავრობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა თბილისა და ბათუმში“. მან დაურთო ადგილზე დასაქმებული პირის მემორანდუმი, სადაც ეწერა, რომ ეს „ჰგავდა რეპრესალიებს იმ პოზიციის საპასუხოდ, რომელიც კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ საბჭოთა დელეგაციის მიმართ დაიკავა“ (*30). ივლისსა და აგვისტოში ბრიტანეთში რეგისტრირებული სამი გემი ბათუმში რსფსრ-ს კონსულის მოთხოვნით დაპატიმრებული იქნა იმ მოტივით, რომ ისინი საბჭოთა საკუთრებას წარმოადგენდნენ. მიუხედავად სავაჭრო სანაოსნოს ნაციონალიზაციის შესახებ აქტისა ეს გემები, გაიყიდა მათი ყოფილი რუსი მფლობელების მიერ, რომლებმაც 1920 წელს (*31) თეთრი არმიის დარჩენილ ნაწილებთან ერთად გაიტაცეს გემები. კომერციული მდივანი წერდა თავის მოხსენებაში, რომ ბატონმა გილესპიმ, რომელიც ივლისსა და აგვისტოში ბათუმში, თბილისსა და ერევანში იმყოფებოდა, „ინგლისელების მიმართ საგრძნობლად ცუდი განწყობა შენიშნა, რაც მისი შეფასებით გენუისა და ჰააგის კონფერენციების წარუმატებლობით იყო გამოწვეული“.

კონსტანტინოპოლში მოქმედი ბრიტანული ფირმის – Messrs Whittall and Co.-ის ბათუმის ოფისები გაიხსნა და მათი წარმომადგენელი დააპატიმრეს. დააპატიმრეს ორი Shell-ის წარმომადგენელი, ჯონ დოჯიცი, რომელსაც ბრალად დასდეს „სახელმწიფო აქტის საწინააღმდეგოდ ბათუმის ნავთობის საკუთრების ყიდვა“ (*32).

საკუთარი სავაჭრო საქმიანობის გარდა, დოჯი Baku Consolidated Oil Fields Ltd-ს წარმოადგენდა. ეს იყო ბრიტანული ფირმა, რომელსაც ბაქოს ნავთობის მრეწველობაში „ექვს მილიონზე მეტი“ კაპიტალდაბანდება ჰქონდა. იმ დროს ლესლი ურქჰარტსა და კრასინს შორის საკონცესიო ხელშეკრულების თაობაზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომელიც მისცემდა საშუალებას ბრიტანულ კომპანიას ადრე მის მფლობელობაში მყოფი ციმბირის საბადოები აეშუშავებინა. ამან გადააწყვეტინა დოჯს აზერბაიჯანის ნავთობის ადმინისტრაციის თავმჯდომარისათვის, სერებროვსკისათვის წინადადებით მიმართვა, რათა გაეგო, სურდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას Baku Consolidated-თან მსგავსი მოლაპარაკებების გამართვა. სერებროვსკისთან საუბრის შემდეგ დოჯი ბაქოში გაემგზავრა, სადაც მან დაათვალიერა ადრე ბრიტანეთის მფლობელობაში მყოფი ჭაბურღილები; მისი გიდი იყო აზერბაიჯანის ნავთობის ადმინისტრაციის ინჟინერი, Baku Consolidated-ის ყოფილი მუშაკი.

როგორც თვითონ წერდა, დოჯთან თბილისში კონტაქტზე „რამდენიმე ადამიანი“ გავიდა, იმისათვის, რომ „გაეგოთ, შევძლებდი თუ არა ბრიტანული კაპიტალის მოპოვებას ბაქოში ნავთობის მრეწველობის დასაფინანსებლად იმ კონცესიების საშუალებით, რომლის, როგორც მარწმუნებდნენ, საბჭოთა მთავრობისგან მოპოვების ყველანაირი საფუძველი ჰქონდათ იმ ახალი პოლიტიკის გამო, რომლის გატარებასაც საბჭოთა მთავრობა ამ სახის მრეწველობასთან მიმართებაში ცდილობდა“.

მის საბუთებს შორის არის ბიზნეს პარტნიორისადმი წერილის ასლი დათარიღებული „1922 წლის 15 ივლისი, ბათუმი“, სადაც იგი აღწერს, თუ როგორ მივიდა მასთან მ. მარკოზოვი „ბაქოში მისი ნავთობის საკუთრების და ასევე მისი მეგობრების საკუთრების გაყიდვის მიზნით“. დოჯი წერდა: „გთხოვთ, იყოთ ფრთხილად, როდესაც დეპეშას მიგზავნით ან მწერთ პასუხს, ვინაიდან აქ არ შეიძლება კერძო პირებმა წილი გაყიდონ, რადგან მთავრობას სურს ეს თვითონ აკეთოს და შეიძლება, ხალხი დააპატიმროს“.

დოჯი ბაქოდან თბილისში ჩამოსვლისთანავე დაიჭირეს. იგი „ახალგაზრდა ბიზნეს მეგობარმა“ გააფრთხილა, რომ მას მალე „ნავთობის ბიზნესის გამო“ დააპატიმრებდნენ. ერთ საღამოს, როდესაც ის გვიან მოსკოვის საბალეტო ჯგუფის წარმოდგენის შემდეგ თავის თბილისის ბინაში დაბრუნდა, სადაც ის Ottoman Bank-ის ინგლისელ წარმომადგენელთან ერთად ცხოვრობდა, მას კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საგანგებო კომისიის ორი თანამშრომელი ელოდებოდა (*34).

დოჯი მიიყვანეს კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ცენტრალურ ოფისში, სადაც იგი მისი თავმჯდომარის სოლომონ მოგილევისკის მიერ რამოდენიმეჯერ იქნა დაკითხული. მოგილევისკი აღნიშნავდა, რომ დოჯს იგი ბრიტანეთის აგენტად მიიჩნევდა. მოგვიანებით დოჯი ბაქოში ვიზიტის თაობაზე დაკითხეს, რა დროსაც მან აღნიშნა შემდეგი – „გაუთავებლად მიმდინარეობს საუბარი იმაზე, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთი საქმე, როდესაც ერთ-ერთმა რუსმა პიროვნებამ სცადა ჩემი დაინტერესება კონცესიის დასაფინანსებლად ბრიტანეთის კაპიტალის მოპოვებაში, რისთვისაც კერძო საწარმოს მიერ ბაქოში ნავთობის წარმოების ასამუშავებლად, საბჭოთა მთავრობის მიერ გაცემული თანხების გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი, და მეორე საქმე, როდესაც მეორე რუსმა პიროვნებამ შემოგვთავაზა, შეგვეყიდა მისგან ნავთობსაწარმოები, რომლებიც ნაციონალიზაციამდე მისი კუთვნილება იყო, ხოლო ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების საკუთრება გახდა“... „საკუთრებამორთმეული რუსების დაკვალიანება, მათში იმედის გაღვივება, თითქოს საბჭოთა მთავრობის მიერ თავისი პოლიტიკური კურსის შეცვლის, ან მისი დამხობის შემთხვევაში, თავიანთი უფლებების დასაბრუნებლად, უცხოელები მათ რაიმე ფინანსებს მისცემდნენ, სისხლის სამართლის დნაშაული

იყო და ამდენად კონტრეკოლუციურ და ყველაზე უფრო საშიშ მიმართულებას წარმოადგენდა“.

ლოჯი მეხუთე დღეს გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ თბილისს არ დატოვებდა. მან ჰოჯსონს მოსკოვში მისწერა იმის შესახებ, თუ როგორ დაკითხეს ნავთობის მიწების ყიდვასთან და ნავთობის აქციების საბუთებთან დაკავშირებით, და, მოგილვესკის აზრით, ლოჯი ბრიტანეთის მთავრობის სასარგებლოდ იყო ჯაშუშობით დაკავებული. ასევე დაამატა, რომ მას „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან“ შემდეგი შეტყობინება ჰქონდა მიღებული: „მე დამაპატიმრეს შეცდომით და ჩემი ოფისი, რომელიც ასევე შეცდომით დაიხურა, გაიხსნებოდა დაუყოვნებლივ, თუ ის ჯერ კვლავ არ გახსნილა. მე აღმოვაჩინე, რომ ჩემს ოფისს უკვე მოხსნეს ლუქი“ (*35). ლოჯმა მისწერა ბუდუ მდივანსაც. იგი სთხოვდა საქართველოს რეკომისის თავმჯდომარეს, გაერკვია, როგორც მას ლოჯი უწოდებდა, ეს „გაუგებრობა“, რომელიც „კონტრეკოლუციასთან ბრძოლის საგანგებო კომისიასა და ჩემს შორის არსებობს“. წინააღმდეგ შემთხვევაში „არცერთი ინგლისელი ბიზნესმენი არ გარისკავდა ან ისურვებდა კავკასიასთან რაიმე საქმიან ურთიერთობებს“ (*36).

The auxiliary vessels specified in the preceding paragraph shall only be entitled to benefit by the exceptional status therein contemplated if their armament does not include: for use against floating targets, more than two guns of a maximum calibre of 105 milimetres: for use against aerial targets, more than two guns of a maximum calibre of 75 mili metres.

ARTICLE 10.

In time of peace, light surface vessels, minor war vessels and auxiliary vessels, whether belonging to Black Sea or non-Black Sea Powers, and whatever their flag, shall enjoy freedom fo transit through the Straits without any taxes or charges whatever, provided that such transit is begun during daylight and subject to the conditions laid down in Article 13 and the Articles following thereafter.

Vessels of war other than those which fall within the categories specified in the preceding paragraph shall only enjoy a right of transit under the special conditions provided by Articles 11 and 12.

ARTICLE 11.

Black Sea Powers may send through the Straits capital ships of tonnage greater than that laid down in the first paragraph of Article 14, on condition that these vessels pass through the Straits singly, escorted by not more than two destroyers.

ARTICLE 12.

Black Sea Powers shall have the right to send through the Straits, for the purpose of rejoining their base, submarines constructed or purchased outside the Black Sea, provided that adequate notice of the laying down or purchase of such submarines shall have been given to Turkey.

Submarines belonging to the said Powers shall also be entitled to pass through the Straits to be repaired in dockyards outside the Black Sea on condition that detailed information on the matter is given to Turkey.

In either case, the said submarines must travel by day and on the surface, and must pass though the Straits singly.

ARTICLE 13.

The transit of vessels of war through the Straits shall be preceded by a notification given to the Turkish Government through the diplomatic channel. The normal p*iod of notice shall be eight days, but it is desirable that in the case at non-Black Sea Powers this period should be increased to fifteen days. The notification shall specify the destination, name, type and number of the vessels, as also the date of entry for the outward passage and, if necessary, for the return journey. Any change of date shall be subject to three days' notice.

Entry into the Straits for the outward passage shall take place within a period of five days form the date given in the original notification. After the expiry of this period, a new notification shall be given under the same conditions as for the original notification.

When effecting transit, the commander of the naval force shall without being under any obligation to stop, communicate to a signal station at the entrance to the Dardanelles or the Bosphorus the exact composition of the force under his orders.

ARTICLE 14.

The maximum aggregate tonnage of all foreign naval forces which may be in course of transit through the Straits shall not exceed 15.000 tons, except in the cases provided for in Article 11 and in Annex III to the present Convention.

The forces specified in the preceding paragraph shall not, however, comprise more than nine vessels.

Vessels, whether belonging to Black Sea or non-Black Sea Powers, paying visits to a port in the Straits, in accordance with the provisions of Article 17, shall not be included in this tonnage.

Neither shall vessels of war which have suffered damage during their passage through the Straits be included in this tonnage; such vessels, while undergoing repair, shall be subject to any special provisions relating to security laid down by Turkey.

ARTICLE 15.

Vessels of war in transit through the Straits shall in no circumstances make use of any aircraft which they may be carrying.

ARTICLE 16.

Vessels of war in transit through the Straits shall not, except in the event of damage or peril of the sea, remain therein longer than is necessary for them to effect the passage.

ARTICLE 17.

Nothing in the provisions of the preceding Articles shall prevent a naval force of any tonnage or composition from paying a courtesy visit of limited duration to a port in the Straits, at the invitation of the Turkish Government. Any such force must leave the Straits by the same route as that by which it entered unless it fulfils the conditions required for passage in transit through the Straits as laid down by Articles 10,14 and 18.

ARTICLE 18.

- (1) The aggregate tonnage which non-Black Sea Powers may have in that sea in time of peace shall be limited as follows:
 - (a) Except as provided in paragraph (b) below, the aggregate tonnage of the said Powers shall not exceed 30.000 tons;
 - (b) If at any time the tonnage of the strongest fleet in the Black Sea shall exceed by at least 10.000 tons the tonnage of the strongest fleet in that sea at the date of the signature of the present Convention, the aggregate tonnage of 30.000 tons mentioned in paragraph (a) shall be increased by the same amount, up to a maximum of 45,000 tons. For this purpose, each Black Sea Power shall, in conformity with Annex IV to the present Convention, inform the Turkish Government, on the 1 st January and the 1st July of each year, of the total tonnage of its fleet in the Black Sea; and the Turkish Government shall transmit this information to the other High Contracting Parties and to the Secretary-General of the League of Nations;
 - (c) The tonnage which any one non-Black Sea Power may have in the Black Sea shall be limited to two-thirds of the aggregate tonnage provided for in paragraphs (a) and (b) above;
 - (d) In the event, however, of one or more non-Black Sea Powers desiring to send naval forces into the Black Sea, for a humanitarian purpose, the said forces, which shall in no case exceed 8.000 tons altogether, shall be allowed to enter the Black Sea without having to give the notification provided for in Article 13 of the present Convention, provided an authorisation is obtained from the Turkish Government in the following circumstances: if the figure of the aggregate tonnage specified in paragraphs (a) and (b) above has not been reached and will not be exceeded by the despatch of the forces which it is desired to send, the Turkish Government

shall grant the said authorisation within the shortest possible time after receiving the request which has been addressed to it; if the said figure has already been reached or if the despatch of the forces which it is desired to send will cause it to be exceeded, the Turkish Government will immediately inform the other Black Sea Powers of the request for authorisation, and if the said Powers make no objection within twenty-four hours of having received this information, the Turkish Government shall, within forty-eight hours at the latest, inform the interested Powers of the reply which it has decided to make to their request.

Any further entry into the Black Sea of naval forces of non-Black Sea Powers shall only be effected within the available limits of the aggregate tonnage provided for in paragraphs (a) and (b) above.

(2) Vessels of war belonging to non-Black Sea Powers shall not remain in the Black Sea more than twenty-one days, whatever be the object of their presence there.

ARTICLE 19.

In time of war, Turkey not being belligerent, warships shall enjoy complete freedom of transit and navigation through the Straits under the same conditions as those laid down in Article 10 to 18.

Vessels of war belonging to belligerent Powers shall not however, pass through the Straits except in cases arising out of the application of Article 25 of the present Convention, and in cases of assistance rendered to a State victim of aggression in virtue of a treaty of mutual assistance binding Turkey, concluded within the framework of the Covenant of the League of Nations, and registered and published in accordance with the provisions of Article 18 of the Covenant.

In the exceptional cases provided for in the preceding paragraph, the limitations laid down in Article 10 to 18 of the present Convention shall not be applicable.

Notwithstanding the prohibition of passage laid down in paragraph 2 above, vessels of war belonging to belligerent Powers, whether they are Black Sea Powers or not, which have become separated from their bases, may return thereto.

Vessels of war belonging to belligerent Powers shall not make any capture, exercise the right of visit and search, or carry out any hostile act in the Straits.

ARTICLE 20.

In time of war, Turkey being belligerent, the provisions of Articles 10 to 18 shall not be applicable; the passage of warships shall be left entirely to the discretion of the Turkish Government.

ARTICLE 21.

Should Turkey consider herself to be threatened with imminent danger of war she shall have the right to apply the provisions of Article 20 of the present Convention.

Vessels which have passed through the Straits before Turkey has made use of the powers conferred upon her by the preceding paragraph, and which thus find themselves separated from their bases, may return thereto. It is, however, understood that Turkey may deny this right to vessels of war belonging to the State whose attitude has given rise to the application of the present Article.

Should the Turkish Government make use of the powers conferred by the first paragraph of the present Article, a notification to that effect shall be addressed to the High Contracting Parties and to the Secretary-General of the League of Nations.

If the Council of the League of Nations decide by a majority of two-thirds that the measures thus taken by Turkey are not justified, and if such should also be the opinion of the majority of the High Contracting Parties signatories to the present Convention, the Turkish Government under-

takes to discontinue the measures in question as also any measures which may have been taken under Article 6 of the present Convention.

ARTICLE 22.

Vessels of war which have on board cases of plague, cholera, yellow fever, exanthematic typhus or smallpox or which have had such cases on board within the last seven days and vessels of war which have left an infected port within less than five times twenty-four hours must pass through the Straits in quarantine and apply by the means on board such prophylactic measures as are necessary in order to prevent any possibility of the Straits being infected.

SECTION III. AIRCRAFT

ARTICLE 23.

In order to assure the passage of civil aircraft between the Mediterranean and the Black Sea, the Turkish Government will indicate the air routes available for this purpose, outside the forbidden zones which may be established in the Straits. Civil aircraft may use these routes, provided that they give the Turkish Government, as regards occasional flights, a notification of three days, and as regards flights on regular services, a general notification of the dates of passage.

The Turkish Government moreover undertake, notwithstanding any remilitarisation of the Straits, to furnish the necessary facilities for the safe passage of civil aircraft authorised under the air regulations in force in Turkey to fly across Turkish territory between Europe and Asia. The route which is to be followed in the Straits zone by aircraft which have obtained an authorisation shall be indicated from time to time.

SECTION IV. GENERAL PROVISIONS

ARTICLE 24.

The functions of the International Commission set up under the Convention relating to the régime of the Straits of the 24th July, 1923, are hereby transferred to the Turkish Government.

The Turkish Government undertake to collect statistics and to furnish information concerning the application of Article 11, 12, 14 and 18 of the present Convention.

They will supervise the execution of all the provisions of the present Convention relating to the passage of vessels of war through the Straits.

As soon as they have been notified of the intended passage through the Straits of a foreign naval force the Turkish Government shall inform the representatives at Angora of the High Contracting Parties of the composition of that force, its tonnage, the date fixed for its entry into the Straits, and, if necessary, the probable date of its return.

The Turkish Government shall address to the Secretary-General of the League of Nations and to the High Contracting Parties an annual report giving details regarding the movements of foreign vessels of war through the Straits and furnishing all information which may be of service to commerce and navigation, both by sea and by air, for which provision is made in the present Convention.

ARTICLE 25.

Nothing in the present Convention shall prejudice the rights and obligations of Turkey, or of any of the other High Contracting Parties members of the League of Nations, arising out of the Covenant of the League of Nations.

SECTION V. FINAL PROVISIONS

ARTICLE 26.

The present Convention shall be ratified as soon as possible.

The ratifications shall be deposited in the archives of the Government of the French Republic in Paris.

The Japanese Government shall be entitled to inform the Government of the French Republic through their diplomatic representative in Paris that the ratification has been given, and in that case they shall transmit the instrument of ratification as soon as possible.

A procès-verbal of the deposit of ratifications shall be drawn up as soon as six instruments of ratification, including that of Turkey, shall have been deposited. For this purpose the notification provided for in the preceding paragraph shall be taken as the equivalent of the deposit of an instrument of ratification.

The present Convention shall come into force on the date of the said procès-verbal.

The French Government will transmit to all the High Contracting Parties an authentic copy of the procès-verbal provided for in the preceding paragraph and of the procès-verbaux of deposit of any subsequent ratifications.

ARTICLE 27.

The present Convention shall, as from the date of its entry into force, be open to accession by any Power signatory to the Treaty of Peace at Lausanne signed on the 24th July, 1923.

Each accession shall be notified through the diplomatic channel, to the Government of the French Republic, and by the latter to all the High Contracting Parties.

Accessions shall come into force as from the date of notification to the French Government.

ARTICLE 28.

The present Convention shall remain in force for twenty years from the date of its entry into force.

The principle of freedom of transit and navigation affirmed in Article 1 of the present Convention shall however continue without limit of time.

If, two years prior to the expiry of the said period of twenty years, no High Contracting Party shall have given notice of denunciation to the French Government the present Convention shall continue in force until two years after such notice shall have been given. Any such notice shall be communicated by the French Government to the High Contracting Parties.

In the event of the present Convention being denounced in accordance with the provisions of the present Article, the High Contracting Parties agree to be represented at a conference for the purpose of concluding a new Convention.

ARTICLE 29.

At the expiry of each period of five years from the date of the entry into force of the present Convention each of the High Contracting Parties shall be entitled to initiate a proposal for amending one or more of the provisions of the present Convention.

To be valid, any request for revision formulated by one of the High Contracting Parties must be supported, in the case of modifications to Articles 14 or 18 by one other High Contracting Party, and, in the case of modifications to any other Article, by two other High Contracting Parties.

Any request for revision thus supported must be notified to all the High Contracting Parties three months prior to the expiry of the current period of five years. This notification shall contain details of the proposed amendments and the reasons which have given rise to them.

Should it be found impossible to reach an agreement on these proposals through the diplomatic channel, the High Contracting Parties agree to be represented at a conference to be summoned for this purpose.

Such a conference may only take decisions by a unanimous vote, except as regards cases of revision involving Articles 14 and 18, for which a majority of three-quarters of the High Contracting Parties shall be sufficient.

The said majority shall include three-quarters of the High Contracting Parties which are Black Sea Powers, including Turkey.

In witness whereof, the above-mentioned Plenipotentiaries have signed the present Convention.

Done at Montreux the 20th July, 1936, in eleven copies, of which the first copy, to which the seals of the Plenipotentiaries have been affixed, will be deposited in the archives of the Government of the French Republic and of which the remaining copies have been transmitted to the signatory Powers.

The undersigned, Plenipotentiaries of Japon, declare, in the name of their Government, that the provisions of the present Convention do not in any sense modify the position of Japon as a State not a member of the League of Nations, whether in relation to the Covenant of the League of Nations or in regard to treaties of mutual assistance concluded within the framework of the said Covenant, and that in particular Japon reserves full liberty of interpretation as regard the provisions of Articles 19 and 25 so far as they concern that Covenant and those treaties.

ANNEX I.

1. The taxes and charges which may be levied in accordance with Article 2 of the present Convention shall be those set forth in the following table. Any reductions in these taxes or charges which the Turkish Government may grant shall be applied without any distinction based on the flag of the vessel:

Amount of tax or charge to be levied on each ton of netregister tonnage Francs gold 1

(a) Sanitary Control Stations 0.075

(b) Lighthouses, Light and Channel Buoys: Up to 800 tons 0.42 Above 800 tons 0.21

(c) Life Saving Services, including Life-boats, Rocket Stations, Fog Sirens, Direction-finding Stations, and any Light Buoys not comprised in (b) above, or other similar installations 0.10

2. The taxes and charges set forth in the table attached to paragraph I of the present Annex shall apply in respect of a return voyage through the Straits (that is to say a voyage from the Aegean Sea to the Black Sea and return back to the Aegean Sea or else a voyage through the Straits from the Black Sea to the Aegean Sea followed by a return voyage into the Black Sea); if, however, a merchant vessel re-enters the Straits with the object of returning into the Aegean Sea or to the Black Sea, as the case may be, more than six months after the date of entry into the Straits for the outward voyage, such vessel may be called upon to pay these taxes and charges a second time, provided no distinction is made based on the flag of the vessel.

3. If, on the outward voyage, a merchant vessel declares an intention of not returning, it shall only be obliged as regards the taxes and charges provided for in paragraphs (b) and (c) of the first paragraph of the present Annex, to pay half the tariff indicated.

4. The taxes and charges set forth in the table attached to the first paragraph of the present Annex, which are not to be greater than is necessary to cover the cost of maintaining the services not be increased or added to except in accordance with the provisions of Article 29 of the present Convention. They shall be payable in gold francs or in Turkish currency at the rate of exchange prevailing on the date of payment.

5. Merchant vessels may be required to pay taxes and charges for optional services, such as pilotage and towage, when any such service shall have been duly rendered by the Turkish authorities at the request of the agent or master of any such vessel. The Turkish Government will publish from time to time the tariff of the taxes and charges to be levied for such optional services.
6. These tariffs shall not be increased in cases in the event of the said services being made obligatory by reason of the application of Article 5.

ANNEX II. A. STANDARD DISPLACEMENT

- (1) The standard displacement of a surface vessel is the displacement of the vessel, complete, fully manned, engined, and equipped ready for sea, including all armament and ammunition, equipment, outfit, provisions and fresh water for crew, miscellaneous stores and implements of every description that are intended to be carried in war, but without fuel or reserve feed water on board.
- (2) The standard displacement of a submarine is the surface displacement of the vessel complete (exclusive of the water in' non-watertight structure), fully manned engined and equipped ready for sea, including all armament and ammunition equipment, outfit, provisions for crew, miscellaneous stores and implements of very' description that are intended to be carried in war, but without fuel, lubricating oil, fresh water or ballast water of any kind on board.
- (3) The word "ton" except in the expression "metric tons" denotes the ton of 2.240 lb (1.016 kilos).

B. CATEGORIES

- (1) Capital ships are surface vessels of war belonging to one of the two following sub-categories:
 - (a) Surface vessels of war, other than aircraft-carriers, auxiliary vessels, or capital ships of sub-category (b) the standard displacement of which exceeds 10.000 tons (10.160 metric tons) or which carry a gun with a calibre exceeding 8 in. (203 mm.);
 - (b) Surface vessels of war, other than aircraft-carriers, the standard displacement of which does not exceed 8.000 tons (8.128 metric tons) and which carry a gun with a calibre exceeding 8 in. (203 mm.).
- (2) Aircraft-Carriers are surface vessels of war, whatever their displacement, designed or adapted primarily for the purpose of carrying and operating aircraft at sea. The fitting of a landing-on or flying-off deck on any vessel of war, provided such vessel has not been designed or adapted primarily for the purpose of carrying and operating aircraft at sea, shall not cause any vessel to be classified in the category of aircraft-carrier.

The category of aircraft-carrier is divided into two sub-categories as follows:

- (a) Vessels fitted with a flight deck, from which aircraft can take off, or on which aircraft can land from the air;
 - (b) Vessels not fitted with a flight deck as described in (a) above.
- (3) Light Surface Vessels are surface vessels of war other than aircraft-carriers, minor war vessels of auxiliary vessels, the standard displacement of which exceeds 100 ton (102 metric tons) and does not exceed 10.000 tons (10.160 metric tons), and which do not carry a gun with a calibre exceeding 8 in. (103 mm.).

The category of light surface vessels is divided into three subcategories as follows:

- (a) Vessels which carry a gun with a calibre exceeding 6.1 in. (155 mm.);

- (b) Vessels which do not carry a gun with a calibre exceeding 6.1 in. (155 mm.) and the standard displacement of which exceeds 3.000 tons (3.048 metric tons);
 - (c) Vessels which do not carry a gun with a calibre exceeding 6.1 in. (155 mm.) and the standard displacement of which does not exceed 3.000 (3.048 metric tons).
- (4) Submarines are all vessels designed to operate below the surface of the sea.
- (5) Minor War Vessels are surface vessels of war, other than auxiliary vessels, the standard displacement of which exceeds 100 tons (102 metric tons) and does not exceed 2.000 tons (2.032 metric tons), provided they have none of the following characteristics:
- (a) Mount a gun with a calibre exceeding 6.1 in (155 mm.);
 - (b) Are designed or fitted to launch torpedoes;
 - (c) Are designed for a speed greater than twenty knots.
- (6) Auxiliary Vessels are naval surface vessels the standard displacement of which exceeds 100 tons (102 metric tons), which are normally employed on fleet duties or as troop transports, or in some other way than as fighting ships, and which are not specifically built as fighting ships, provided they have none of the following characteristics:
- (a) Mount a gun with a calibre exceeding 6.1 in (155 mm.);
 - (b) Mount more than eight guns with a calibre exceeding 3 in (76 mm.);
 - (c) Are designed or fitted to launch torpedoes;
 - (d) Are designed for protection by armour plate;
 - (e) Are designed for a speed greater than twenty-eight knots;
 - (f) Are designed or adapted primarily for operating aircraft at sea;
 - (g) Mount more than two aircraft-launching apparatus.

C. OVER-AGE

Vessels of the following categories and sub-categories shall be deemed to be "over-age" when the undermentioned number of years have elapsed since completion:

- (a) Capital ships 26 years;
- (b) Aircraft-carriers 20 years;
- (c) Light surface vessels, sub-categories (a) and (b):
 - (i) If laid down before 1st January, 1920 16 years;
 - (ii) If laid down after 31st December, 1919 20 years;
- (d) Light surface vessels, sub-category (c) 16 years;
- (e) Submarines 13 years;

ANNEX III

It is agreed that, of the three over-age training ships, as indicated below, belonging to the Japanese Fleet, two units may be allowed to visit ports in the Straits at the same time.

The aggregate tonnage sidered as being equivalent toof these two vessels shall in this case be con-
 15.000 tons. 9.240 IVx20 mm. Asama 20-X-1896 18-111-1899 Xlix 150 mm. IV x 200 mm. Ya-
 kumo I-IX-1898 20-VI-1 900 9.010 Xlix 150 mm. 9.180 IV x 200 mm. iwale II-XI-1 898 18-111-
 1901 XIV x 150 mm.

ANNEX IV

1. The categories and sub-categories of vessels to be included in the calculation of the total tonnage of the Black Sea Powers provided for in Article 18 of the present Convention are the following:

Capital Ships:

Sub-category (a); Sub-category (b);

Aircraft-Carrier:

Sub-category (a); Sub-category (b);

Light Surface Vessels:

Sub-category (a); Sub-category (b); Sub-category (c);

Submarines:

As defined in Annex II to the present Convention.

The displacement which is to be taken into consideration in the calculation of the tonnage is the standard displacement as defined in Annex II. Only those vessels shall be taken into consideration which are not over-age according to the definition contained in the said Annex.

2. The notification provided for in Article 18, paragraph (b), shall also include the total tonnage of vessels belonging to the categories and subcategories mentioned in paragraph I of the present Annex.

PROTOCOL

At the moment of signing the Convention bearing this day's date, the undersigned Plenipotentiaries declare for their respective Governments that they accept the following provisions:

- (1) Turkey may immediately remilitarise the zone of the Straits as defined in the Preamble to the said Convention.
- (2) As from the 15th August, 1936, the Turkish Government shall provisionally apply the régime specified in the said Convention.
- (3) The present Protocol shall enter into force as from this day's date.

Done at Montreux the 20th July, 1936.

ՕՁԹԱԾԵՂԱԷՆԻ Օ ԵԱՆԻ ԻԷ**საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ****თავი I. ზოგადი დებულებანი****მუხლი 1****კანონის რეგულირების საგანი**

ეს კანონი განსაზღვრავს შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლების, ტერიტორიული ზღვის (წყლების), მიმდებარე ზონის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

მუხლი 2**კანონის მიზანი**

კანონის მიზანია:

- ა) საქართველოს უფლებების, ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა საქართველოს საზღვაო სივრცეში;
- ბ) შავი ზღვის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება, შავიზღვისპირა და სხვა უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- გ) ნაოსნობის გაადვილება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- დ) შავი ზღვის გარემოს დაცვა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;
- ე) სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა და შავი ზღვის რესურსების რაციონალურად გამოყენება.

მუხლი 3**საქართველოს შიდა საზღვაო წყლების, ტერიტორიული ზღვის, მათი საჰაერო სივრცის, ფსკერისა და წიაღის სამართლებრივი სტატუსი**

საქართველოს შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი საჰაერო სივრცე, ფსკერი და წიაღი საქართველოს ტერიტორიის ნაწილია, რომელზეც იგი ახორციელებს სუვერენიტეტს.

მუხლი 4**საქართველოს იურისდიქცია საქართველოს მიმდებარე ზონაში**

საქართველო თავის მიმდებარე ზონაში კონტროლს ახორციელებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების და ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 5**საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სამართლებრივი სტატუსი**

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და შენარჩუნების, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების დაცვის მიზნით საქართველო თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე ახორციელებს სუვერენულ უფლებებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მუხლი 6**კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება**

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) დელიმიტაცია – დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული ზღვის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ან კონტინენტური შელფის გამყოფი ხაზის დადგენა შეთანხმების საფუძველზე;
- ბ) გემის დროშის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის დროშითაც დაცურავს გემი და რომლის გემების სახელმწიფო რეესტრშიც არის ეს გემი რეგისტრირებული;

- გ) ზღვაოსანთა უწყება – სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენი ზღვებსა და ოკეანეებში სანავიგაციო მდგომარეობისა და ცურვის რეჟიმში მომხდარი ცვლილებების შესახებ. საქართველოში "ზღვაოსანთა უწყებებს" გამოსცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალები;
- დ) ზღვის გარემოს დაბინძურება – ზღვის გარემოში, მათ შორის, ესტუარში ნივთიერებათა ან ენერჯის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეტანა, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ცოცხალ რესურსებს, საფრთხე შეუქმნას ზღვაში სიცოცხლის არსებობას და ადამიანის ჯანმრთელობას, ხელი შეუშალოს ზღვაზე საქმიანობას, თევზჭერასა და ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, გამოიწვიოს გამოსაყენებელი წყლის ხარისხისა და დასვენების პირობების გაუარესება;
- ე) სამხედრო ზომალდი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების სანაოსნო საშუალება, რომელსაც აქვს სამხედრო ზომალდის განმასხვავებელი ნიშნები, რომელსაც მეთაურობს ამ ქვეყნის საზღვაო ოფიცერთა სიაში ან სხვა ეკვივალენტურ დოკუმენტში რეგისტრირებული სამხედრო სამსახურის ოფიცერი და ჰყავს სამხედრო დისციპლინას დაქვემდებარებული ეკიპაჟი;
- ვ) საწყისი ხაზები – სანაპირო ზოლი ზღვის მაქსიმალური უკუქცევის დროს ან სწორი ხაზები, რომლებიც აერთებენ ზღვაში ნაპირის ყველაზე დაშორებულ წერტილებს, ღუზაზე სადგომი რეიდების, ჰიდროტექნიკური და სხვა მუდმივი სანავსადგურო ნაგებობების ჩათვლით;
- ზ) ჩამარხვა – ნარჩენების ან სხვა მასალების გემებიდან, საფრენი აპარატებიდან, ბაქებიდან და ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებიდან განზრახ მოცილება, აგრეთვე გემების, საფრენი აპარატების, ბაქების ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციების განზრახ განადგურება; ჩამარხვად არ ითვლება ისეთი ნარჩენების ან სხვა მასალების მოცილება, რომლებიც გემების, საფრენი აპარატების, ბაქების ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციების და მათი მოწყობილობების ნორმალური ექსპლუატაციის შედეგია, გარდა იმ ნარჩენების ან სხვა მასალებისა, რომლებიც სპეციალურად არის ტრანსპორტირებული გემებით, საფრენი აპარატებით, ბაქებით ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებით მათი მოცილების მიზნით ან რომლებსაც მოზიდავენ ასეთ გემებთან.

მუხლი 7

საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლი

- 1. საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლს ახორციელებენ:
 - ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
 - ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალები;
 - გ) საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო;
 - დ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.
- 2. ყველა გემი, რომელიც ახორციელებს ნაოსნობას საქართველოს საზღვაო სივრცეში, ვალდებულია დაიცვას გემების ცნობათა სისტემის მოთხოვნები.

თავი II. საქართველოს შიდა საზღვაო წყლები

მუხლი 8

საქართველოს შიდა საზღვაო წყლები

საქართველოს შიდა საზღვაო წყლები მოიცავს:

- ა) საქართველოს ნავსადგურების შიდა აკვატორიას, ნავსადგურის შესასვლელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების უკიდურესი წერტილების შემაერთებელი საწყისი ხაზებიდან ნაპირის მიმართულებით;
- ბ) საქართველოს მდინარეთა შესართავებს მდინარის სიგანეზე გავლებული სწორი ხაზებიდან, რომლებიც აერთებენ მის ნაპირებზე განლაგებული საწყისი ხაზების შესაბამის წერტილებს;

- გ) ზღვის ნაწილს, რომელიც მოქცეულია სანაპირო ზოლსა და იმ საწყის ხაზებს შორის, საიდანაც ათვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე.

მუხლი 9

საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში და რეიდებზე უცხო

ქვეყნის იმ გემის შესვლა, რომელიც გამოიყენება კომერციული ან საქველმოქმედო მიზნით

1. უცხო ქვეყნის გემს, რომელიც გამოიყენება კომერციული ან საქველმოქმედო მიზნით, უფლება აქვს შევიდეს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში უცხო ქვეყნის გემებისათვის ღია ნავსადგურებში და რეიდებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. უცხო ქვეყნის გემებისათვის ღია ნავსადგურებისა და რეიდების ჩამონათვალი მტკიცდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ და ქვეყნდება „ზღვაოსანთა უწყებებში“.
3. უცხო ქვეყნის გემს, რომელიც გამოიყენება კომერციული ან საქველმოქმედო მიზნით, უფლება აქვს შევიდეს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში საქართველოს შესაბამისი ორგანოების ნებართვით.

მუხლი 10

საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში

და რეიდებზე უცხო ქვეყნის იმ სახელმწიფო ან სპეციალური

დანაშნულების გემის შესვლა, რომელიც გამოიყენება არაკომერციული მიზნით

უცხო ქვეყნის იმ სახელმწიფო ან სპეციალური დანაშნულების გემს, რომელიც გამოიყენება არაკომერციული მიზნით, უფლება აქვს შევიდეს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში უცხო ქვეყნის გემებისათვის ღია ნავსადგურებში და რეიდებზე საქართველოს შესაბამისი ორგანოს ნებართვით. ნებართვის მოთხოვნა ხდება დიპლომატიური არხებით შესვლამდე 14 დღით ადრე.

მუხლი 11

საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში

და რეიდებზე უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდის შესვლა

1. უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდს უფლება აქვს შევიდეს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდებისათვის ღია ნავსადგურებში და რეიდებზე საქართველოს პრეზიდენტის ნებართვით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდებისათვის ღია ნავსადგურებში და რეიდებზე უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდის შესვლისათვის წინასწარი ნებართვის მოთხოვნა ხდება შესვლამდე 30 დღით ადრე.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული წინასწარი ნებართვა საჭირო არ არის:
 - ა) ოფიციალური ვიზიტის დროს, როცა უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდზე ან სახელმწიფო გემზე იმყოფება სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ან საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი. ასეთი ვიზიტის დროს წინასწარი შეტყობინება ხდება სავარაუდო შესვლამდე 5 დღით ადრე;
 - ბ) ავარიით, სტიქიური უბედურებით, შტორმით და სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის აუცილებლობით გამოწვეული იძულებითი შესვლის შემთხვევაში სამხედრო ხომალდის მეთაური ვალდებულია ნებისმიერი საშუალებით დაუკავშირდეს საქართველოს უახლოესი ნავსადგურის კაპიტანს და იმოქმედოს მისი მითითებებით.

მუხლი 12

საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში და რეიდებზე

უცხო ქვეყნის ატომური გემისა და ატომური სამხედრო ხომალდის შესვლა

1. უცხო ქვეყნის ატომურ გემსა და ატომურ სამხედრო ხომალდს უფლება აქვთ შევიდნენ საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში უცხო ქვეყნის გემებისა და სამხედრო ხომალდ-

ბისათვის ღია ნავსადგურებში და რეიდებზე ამ კანონის მე-11 მუხლით დადგენილი წესით. შესვლის წინ მათ უნდა გაიარონ სპეციალური შემოწმება რადიაციულ უსაფრთხოებაზე. შემოწმებას ახორციელებენ საქართველოს შესაბამისი ორგანოები.

2. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში და რეიდებზე უცხო ქვეყნის ატომური გემის ან ატომური სამხედრო ხომალდის დგომის დროს საქართველოს შესაბამისი ორგანოები ახორციელებენ მასზე მუდმივ დოზიმეტრიულ კონტროლს და რადიაციული ფონის საზიფათო ზრდის შემთხვევაში მოსთხოვენ გემის ან სამხედრო ხომალდის ადმინისტრაციას, რომ გემმა ან სამხედრო ხომალდმა დაუყოვნებლივ დატოვოს საქართველოს შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული ზღვა.
3. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება იმ გემებზეც, რომლებიც ახორციელებენ ბირთვული, რადიოქტიური, ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებების ტრანსპორტირებას.

მუხლი 13

უცხო ქვეყნის გემებისა და სამხედრო ხომალდებისათვის დახურული ნავსადგურები და რეიდები
უცხო ქვეყნის გემებისა და სამხედრო ხომალდებისათვის დახურული ნავსადგურების და რეიდების მუშაობის რეჟიმს ადგენენ საქართველოს შესაბამისი ორგანოები და აქვეყნებენ „ზღვაოსანთა უწყებებში“.

მუხლი 14

უცხო ქვეყნის სახელმწიფო გემებისა და სამხედრო ხომალდის სანავსადგურო მოსაკრებლებისაგან გათავისუფლება

ამ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო ქვეყნის სახელმწიფო გემები და სამხედრო ხომალდები საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში უცხო ქვეყნის გემებისა და სამხედრო ხომალდებისათვის ღია ნავსადგურებში შესვლისას თავისუფლებიან სანავსადგურო მოსაკრებლებისაგან, მათთვის გაწეული მომსახურების საფასურის გარდა.

თავი III. საქართველოს ტერიტორიული ზღვა

მუხლი 15

საქართველოს ტერიტორიული ზღვა

1. საქართველოს ტერიტორიული ზღვა არის 12 საზღვაო მილის სიგანის საზღვაო სარტყელი, რომელიც აკრავს საქართველოს სახმელეთო ტერიტორიას ან შიდა საზღვაო წყლებს. ტერიტორიული ზღვის სიგანე აითვლება საწყისი ხაზებიდან.
2. საქართველოს ტერიტორიული ზღვის დელიმიტაცია სხვა შავიზღვისპირა ქვეყნების ტერიტორიული ზღვისაგან ხორციელდება ამ ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, დელიმიტაცია ხორციელდება საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.
3. საქართველოს ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრი არის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

მუხლი 16

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის უფლება

1. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად უცხო ქვეყნის გემები სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის უფლებით.
2. უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდების, ატომური გემებისა და სპეციალური დანიშნულების გემების (საავარიო-მაშველი გემებისა და სამძებრო თვითმფრინავების გარდა) საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გავლის წესები განისაზღვრება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. მშვიდობიან გავლაში იგულისხმება:
 - ა) საქართველოს ტერიტორიული ზღვის გადაკვეთა შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში და რეიდებზე შეუსვლელად;
 - ბ) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში შესვლა, ნავსადგურის ნაგებობებთან და რეიდზე დგომა, შიდა საზღვაო წყლებიდან გამოსვლა.
4. მშვიდობიანი გავლა უნდა ხორციელდებოდეს სწრაფად და შეუჩერებლად, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. გაჩერება და ლუზაზე დგომა დაიშვება, თუ იგი დაკავშირებულია ჩვეულებრივ ნაოსნობასთან, გამოწვეულია უბედური შემთხვევის ან დაუძლეველი ძალის გამო, ანდა საფრთხეში მყოფი ადამიანების, გემების და საფრენი აპარატებისათვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობით.
5. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გავლა მშვიდობიანად ითვლება, თუ იგი არ არღვევს მშვიდობას, წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოების საყოველთაო პრინციპებს.
6. საქართველოს სასიცოცხლო და სუვერენული ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს დროებით შეზღუდოს ან აკრძალოს უცხო ქვეყნის გემების, ატომური გემებისა და სამხედრო ზომალდების შესვლა და ყოფნა საქართველოს ტერიტორიული ზღვისა და შიდა საზღვაო წყლების რომელიმე რაიონში. ასეთი შეზღუდვა ან აკრძალვა ძალაში შედის მისი „ზღვაოსანთა უწყებებში“ გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 17

უცხო ქვეყნის გემის მიერ მშვიდობიანი გავლის წესების დარღვევა

უცხო ქვეყნის გემის გავლა ითვლება მშვიდობიანი გავლის წესების დარღვევად, თუ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში იგი ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- ა) ძალის გამოყენების შესახებ მუქარა ან ძალის გამოყენება საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან სხვა სახით საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დარღვევა;
- ბ) სამხედრო მანევრები ან ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენებით სწავლება;
- გ) საქმიანობა, რომლის მიზანია ინფორმაციის შეგროვება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საზიანოდ;
- დ) პროპაგანდა, რომელიც ხელყოფს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებს;
- ე) საფრენი აპარატის ჰაერში ასვლა ან გემბანზე მიღება;
- ვ) სამხედრო მოწყობილობის ჰაერში აწევა ან გემბანზე მიღება;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ტვირთისა და ვალუტის დატვირთვა ან გადმოტვირთვა, ფიზიკური პირის გემბანზე მიღება ან გემიდან გადმოსმა;
- თ) ზღვის გარემოს განზრახ და სერიოზული დაზიანება;
- ი) თევზჭერა;
- კ) სამეცნიერო-კვლევითი, საძიებო ან ჰიდროგრაფიული საქმიანობა;
- ლ) საქართველოს კავშირგაბმულობისა და ელექტრონული სისტემების ან სხვა მოწყობილობებისა და ნაგებობების ფუნქციონირებისათვის ხელისშემშლელი პირობების შექმნა;
- მ) საქმიანობა, რომელიც მშვიდობიან გავლასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული.

მუხლი 18

მშვიდობიანი გავლის დროებითი შეჩერება

1. სამხედრო სწავლებისა და მანევრების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საზღვაო ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, უფლება აქვს არადისკრიმინაციული ფორმითა და შინაარსით დროებით შეაჩეროს ნაოსნობა საქართველოს ტერიტორიული ზღვისა და შიდა საზღვაო წყლების გარკვეულ რაიონებში.
2. გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის დროებითი შეჩერების შესახებ ძალაში შედის მისი „ზღვაოსანთა უწყებებში“ გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 19

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესები

1. საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საზღვაო ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საზღვაო ძალები საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით ადგენენ, ცვლიან და აუქმებენ მოძრაობის დაყოფის სისტემებს, საზღვაო დერეფნებს, ფარვატერებსა და რეკომენდებულ გზებს, ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესებს და აქვეყნებენ მათ “ზღვაოსანთა უწყებებში”. მათი შესრულება სავალდებულოა უცხო ქვეყნის ყველა გემისათვის.
2. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობა უნდა ხორციელდებოდეს გემის რეგისტრაციის სახელმწიფოს დროშით.

მუხლი 20

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის დროს უცხო ქვეყნის გემის გადასახადებისაგან განთავისუფლება

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლისას უცხო ქვეყნის გემი თავისუფლდება გადასახადებისაგან, მისთვის გაწეული მომსახურების საზღაურის გარდა.

მუხლი 21

საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას უცხო ქვეყნის გემის და სამხედრო ხომალდის მოვალეობები

1. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში, რეიდებზე და ტერიტორიულ ზღვაში ყოფნისას უცხო ქვეყნის გემები და სამხედრო ხომალდები ვალდებული არიან დაიცვან ნაოსნობის უსაფრთხოების წესები და საქართველოს სანავიგაციო, სანავსადგურო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები ზღვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების შესახებ, აგრეთვე რადიოკავშირის რეგლამენტი და წესები.
2. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდი ვალდებულია აღმართოს თავისი სახელმწიფოს დროშა, ხოლო უცხო ქვეყნის გემი ვალდებულია თავისი სახელმწიფოს დროშასთან ერთად აღმართოს საქართველოს დროშაც. უცხო ქვეყნის წყალქვეშა ნაგები და სხვა წყალქვეშა სატრანსპორტო საშუალებები უნდა იმყოფებოდნენ წყლის ზედაპირზე და აღმართული ჰქონდეთ თავისი სახელმწიფოს დროშა.
3. უცხო ქვეყნის გემებსა და სამხედრო ხომალდებს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას ეკრძალებათ:
 - ა) ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებების ჩაშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ადამიანების მოსაძებნად და მათ გადასარჩენად არის საჭირო;
 - ბ) წყალქვეშა საშუალებების განხორციელება;
 - გ) რეწვის ან სარეწი იარაღების საშუალო მდგომარეობაში ქონა;
 - დ) შუქბგერითი სიგნალების გამოყენება, საერთაშორისო წესებით გათვალისწინებული სიგნალების გარდა;
 - ე) ფოტო- ან ვიდეოგადაღებები, ნავსადგურებისა და სანაპირო უბნების სქემებისა და ტოპოგრაფიული გეგმების შედგენა;
 - ვ) გემის მეჩრეზე განზრახ დასმა ან მისი ჩაძირვა;
 - ზ) ისეთი ქმედების ჩადენა, რაც ზიანს აყენებს წყალქვეშა კაბელებსა და მილსადენებს, სანავიგაციო ნიშნებს, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებსა და სხვა მოწყობილობებს;
 - თ) გემის ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ნარჩენების ზღვაში ჩაყრა და ფეკალური წყლების ჩაღვრა.

მუხლი 22

უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდისა და იმ სახელმწიფო გემის იმუნიტეტი, რომელიც გამოიყენება არაკომერციული მიზნით

1. თუ უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდი ან ის სახელმწიფო გემი, რომელიც არაკომერციული მიზნით გამოიყენება, დაარღვევს ამ კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს და უგულბელყოფს საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მან დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს საქართველოს შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული ზღვა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, იკრძალება უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდის ან იმ სახელმწიფო გემის იმუნიტეტის დარღვევა, რომელიც გამოიყენება არაკომერციული მიზნით.
3. გემის დროშის სახელმწიფო პასუხისმგებელია იმ ზიანის ანზღაურებაზე, რომელსაც საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში და ტერიტორიულ ზღვაში ყოფნისას იწვევს სამხედრო ხომალდი ან ის სახელმწიფო გემი, რომელიც არაკომერციული მიზნით გამოიყენება.

მუხლი 23

საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დაცვა

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დაცვას ახორციელებენ:
 - ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
 - ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
 - გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
 - დ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო;
 - ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.
2. საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებენ:
 - ა) საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი;
 - ბ) საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო;
 - გ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;
 - დ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო;
 - ე) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.
3. დაუშვებელია სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დაცვის ფუნქციების სხვა უწყებებისა და ორგანოებისათვის გადაცემა.
4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან დახმარება გაუწიონ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ დაწესებულებებს საქმიანობაში.

მუხლი 24

საქართველოს შესაბამისი ორგანოების უფლებები უცხო ქვეყნის გემის მიმართ

- საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე მყოფი უცხო ქვეყნის გემის მიმართ საქართველოს შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილნი არიან:
- ა) გაუგზავნონ შეკითხვა და მიიღონ პასუხი, თუ გემი ეჭვმიტანილია მშვიდობიანი გავლის წესების დარღვევაში;
 - ბ) წინადადება მისცენ გემს შეიცვალოს კურსი, თუ იგი მიემართება იმ რაიონისაკენ, სადაც ნაოსნობა აკრძალულია;
 - გ) გააჩერონ გემი და დაათვალიერონ იგი, ან ჩაუტარონ ინსპექტირება და შეადგინონ შესაბამისი დოკუმენტი;
 - დ) მიიღონ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ;
 - ე) დააკავონ გემი და მიაცილონ იგი საქართველოს უახლოეს ნავსადგურში, გადასცენ გემის მიერ ჩადენილი დარღვევის მასალები საგამოძიებო ორგანოებს და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოში გემის დროშის სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულოს;

- ვ) აკრძალონ გემის შესვლა საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში და რეიდებზე, თუ გემი ან მისი ტვირთი საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ან ზღვის ცოცხალ რესურსებს;
- ზ) აკრძალონ გემის ნავსადგურიდან გასვლა, თუ გემის ტექნიკური მდგომარეობა ან მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა არ შეესაბამება საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს;
- თ) თუ უცხო ქვეყნის გემი არ ემორჩილება საქართველოს შესაბამისი ორგანოების მოთხოვნებს და წინააღმდეგობას უწევს მათ დაკავების დროს, ამ ორგანოებს უფლება აქვთ მიმართონ იძულების ხერხებს, მათ შორის, დადგენილი წესით გამოიყენონ იარაღი.

მუხლი 25

უცხო ქვეყნის ატომურძრავიანი გემები და გემები, რომელთაც

გადააქვთ ატომური, საშიში ან ტოქსიკური ნივთიერებები და მასალები

უცხო ქვეყნის ატომურძრავიანი გემები და გემები, რომელთაც გადააქვთ ატომური, საშიში ან ტოქსიკური ნივთიერებები და მასალები, საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლისას ვალდებული არიან თან იქონიონ შესაბამისი დოკუმენტები და დაიცვან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი უსაფრთხოების განსაკუთრებული წესები.

მუხლი 26

სამოქალაქო იურისდიქცია საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში

და ტერიტორიულ ზღვაში მყოფი უცხო ქვეყნის გემის მიმართ

1. საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში და ტერიტორიულ ზღვაში უცხო ქვეყნის გემის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის შემთხვევაში სარჩელი აღიძვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განიხილება მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ.
2. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში უცხო ქვეყნის გემზე მყოფი პირის მიმართ სამოქალაქო იურისდიქციის განხორციელების მიზნით ამ გემის გაჩერება ან კურსის შეცვლა დაუშვებელია.
